

# ისტორიანი

თავისუფლადის განვითარების  
**100 წელიწადი**  
საქართველოს გადამზადების სამსახურის საქართველო

იორე  
გამარჯონი  
პირველი  
ესკოველი  
განერალი

დამოუკიდებელი  
საქართველოს  
ეპირები გმირები

თავისუფლადის ჰარისკაცი  
მისები ქავთახაცი

დამამავეობის მცხი №1  
ვაღოდია სურაველიძე



„50 პერსონა —  
ეთ ჰერცეს ისტორია“  
თომი XXVII  
„თომას ალვა  
ედისონი“

ნიგნი „ისტორიანი“ ერთად – 8 ლარი

„ბოლშევიკურ“-ყაჩალური  
პარადის 1918 წლის გარეშე

სახელმწიფოსა და  
ეკლესიის ურთიერთობა  
1918-1921 წლებში

ბავშვობა ქვის ხანაში


„მოხუცი და გლება“  
პატარამას უფაბნოში  
პუტინი „სამუდამოდ“

# გიორგი III

სომი 4

ეართვაღი მაფავაბი

კაუნიცი და მსახური ეპოქისანი



გიორგი III  
ტაოქაძე ჰუსტონი



ეართვაღი მაფავაბი  
4

24 წლისად



სკაციაღი  
ფასი 5.50 ლ  
გაზიარება  
ერთა 7 ლ

შეკრიცე



სომი 5

გაზიარ „კვინის კაღიშჩასთან“ ერთად  
ისწონია, ჩოგაღიც ძვირფასია!

23  
აპრილი

იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში ან დარეკეთ ნომრებზე:

0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და [www.elva.ge](http://www.elva.ge) ადგილზე მოგართმევთ.

Palitra.L.PUBLISHING [www.palitral.ge](http://www.palitral.ge)



**8**



**10**



**12**



**20**



**28**



**35**

## საჩივე

### ახალი ახალი

ცხაგათშორი მეტანეობა — არამატერიალური  
კულტურული მემკვიდრეობის ენგზი ..... 6  
„მოწვევი და ზღვა“ ათაკამას უდაბოში ..... 7

### მოქალა კაბანი

გავვარობა ქვის სანაში ..... 8

### ფოტოსაბანები

აკაპი ჩხერებელის მრთი ფოტოგადრი ..... 10

### ჰიპერი ჩასახისია — 100

სახელმწიფოსა და ეპლესის

ურთიერთობა 1918-1921 ფლეხში ..... 12

26 მაისი — ისტორიული მოვლენის  
ქრონიკა ..... 20

თავისუფლების ჯარისკაცი —  
მიხეილ ქავთარაძის გახსენება ..... 28

როგორ ჰეიქენა საქართველოში

საქალეო გვარდია 1918 ჭელს ..... 35

გალოდია ულაველიე —

დამაშავეობის მტპრი №1 ..... 39

„დამოუკიდებლობის აქტება

საქართველო განადგურებას

გადაარჩინა“ ..... 45

გალიკო ჯერებლი ფრონტის ხაზზე ..... 48



53



56



60



64



71



81

## სახელმწიფო

### პარავნი ნათელი

იორანე გაგრატიშვილი – კირკველი ძართველი განცადათლაბელი	53
---	----

### თავისუფლი ცაგერობაზი

ბავშვის ციხე	56
--------------	----

### ბამოსათხოვაში

ლეილა აბაშიძე – ჩართული პიროს გარსკვლავი	60
---	----

### კაშუშახი თამარაბი

ბულგარული „ხორცსაკმავი“ (ნაწილი III)	64
--------------------------------------	----

### ესელი ისტორიის

კუთინი „სამუდამოდ“	71
--------------------	----

### მოფიციონი სწორი ყაქხაბი

კორდობის ტაძარი	81
-----------------	----

### ფახსლავი თახაცილან

ამონარიდები ქველი შერნალ-გაზეთებიდან	88
სპაციონდი	90

**ჟურნალ „ისტორიანის“ ძველი წლების შექმნა შეიძლიათ  
„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში**

## հՀԵՎԻԲՈՒՆԻ ԵՅԿԱՆ

წლეულს სრულიად საქართველო მნიშვნელოვან თარიღს აღნიშნავს — საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავს. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს იყო საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მოვლენა.

რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ თანდათანობით დაიწყო იმპერიის ხეროვა, რასაც მოჰყევა რუსეთის იმპერიაში შემავალი ერქის მხრიდან ნაციონალური რესაციელიკების შექმნა. საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებში დასაწყისში არ იყო ერთსულოვნება საქართველოს მომავალ სტატუსთან დაკავშირებით ნაწილის აზრით, საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გამოეცხადებინა, ნწილს კი მიაჩნდა, რომ ყველაზე ოპტიმალური იქნებოდა მომავალი რუსეთის ფედერაციული სახელმწიფოს შეგნით საქართველოს ფართო ეროვნული ავტონომიით არსებობა, საკუთარი პრეზიდენტით სათვეში. თუმცა, 1917 წლის 25 ოქტომბერს რუსეთში ბოლშვიკებმა კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება მოწყვეს. საქართველოს გაელექტრიზაციანი პოლიტიკურმა ძალებმა ახალი საბჭოთა რუსეთის მთავრობა არ ცნეს.

რუსეთის დროებით მთავრობის დამხობასთან ერთად, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ყველა სახელისუფლებო ორგანო მოიშალა. ახალი რეალობის შიუხედავად, ქართულმა პოლიტიკურმა ძალებმა მაინც ვერ აიღეს სრული პასუხისმგებლობა და დასაწყისი კავკასიის სამი რესპუბლიკას — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ფედერაციულ-კონფედერაციული რესპუბლიკა შექმნეს. ამ ფორმით ამიერკავკასიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ არსებობა დიდხანს ვერ მოახერხა და რამდენიმე თვეში დაიშალა. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, 42 წევრისა და 36 კანდიდატის შემადგენლობით, დამოუკიდებლობა გამოიკვადა.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ  
მხოლოდ 2 წელიწადშა და 9 თვეს იარსება. მიუხე-  
დავად ასეთი მძიმე დროისა, ქვეჭნის აღმშენებლო-  
ბის ოფიციალური მდგრადი გაფითხოვა. დამოუკი-  
დებლობის ეს მცირე პერიოდი თაობებს ყოველთვის  
ახსენებდა თავს და თავის უფლებისთვის ბრძოლის  
საქმეში ლაპარად მიუძღვოდა ქართულ საქმეს.  
ქართველობამ მთელი XX საუკუნე სწორებ და-  
კარაულის დაბრუნებისთვის სწრაფაში გატარა.



საქართველოს დამოუკატიულია რეს-  
პუბლიკა მთლიანი 2 ზოგიწადები და  
9 იური ინსტანცია. მიუხედავად ასეთი  
მდიდარი დოკონისა, ქვეყნის კლასიკური გადამ  
თკალისაზრისით, ზოგი რა გაკეთდა...

ისტორიულ-შემცნებითი ჟურნალი  
„ისტორიანი“

## მთავარი რედაქტორი ჯაბა სამუშა

რედაქტორი  
გელა გურგენიძე

სტილისტ-რედაქტორი  
ელენე სალარიძე

## კომპიუტერული უზრუნველყოფა რეზო თხილიშვილი

კორექტორები:  
ნანა მაჭუვარიანი  
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, იოსებიძის ქ. №4.  
ტელ.: 238-13-72, 238-02-45  
e-mail: istoriani@palitra.ge

სარეკლამო განყოფილება  
ტელ.: 237-78-07, 238-78-70

ქურნალი გამოდის თვეში ერთხელ  
რედაქციის ნებართვის გარეშე  
მასალების გადატექსტვა აკრძალული

„პალიტრამედიის“ ცხელი ხაზი: 219-60-13; 219-60-53  
e-mail: contact@palitra.ge

ශ්‍රීලංකාවේ ගාමධ්‍රිතාරා සුදායෝග්‍යාත අත්තුවේ නිව්‍යතියෙහි,  
පුද්-ගවරුද්ධී: [www.elva.ge](http://www.elva.ge)  
අන සඳුග්‍රැස්‍යාතින මුද්‍රාවෙන් සාම්‍යාලුද්ධිය  
(+993 32) 2 37 50 03; (+993 32) 2 38 26 74  
අභ්‍යන්තර මාධ්‍යම මාත්‍රාවා!

*Tobias  
July 1925*

# სხავატური მითინეობა – აჩამატურიალური კულტურის მითი



ცხავატის ხეობა

ცხავატურ მეოუნეობას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ამის შესახებ აღნიშნულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის, ნიკოლოზ ანთიძის ბრძანებაში. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის ბრძანებაში. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს უკვე დაეყალა ამ ობიექტის მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.

მეოუნეობა და კინკრეტულად მექევრეობა სოფელ ცხავატში საუკუნეების განმავლობაში კარგად იყო განვითარებული. ცხავატური ჭურჭელი განთქმული იყო და აღმოსავლეთ

ცხავატური კუთხი და დოქტორი სოფელ პავლიანიდან



საქართველოს ბევრ სოფელსა თუ ქალაქში, მთაში თუ ბარში იყიდებოდა.

ცხავატში განვითარებული იყო ტერასული მეურნეობა. ადგილობრივები ვაჩსა თუ სხვა კულტურულს მესხეთისა თუ ატენის ხეობის მსგავსად ტერასებზე ახარებდნენ. ცხავატელი მექევრები დიდი ზომის ქვევრებს არ აშა-დებდნენ. აქ, ძირითადად, ქოცოები და მათზე ოდნავ მოზრდილი ქვევრები მზადებოდა, ხოლო დიდი ზომის ქვევრები ქნის ხეობაში იმერუთიდან შემოჰქინდათ.

სპეციალისტების თქმით, ცხავატური ქვევრი რადიკალურად განსხვავდებოდა საქართველოს დანარჩენ კუთხებში დაშადებულებისგან. გამოირჩეოდა როგორც ფორმით, ისე დაშადების ტექნოლოგიით. ცხავატური ქვევრი ერთადერთია, რომლის დაშადებაც იწყებოდა და სრულდებოდა მეოუნის „მორგვზე“, ხოლო გარედან წერნაგით ხატავდნენ. ასევე, ერთობ განსხვავებული ფორმა ჰქონდა ცხავატურ ქოცოს, რომელიც გამოირჩეოდა პატარა ქუსლით, შესამჩნევად ვიწრო მუცლით და ჭარბად განიერი ყელ-პირით. აღსანიშნავია, რომ ცხავატში მექევრეობას, როგორც მეოუნეობის ცალკე, დამოუკიდებელ დარგს, თითქმის არ უარსებია. ცხავატელი მეოუნე, საქართველოს სხვა კუთხის მეოუნეებისგან განსხვავებით, ყველა პროდუქტს – ქვევრს, აგურს, კრამიტს, ჭურჭელსა თუ თონქს თავადვე ამზადებდა.

**„ისტორიანი“**

# „მოხუცი და ზღვა“ სტაკამას უდაბნოში

ჩილეში, ატაკამას უდაბნოში კლდის მხატვრობის უნიკალურ ნიმუშებს მიაკვლიეს. ისკუნას ხეობაში 328 ნახატი ნახეს. მათზე ზღვის ცხოველები, მონადირეები და მეოუგზები არიან გამოსახული. ნახატები ფორმობლისფერი ან მუქი წითელია. ძირითადი საღებავი რკინის ოქსიდია, მინერალური პიგმენტის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც სახის მოსახატადაც იყენებენ. ნახატები როტული ტექნიკით შესრულებული არ არის. ძირითადად, ეს არის კონტურები და სილუეტები, რომელებიც მთლიანად გაფერადებულია.

ახალადმოჩენილი მხატვრობის კველაზე საინტერესო ნაწილი ნადირობის სცენებია. ამ სიუჟეტებში ადამიანები ტივებზე დგანან, ვეშაპებისა და თვეზებისკენ კი ხაზებია მიმართული. ჩანს, უძველესი მხატვრები ბარჯვ ასე გამოსახავდნენ.


ცხოველები დახატულია დიდი ყურადღებით, მათი ანატომიური აგებულების გათვალისწინებით, ხოლო ადამიანები პირიქით — სქემატურად.

საინტერესოა, რომ ნადავლი მნიშვნელოვნად მეტია მონადირეებზე. ამას გარდა, მონადირეები ძირითადად მარტონი არიან — დიდ თვეზთან ან ვეშაპთან ერთი ნავია, რომელშიც ერთი მონადირეა. მკვლევართა აზრით, ეს მიუთითებს, რომ ზღვის ცხოველებზე ინდივიდუალურად ნადირობდნენ ან თვეზაობდნენ და არა კოლექტიურად.


იმით, რომ ნახატებზე ზღვის ცხოველები ზომით გაცილებით აღემატებოდნენ მონადირეებს, მხატვარს სურდა ეწვენებინა, ვინ უფრო ძლიერია ამ სცენაში. ამის გათვალისწინებით, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ზღვაზე მხოლოდ საზოგადოების ერთეული წევრები ნადირობდნენ, მათი შრომა კი უაღრესად დაფასებული იყო.

ახალადმოჩენილი კედლის მხატვრობის თარიღთან დაკავშირებით ჯერ აზრთა სხვადასხვაობაა. რადიოკარბონული მეთოდით დადგინდა, რომ მხატვრობა თითქმის 8 ათასი წლისაა, თუმცა ეს საბოლოო შედეგი არ არის და შესაძლოა, ისინი შედარებით გვიანდელი აღმოჩნდეს.

*cambridge.org-ის მიხედვით*



ზღვის ცხოველებზე სანადირო საშუალებები, უძველესი მხატვრების შესრულებით






ქვის ხანის ბავშვები (მხატვრის იმპროვიზაცია, აუტორი შეტიუ ბენეტი)

## ბავშვების ქვის ხანი

თანამედროვე სამყაროში ბავშვები იცავს ფაენა — შშობლები, ნათესავები, სახელმწიფო, მაგრამ სულ სხვაგვარი იყო პატარების ცხოვრება უძველესი აღამიანების ეპოქაში.

როგორ უნდა შევიტყოთ, როგორ ცხოვრობდნენ ბავშვები ქვის ხანაში? ამის შესახებ შესაძლოა ბავშვების ფეხის ანაბეჭდებმა გვამბონ, რომელიც ჩვენი პლანეტის რამდენიმე კუთხეშია შემონახული.

პაიდელბერჯელი აღამიანი



ეთიოპიას სამხრეთში, ზემო ავაშის ზეგანზე მიაგნეს ნაკალებს, რომელიც ჰაიდელბერგელმა ადამიანმა დატოვა. ზრდასრული ადამიანების ნაკალევთან ერთად, აქ პატარების ნაფეხურებიც ნახეს. ანაბეჭდის ზომის მიხედვით, ის 2 წლის ბავშვისა უნდა ყოფილიყო. უცნობია, რა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მცირეშილოვანი ზრდასრულებთან ერთად ტალახში დააბიჯებდა, თუმცა ნაფეხურები ტალახში ჯერ მტკერმა, შემდეგ 700 ათასი წლის წინ ამოფრქვეული ვულკანის ფერფლმა დაფარა.

ნაკალევთან ერთად მეცნიერებმა მიაკვლიეს ფლიინტის (ერთგვარი ოპტიკური მინა, რომელიც შეიცავს ტყვიას) ინსტრუმენტებსა და ბეჭედოთის ძელებს, რომელსაც ნაჭლევები პქონდა. ამ მასალების მიხედვით შეგვიძლია ვთქათ, რას აკეთებდნენ ამ ტერიტორიაზე ზრდასრული ჰაიდელბერჯელები, მაგრამ რა უნდოდათ აქ ბავშვებს? პირველ რიგში იმის თქმა შეიძლება, რომ მათ სახლში არ ტოვებდნენ და თან დაატარებდნენ. ანუ კონკრეტულად ეს საზოგადოება ძიბის ინსტიტუტს არ იცნობდა. ამავდროულად, ბავშვები თვალს

ადევნებდნენ უფროსების საქმიანობას, როგორ იყენებდნენ ისინი იარაღს და სხვადასხვა ინსტრუმენტს. სწავლობდნენ, როგორ გაერჩიათ საკვბად გარგისი და უვარგისი ნაჭრები.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ბავშვები ხშირად ახლდნენ ზრდასრულებს სხვადასხვა საქმიანობისას. მაგალითად საფრანგეთში, Tuc d'Audoubert-ის მდვიმეში ბავშვების ნაკვალევი გვხვდება იქ, სადაც კედლის მხატვრობებია. ეს ნიშავს, რომ ისინი მხატვრის საქმიანობას აკვირდებოდნენ.

არგენტინაში, მონტე ერმოსოსში, ზღვის ნაპირას ქალებისა და ბავშვების ნაკვალევს მიაგენს. შესაძლოა ისინი აქ ერთად აგროვებდნენ მოლუსკებს 7 ათასი წლის წინ. სწორედ ასე თარიღდება ზღვის სანაპიროზე მათ მიერ დატოვებული ნაკვალევი.

ბავშვის ფეხის კიდევ ერთი ანაბეჭდი, რომელიც 1500 წლისაა, ნამიბიაში აღმოჩინეს, ქალაქ უოლფიშ-ბეისთან. როგორც ჩანს, ტალაზზე, რომელიც შრებოდა, ბავშვების ხანის ბავშვის ნაკვალევი ნამიბიაში

ბის ჯგუფმა თხების ან ცხვრების ფარასთან ერთად გაიარა. თუმცა, როგორც ირკვევა, მწყემსგასთან ერთად, ბავშვები დახტორდნენ კიდეც, ოღონდ არა რეგულარულად. ეს ნიშავს, რომ განსხვავებული ასაკის ბავშვების ჯგუფი კი არ მოძრაობდა, არამედ რაღაცას თამაშობდა.

ქვის ეპოქაში უზრუნველი და უსაფრთხო ბავშვობა მეტად ხანძოკლე იყო. პატარების ცხოვრების სრულად წარმოდგენა როგორია. თუმცა, იმის თქმა ნადვიოლად შეიძლება, რომ ბავშვები თან ახლდნენ ზრდასრულებს ნადირობისას, სამეურნეო საქმიანობისას, ხატვისას და სხვ. რას აკეთებდნენ ამ დროს, სეირნობდნენ თუ შორიახლოს თამაშობდნენ — ამის ზუსტად თქმა შეუძლებელია. არც იმის თქმა შეიძლება, რომ მათ არ ჰქონდათ სათმაშოები. შესაძლოა ნივთები, რომლებიც საკულტო დანიშნულების გვგონია, სწორედ მათ სათმაშოებს წარმოადგენდნენ.

[theconversation.com](http://theconversation.com)-ის მიხედვით



## ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

**კალიტრა მელია გისმენთ!..**

დარეკალ: 219 60 13

მოგვცერეთ: [contact@palitra.ge](mailto:contact@palitra.ge)

ან: „კვირის კალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)

საფოსტო ყუთების საშუალებით



კომპოზიტორ მულიტონ ბალანჩიგაძის გუნდი (1899 წელი). მარჯვნიდან პირველი აკაკი ჩხერიშვილი, შემდგომში საქართველოს პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი (გუნდის ერთ-ერთი წევრის ფოტო გაურკვეველი მიზეზით გადაფუქილია). ფოტო ინახბა საქართველოს ხელოფნების სასახლეში

## ანაბი ჩხერიაცის ეხთი ფოტოსახელი ნაჩენილებან...

საქართველოს ხელოფნების სასახლეში მრავალი უნიკალური ფოტო ინახბა. მათ შორისაა არაერთი კადრი, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს შემოქმედთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს. ჩვენი ყურადღება მიიქცა 1918 წლის შურალ „თეატრი და ცხოვრების“ მე-14 ნომერმა, რომლის თავ-ფურცელზე გამოქვეყნებულია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხერიშვილის სტუდენტობისდროინდელი ფოტო. ეს არის ფრაგმენტი 1899 წლით დათარიღებული ფოტოსი, რომლის ორიგინალიც ჩვენთან ინახბა. მასზე ასახულია ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, მელიტონ ბალანჩიგაძის გუნდი, რომლის ერთ-ერთი წევრიც სწორედ აკაკი ჩხერიშვილი ყოფილა. გამოდის, რომ საქართველოს ისტორიაში პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი მომღერალი იყო. ფოტოზე მას სწორედაც შესაბამისი ქულაჯა აცვა.

აქვე გთავაზობთ ამონარიდს 1918 წლის 16 ივნისის შურნაალ „თეატრი და ცხოვრებიდან“ („მუსიკა და სახითბა“), რომელიც მეთხველს იმდროინდელი ქართული მუსიკის განვითარებაზე მოუთხრობს.

„ჩვენს მშობლიურ მუსიკას ეროვნული მონაბის ხუნდები მოქსნა და ეროვნული სამუსიკო თვითშემოქმედება ნელინელ ფრთა-სა შლის. ჩვენს დედაქალაქში თავი მოიყარეს

კომპოზიტორებმა: დიმიტრი არაყიშვილმა, მელიტონ ბალანჩივაძემ, ნიკო სულხანიშვილმა, კოტე ფოცხვერაშვილმა და მუშაობა გააჩადეს. თითოეულმა მათგანმა უკვე გამართა კონცერტი ანუ თვისი ნაწარმოები საზოგადოებას მოასმინა. თითოეული მათგანის შემოქმედება, მუსიკის ხასიათი ერთიმეორისგან საკმაოდ განსხვავდება, ხოლო ყველა ერთად კარგ მასალას წარმოადგენს ჩვენი სამუსიკო ხელოფნების ასაღორძინებლად.

დიმიტრი არაყიშვილის სამუსიკო ნაწარმოებთ უკვე იცნობს ჩვენი საზოგადოება: კომპოზიტორს ფოტოგრაფიულის სინამდვილით აქვს აღნუსხული კილო და ხასიათი ჩვენის მუსიკის. თუ ბედმა გაულიმა და ეს ჩვენი მუსიკის დიდი ოსტატი საშობლოში დატრიალდა, უნდა ვითიქროთ, რომ მშობლიურ ჰანგთა პირისპირ მოსმენა და მათ იღუმალობათა შეცნობა კიდევ უფრო გააღმრმავებს და გააძრავალფერადებს მის შემოქმედებას. დღოა საკვარელი კომპოზიტორი შეუდგეს სრულ ნაწარმოებთა შექმნას, თორემ ნამცეციბით სული ვერ გაძლება. აგერ, თითქმის სამგზის გაიმართა მის ნაწარმოებთა საღამო და სამივეჯერ ნაწევეტებისა.

კოტე ფოცხვერაშვილმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, თუ რაოდენი ორგანიზატორული უნარი შესწევს. მუშაობს მეტად აუტანელ პი-

რობებში და მიუხედავად ამისა, მაინც შესძლო საერო პიმნ-საგალობელთა კონცერტების გამართვა (2 ოქტომბერის საქართველოს სახელმწიფო თეატრში, ხოლო 8 ოქტომბერის სახალხო სახლში). ორივე კონცერტს აუარებელი ხალხი და ესწრო და დიდის პატივისცემით შეხვდა. კოტე ფოცხვერაშვილი რამდენადაც მუსიკოსია, იძღვნადაც იღეური მუშაკი — მქადაგებელი: საშშობლო მუსიკის გაფრცელებას იგი სიტყვიერი ქადაგებით უფრო ფიქრობს და ამიტომაც არის, რომ მისი კონცერტების დროს უფრო მეტი სიტყვა-ლექცია ისმის. მუსიკოსი კი, ჩვენი აზრით უფრო მეტად თვალის შემოქმედებით, თვალის უდიდესი ენით — მუსიკით უნდა მეტყველებდეს. განა სიმღერა-გალობაზე უფრო ძლიერი სხვა რომელიმე ენა მოიპოვება? თუმცა ყოველივე მისი ნათელები უადგილო არა ყოფილა და ბევრი რამ გადასცა საზოგადოებას. კომპოზიტორმა მოგვასტენინა პიმნი — დიდება და ლოცვა. პირველი ნაწარმოები გმირული, მჭექარე და აღმაფრთველანებელია, შიგადაშიგ თოთქო უცხო მუსიკის გაფლენა ემჩნევა, მეორე — ლოცვა უფრო ლბილია, სასოების მოგვრული. საზოგადოებამ პიმნი გაამეორებინა და დიდის ტაშით დააჯილდოვა კომპოზიტორი. ამავე კონცერტზე კოტე ფოცხვერაშვილის თხოვნით მელიოტობ ბალანჩივაძემ შეასრულა თვალის პიმნი. ეს პიმნი უფრო დამუშავებული, უფრო ნაზი გამოდგა. შეატყობით, რომ ორი სხვადასხვა ხანის პანგი იყო: ერთი კოტე ფოცხვერაშვილისა — რევოლუციონური ხანისა, დემოკრატის გამძლავრების, მეორე მელიოტონ



1918 წლის უკრნალ „თუატრი და ცხოვრების“ მე-14 ნომრის თაფურულები აკაკი ჩხერქვლის ფოტოთი (ინახება საქართველოს ხელოვნების სასახლეში)

ბალანჩივაძის — მშვიდობიან დროის, სალონურ-არისტოკრატიული“.

სტატიის ავტორია (ფსევდონიმით „წინამდღვარი“) უკრნალის დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

### ვიორგი პალაცია

#### საქართველოს ხელოვნების სასახლის დირექტორი

მარცხნიდან მეორე — აკაკი ჩხერქვლი. მელიოტობ ბალანჩივაძის გუნდის ეს ფოტო ინახება ხელოვნების სასახლეში. ასეთვე ფოტო არის საქართველოს ეროვნულ ბაბლონითუმშიც, განმარტებით ქართველი სტუდენტები კიჯში, კლუბური ფოტო. მელიოტონ ბალანჩივაძე, შოთა ჩიტავაძე, ალექსი ბერანეკი, გ. ნაიაშვილი, გიორგი კვიტაშვილი, არდიშილი, მიხეილ ჩხერქვლი, გიორგი ჭოროშვილი (ჩამონათვალში აკაკი ჩხერქვლი და კიანუ რამდენიმე პირი მითითებული არ არის)



გელათი, მარგალიტით შექმნული საგალესოი ჭურჭელი და ნივთები. ღიმიტრი ერმაკოვის ფოტო

## სახელნიშვნა და ცალესის უთითებობა 1918-1921 წლებში

1918-1921 წლებში საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობების საკითხს რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიეძღვნა. გაშუქრა არაერთი საინტერუსო საკითხი (აუცილებლად უნდა დავასახლოთ ქეთვანა პავლიაშვილის, სერგო გარდოსანიძის, მეუფე ანანია ჯაფარიძის მონოგრაფიები, ასევე საინტერუსო სტატია დიმიტრი გევონავასი). ამჯერად, ძირითადად ორ საკითხზე გაყამახვილებთ ეურადღებას:

1. როგორი იყო სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის მხარდაჭერის პოლიტიკა 1918-1921 წლებში.
2. როგორ მიმდინარეობდა ეკლესიისა და სახელმწიფოს გაყოფა.

ქართულ მეცნიერებაში აღნიშნულია, რომ თითქოს 1918-1921 წლებში სახელმწიფოს მხრიდან რეალური დახმარება ეკლესიას არ მიუღია. ამის თაობაზე მკვლევარი სერგო გარდოსანიძე წერს: „1919 წლის ოქნისში დამფუძნებელი კრების საფინანსო-საბიუჯეტო კომისია დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნავდა: „გაახლებთ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს სამღვდელოების, საკათედრო ტაძრებისა, საკათალიკოსო დაწესებულებათა შენახვისათვის 1918 წლის

პირველი აგვისტოდან 1919 წლის პირველ იანვრამდე გაწეული ხარჯების დასაფარავად, 2.501.777 მანეთის დახმარებისათვის“. კანონპროექტი კომისიამ განიხილა და მიიღო, მაგრამ რეალურად დახმარება ეკლესიას არ მიუღია“. შესაძლოა, 2.501.777 მანეთის დახმარება ეკლესიას მართლაც არ მიუღია, თუმცა საზოგადოდ, საქართველოს სამოციქულო ეკლესიას სახელმწიფო ფინანსურად მთელ 1918-1921 წლებში უჭერდა მხარს. ამის ნათელი მაგალითია 1919-1920 წლების სახელმწიფო ბიუჯეტი, სადაც ეკლესიის

დაფინანსება შინაგან საქმეთა სამინისტროს მუხლიდან მიმდინარეობდა. აქვე ვიტყვით, რომ თავისი საქმიანობით დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო გაცილებით ფართო უფლებამოსილებას ახორციელებდა, ვიდრე თანამედროვე უწყება.

სამინისტროს ბიუჯეტში III მუხლად შეტანილი იყო — საქართველოს საკათალიკოსო. გამოყოფილი დახმარების მთლიანი მოცულობა შეადგინდა 1.726.055 მანეთს. ეს თანხა ძირითადად ორი პრიორიტეტის დასაფინანსებლად იყო მიმართული. ის ეძღვოდა:

- ა) სამღვდელოებას იმ მინდობილობათა შესრულებისთვის, რომელიც მას დავალებული აქვს სახელმწიფოსგან (1.714.699 მანეთი)
- და ბ) ისტორიული და ხელოვნების მხრივ მნიშვნელოვანი ტაძრების შესანახად (11.356 მანეთი). გარდა ამისა, შინაგან საქმეთა მინისტრის ბიუჯეტის საერთო ნაწილში გათვალისწინებული იყო ასევე მუსლიმანთა სასულიერო სამართველოების (75.699 მანეთი)

და სხვა სარწმუნოებათა სამმართველოების (47.699 მანეთი) შენახვა. აქვე განვმარტავთ, რომ ეს თანხები ბიუჯეტის მიღებისას უკვე დახარჯული იყო მითითუბული მიზნით.

დამფუძნებელმა კრებამ ბიუჯეტის განხილვა 1920 წლის 16 ივნისის სხდომაზე დაიწყო და 22 ივნისის სხდომაზე განაგრძო,

**დამფუძნებელი კრების დეპუტატები**



სადაც მოხსენებით გამოვიდა სოციალ-რევოლუციონერი ლეო შენგელაია. მან კურადღება ეკლესიის დაფინანსების საკითხზეც გაამახვიდა: „ეკლესიის საჭიროებაზე იხარჯება მილიონობით და ნუოუ ძნელი იყო ეკლესიის ჩამოშორება სახელმწიფოსგან. ეს ხომ უბრალო უფლებრივი რეფორმა არის, რომელიც დამყარებულია ძალით განწყობილებაზე და ნუოუ სამღვდელოებას ისეთი ძალა ჰქონდა, რომ ვერ შესძლეს ეკლესიის გამოყოფა“. 1920 წლის 16 აგვისტოს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული 1919-1920 წლების სახელმწიფო ბიუჯეტი უკვე გაწეული ხარჯების შეჯამებას წარმოადგენდა. სამწუხაროდ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ ვერ შეძლო ქვეყნის უპირველესი საფინანსო დოკუმენტის წინსწრებით მიღება, ამიტომაც დამფუძნებელმა კრებამ მთავრობას მხოლოდ დაუდასტურა ის ხარჯები, რომელსაც იგი წევდა.

სახელმწიფოს მხრიდან საქართველოს საპატრიარქოს დაფინანსება და საკულტო ნაგებობათა შეკეთებისთვის ხარჯების გამოყოფა 1920-1921 წლების ბიუჯეტის ფარგლებშიც გრძელდებოდა. პროექტის მიხედვით, საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს დაფინანსება კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის ფარგლებში ხდებოდა (გასავალი



ლეონიდე (ერისკაცობაში ლონგინოზ თქრობისძე),  
საუკლად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1919-  
1921 წლებში

მეტყველი: 44, 45, 45, 47). საბიუჯეტო ჩანაწერიდან კარგად ჩანს მიმართულებები, რომელსაც სახელმწიფო აფიანესებდა: პირადი შემადგენლობის შენახვა; საკანცელარიო და სამეცნიერო ხარჯები; სამღვდელოების შენახვა; მონასტრებისა და საკათოდრო ტაძრების შენახვა; საგზაო ხარჯები (სულ 1920-1921 წლების ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული იყო 1.358.034 მანეთის დახმარება).

1920 წლის 13 აგვისტოს სხდომაზე, სპეციალური დეკრეტით, ძველი სახუროთ-მოძღვრო ძეგლების შეკეთება-დაცვისთვის 2 მილიონი მანეთი გამოიყო. მეორე საეკლესიო კრებაც სახელმწიფოს მიერ დაფინანსდა. სხვათა შორის, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ფორმა კარგად ჩანს სწორედ საქართველოს II საეკლესიო კრების მიერ მიღებულ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებაში. §3-ში აღნიშნულია: „საქართველოს ეკლესიას განაგებს საქართველოს საეკლესიო კრება, რომელ-საც შეადგენს ორ-ორი წარმომადგენელი თითო ოლქისგან. ამათგან ერთი უკველად სამღვდელო პირთაგანი უნდა იყოს, ხოლო

მეორე ეკლესიის სრულწლოვან წევრთაგან, განურჩევლად სქესისა, თანამდებობისა და ხარისხისა (შეიძლება სასულიერო პირი იყოს). ამათ გარდა საეკლესიო კრების აუცილებელ წევრებად მიიჩნევიან ყველა მმართველი მღვდელომზავრები, საკათოლიკოზო საბჭოს წევრები, თითოეული ეპარქიიდან თითო წარმომადგენელი დედათა და მამათა მონასტრებისა, და თითო წარმომადგენელი სასულიერო უმაღლეს და სამუალო სასწავლებელთაგან და ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან“. როგორც ვხედავთ, საეკლესიო კრება არ იყო პირველი და სასულიერო პირთაგან შემდგარი, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ეკლესია ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი სახელმწიფოსგან.

1920 წელს სახელმწიფომ დაიწყო გამოიება გელათის მონასტრის ბერების მიერ სამონასტრო ქონების გაყიდვის ფაქტზე. ამ საქმეზ დიდი რეზონანსი გამოიწვია. გაზეთმა „საქართველოზ“ ამ მოვლენას მთელი რეპორტაჟი მიუმდვნა, მათ შორის, ვრცლად არის აღწერილი ამ საკითხზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდესა და მთავრობის თავმჯდომარის ნოე უორდანიას შეხვედრა. ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა პატრიარქსა და უორდანიას შორის გამართული დიალოგის ერთი მონაცემით: „მისი უწმინდესობა: ჩვენ სწორედ იმისთვის მოვედით, რომ დამოუკიდებელი ეკლესიის სახელით მოგვეთხოვა თქვენი რწმუნებულის მიერ გელათის მონასტრიდან წაღებული ნივთების უკანვე დაბრუნება. მთავრობის თავმჯდომარე: საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელი და თვისუფალი არ არის. ის ჯერ სახელმწიფოსგან გამოყოფიელია, ვერც შევქმნით სახელმწიფოს სახელმწიფოში. რაც შექება საეკლესიო ნივთებს, ისინი შეადგენენ სახელმწიფოს საკუთრებას და სახელმწიფოს საქმეა, სად შეინახავს მათ... უნდა იცოდეთ, ვისთან მიდიხართ“.

მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია და, სახოგადოდ, სოციალისტური პარტიის მომხრე იყვნენ, რაც შეიძლება მაღლე მომხდარიყო ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ დემოკრატიული საქართველოს არსებობის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ ამ განცალკევებისთვის საკანონმდებლო ბაზისის შემუშავება მიმდინარეობდა და დასრულებული სახე მას არ მიუღია. ცალკეული ნაბიჯები



დამფუძნებელი კრუპა

1918 წელს ვე გადაიდგა — სასწავლებლებში აიკრძალა საღვთო რევულის სწავლება, ეკლესიას ჩამოერთვა სამოქალაქო რეგისტრაციის უფლება, გაუქმდა ზოგიერთი საეკლესიო უქმებელება. ეკლესიას ჩამოერთვა ისტორიული მნიშვნელობის მატერიალური ქონება, საეკლესიო მიწები.

საზოგადოებაში ამ საკითხზე ერთსულობება არ იყო. გაზეთი „ნაციონალისტი“, 1920 წლის ოქტომბერში წერდა: „თუ მთავრობამ ძალით გამოყო ეკლესია სახელმწიფოდან, მაშინ ის მთავრობა მოვალე იქნება დააკმაყოფილოს ეკლესია მიწით, ტყით, წყლით, გზით, როგორც რუსეთთან შეერთებამდე იყო. აღუდგინოს ის ქონება, რომელიც რუსის მთავრობამ გაყიდა ან სხვანაირად მოიხმარა, დაუბრუნოს ეკლესიას ცეკველა შენობა თავისი პანისონებით და ქონებით, რომელიც მთავრობამ ჩამოართვა და გაფლანგაო. ჩვენმა მთავრობამ არც თვითონ მიიღო დელგატები და არც არავინ გამოგზავნა კრუპაზე. არ დაინტერესდა არც კრუპის შემადგენლობით, არც საქმით და არც იმით, თუ რას მოითხოვდა ქართველი ერი დელგატების პირით. ზოგმა დელგატთაგანმა კიდეც სთქვა, მინისტრებს

მაშინ ვაგონდებით, როცა პორტფელებს და თავისს პარტიულ ინტერესს იცავს“.

ასევე უნდა ითქვას, რომ მთავარ პორბლემას ეკლესიასა და სახელმწიფოს გაყოფისას, რა თქმა უნდა, ქონების გაყოფა წარმოადგენდა. სახელმწიფო ეკლესიას ართმევდა ცეკველა უძრავ ქონებას, რაც სამღვდელოების პროტესტს იწვევდა. 1920 წელს გადწყვდა შექმნილიყო სპეციალური კანონი, რომლითაც მოხდებოდა ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფა. 1920 წლის სექტემბერში იუსტიციის სამინისტროში აქტიურად მიმდინარეობდა კანონპროექტზე მუშაობა. 16 ოქტომბერს იუსტიციის სამინისტროში გაიმართა კანონების გადამსიხვავი კომისიის კრუპა, რომელსაც თავმჯდომარეობდა დამფუძნებელი კრუპის წევრი სერგო ჯაფარიძე. გაზეთი „საქართველოს რესუბლიკა“ საგანგებოდ განიხილავდა კანონის შექმნის მთელ პროცესს: პირველ სხდომას დაესწრნენ სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნულ საბჭოთა წარმომადგენლები. „განიხილეს საკითხი ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორების შესახებ. კანონპროექტით წინდა ხელულია: 1) უზრუნველყოფა რესუბლიკის მიერ რწ-

გელათი.  
დამიტრი  
ერმაკოვის  
ფოტო



მენის თავისუფლებისა და სარწმუნოებრივ ღვთისმსახურების თავისუფლად წარმოებისა, პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებით სარგებლობა არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ სარწმუნოებას ეკუთვნის ესა თუ ის პირი და არავინ არ შეიძლება იღენებოდეს თავისი რელიგიური შეხედულებისთვის; 2) რესპუბლიკა არ მფარველობს და არ აძლევს ჯილდოსა და სუბსიდიას, რა ფორმითაც უნდა იყოს იგი, არც ერთი სარწმუნოების მსახურთ და უკანასკნელთა უზრუნველყოფას და აგრეთვე სასულიერო დაწესებულებათ მორწმუნეთ ანდობს; 3) მართლმადიდებელ ეკლესიას ისე, როგორც სხვას, ეძღვა უფლება თავისუფალი თვითმოწყობისა; 4) არც ერთ სასულიერო დაწესებულებას არ აქვს უფლება შეიძინოს უძრავი ქონება კერძო საკუთრებად; 5) უძრავი ქონება, რომელიც სასულიერო დაწესებულებათა ხელშია, სახელმწიფოს საკუთრებაში გადადის; 6) განათლების მინისტრს ევალება შეადგინოს სია საეკლესიო ქონებისა, რომელსაც აქვს ისტორიული და მხატვრული ღირებულება და რომელიც სახელმწიფოს პარდაპარ გამგებლობაში უნდა გადავიდეს; 7) არსდება რა თავისუფლება სარწმუნოებრივი

პროპაგანდისა, რესპუბლიკა კრძალავს სასწავლებლებში საღვთიო სჯულის სწავლებას; 8) ცერემონიები, პროცესიები და კულტის სხვა გარეშე გამოხატულებანი წესრიგდება ქალაქთა და ერობათა თვითმართველობების მიერ“.

კანონპროექტმა დამსწრე საზოგადოებაში ცხარე კამათი გამოიწვია. თვითჯდომარე იძულებული გახდა, პროექტის განხილვა გადაედო, მისი დახვეწის მიზნით. შეძღვი (მეორე) სხდომა 20 ოქტომბერს მოწყო. „კომისიამ მიიღო კანონპროექტის 5 მუხლი, რომლის თანახმად: 1) სახელმწიფო არ აწესებს, არ კრძალავს, არ მფარველობს და არ ავიწროებს არც ერთ სარწმუნოებას; 2) კველას, ვინც კი საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს, ეძღვა თავისუფლება სარწმუნოებისა: თანახმად ამ სარწმუნოებისა სათანადო მღვდელმას ხურების შესრულებისა, ერთი სარწმუნოებიდან მეორეში გადასვლისა, და აგრეთვე უფლება, რომ არ ეკუთვნოდეს არც ერთ სარწმუნოებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებადართულია თავისუფალი პროპაგანდა, ქადაგება, სარწმუნოებრივი ხასიათის ლექციების კითხვა და საერთოდ, ნებადართულია სარწმუნოებრივი ბრძოლის წარმოება. არავინ არ იქნება შევიწროებული

მოქალაქეობრივ ან პოლიტიკურ უფლებებში იმის გამო, რომ იგი ამა თუ იმ სარწმუნოებას ეკუთვნის. მოქალაქე არ შეიძლება შევიწროებულ იქნეს პოლიტიკურად არც იმ შემთხვევაში, თუ იგი არც ერთ სარწმუნოებას არ აღიარებს. 3) სახელმწიფო ხაზინის და ადგილობრივ თვითმმართვლობათ თანხები არ შეიძლება დაიხარჯოს ორმეტი სარწმუნოების სასარგებლოდ. შენიშვნა: მესამე მუხლი არ ვრცელდება მდვდელმსახურების შესრულების ისეთ საზოგადო დაწესებულებებზე, როგორიც არის: სატუსაღოები, სააგადმყოფოები, თავშესაფრები, ჯარი, სახალხო გვარდია და ფლოტი. ეს მუხლი არ ვრცელდება არც იმ თანხაზე, რომელიც მოხმარდება ისტორიულ მხატვრულ ღირებულებებს, მონასტრებსა და ეკლესიებს. 4) თავისი სარწმუნოებრივი დაწესებულების და მათი მოსამსახურების შესანახი თანხის შესაქმნელად და აგრეთვე სხვა სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ყოველ სარწმუნოების მიმღევართ ეძლევა უფლება თავისი საზოგადოების შექმნისა (მრევლი, თუმი, ჯაამათი და სხვ.). ამ საზოგადოებებს შეუძლიათ კავშირებში გაერთიანება. ყოველ წევრს შეუძლია გამოვიდეს ან შევიდეს კავშირში უბრალო განცხადებით, მაგრამ კავშირიდან გამოსული არ თავისუფლდება მასზე გაწერილი თანხის გადახდის მოვალეობისგან. 5) იურიდიულ პირთა უფლება ეძლევა იმ სარწმუნოებრივ საზოგადოებებს და კავშირებს, რომლებიც თანახმად კანონისა აღნიშნული არიან საზოგადოებათა და კავშირთა რეგისტრაციით, და რომლებსაც არ დაუსახავთ მიხნად მოგების აღება“.

როგორც ვხედავთ, კანონპროექტი კი არ დაიხვდნა, არამედ მთლიანად შეიცვალა. განსაკუთრებით მნიშვნელოვნია, რომ სახელმწიფო დაწესებულებები, (სატუსაღოები,

სააგადმყოფოები, თავშესაფრები, ჯარი, სახალხო გვარდია და ფლოტი) სასულიერო პირთა საქმიანობა არათუ აიკრძალა, არამედ სახელმწიფო ამისთვის ფინანსურ მხარდაჭერის შესაძლებლობასაც უშებდა (სხვათა შორის, ამ საკითხზე მსჯელობდნენ 1919 წელს საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებშიც და მისაღებად მიაჩნდათ ფრანგული მოდელი, რომელიც აისახა კიდევ კანონპროექტში ამ მუხლის სახით).

1920 წლის ოქტომბრის მიწურულს კომისიამ დაასრულა მუშაობა კანონპროექტზე, რომელიც მთლიანობაში 24 მუხლისგან შედგებოდა. კომისიის მუშაობაზე გაზეთი „საქართველოს რესუბლიკა“ წერდა: „კანონების გადამსინჯავმა კომისიამ დაასრულა განხილვა კანონპროექტისა ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორების შესახებ. 5 მუხლის გარდა, რომელიც უკავე გამოქვეწებული იყო საქართველოს დეპუტათა სააგენტოს მიერ, დამატებითად კიდევ მიიღეს 19 მუხლი. სხვათა შორის, მერვე მუხლში აღნიშნულია, რომ ერთი წლის განმავლობაში ამა კანონპროექტის გამოქვეწებისა, მთელი მოძრავი და უძრავი ქონება, რომელიც კი ეკლესიების და მონასტრების ხელშია, იმ მიწების გამოკლებით, რომელთაც თანახმად აგრარული კანონისა კონფისკაცია ხეხდა, გადადის იმ რელიგიური საზოგადოების განკრაბულებაში, რომელიც კანონიერი გზით შეიქმნა იმ სამრევლოში, სადაც ეს ქონება არსებობს. ამავე საზოგადოებათა ხელში გადავა შენობები და მასთან ერთად მოსამსახურები, რომლებიც ამ სარწმუნოებას მდვდელობმსახურებენ.“

მეცხრე მუხლის ძალით ის შენობები, რომლებსაც ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა აქვს, მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით გადაეცემა სახელმწიფოს. ეს ქონება განათლების სამინისტროს ხელში იქნება.



გელათის მონასტრის  
საკურთხეველი.  
XX საუკუნის  
დასწევისის  
ფოტო. მარც ხნივ  
დასეგნებულია  
ხახულის კარედი  
გაძარცვა



საქართველოს შესამოხელი (შემოთ), აწყურის დვოისმობლის ხატი (ქვეშოთ). გელათი, დიმიტრი ერმაკიუს ფოტოები



სახალხო განათლების სამინისტროს ევალება ამა კანონის გამოქვეყნების დღიდან ერთი წლის შემდეგ შეადგინოს ამგვარ შენობათა სია და მთავრობას წარუდგინოს დასამტკიცებლად. მე-11 მუხლი აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში თუ ქონების გადაცემა სხვადასხვა მიზეზის გამო არ მოხდა განსაზღვრულ ვადაში, იმ შემთხვევაში, სადაც კი ეს ორგანოები არ იქნება, იქ ქონება დროებით გადაუ ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელში. ყველა დავა, რომელიც კი შეიძლება ასტყდეს რელიგიურ საზოგადოებათა შორის, გადაწყდება საოლქო სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებაში“.

მნიშვნელოვანია, რომ XIV მუხლით

სასამართლოს ძალით შეიძლებოდა დახურულიყო „რელიგიური საზოგადოებანი და მათი კავშირები, რომლებიც თავის მიზნებს აღარ ემსახურებიან ან სახელმწიფოს საზარალო მუშაობას ეწევიან“. ასევე საინტერესო იყო X მუხლი, რომლის ძალით სახელმწიფო იტოვებდა უფლებას, რევიზია ჩაეტარებინა „რელიგიურ საზოგადოებათა ხარჯთაღრიცხვასა და გასავალისა“. ამიტომ ყოველი წლის ბოლოს რელიგიურ საზოგადოებებს ევალებოდათ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის წარედგინათ საკუთარი ბიუჯეტი.

საქართველოს ეკლესიის მესვეურნი ამ კანონის მიღების წინააღმდეგი იყვნენ. მათ თავისი მტკიცე პოზიცია პქონდათ ამ საკითხზე, რომელიც პატრიარქმა ლეონიდემ ჩამოაყალიბა ხოვ შორდანიასადმი გაგზავნილ წერილში: „ნუთუ ჩემი მდგომარეობა, როგორც საქართველოს მთელი მორწმუნე მოსახლეობის მამათმთავრისა და დროული საზოგადო მოღვაწისა, საბუთა თქვენთვის იმისა, რომ არათვერი ანგარიში არ გამიწიოთ, ჩვარივით მთელოთ და ჩემდა სრულებით დაუკითხავად ზიდით ტომრუბიდან თქვენს ძირგავარდნილ ხაზინებში ვითომდა დასაცველად სასწაულ-მოქმედი ხატები, ჯვრები, წმინდა ნაწილები, შესამოხები, ბარიძმ-ფეხშუმები და სხვ? არც ითოცხელე, არც გონება და არც მორწმუნე ერისგან მინიჭებული უფლებამოსილება, დვთის მაღლით, ჯვრებით არ დამიკარგავს და ვერ გამიგია, რომელი უფლებით გინებებიათ საქართველოს ეკლესიის საჭირო-მყრიბლის კვერთხის აღება ხელში და ბრძანების გაცემა – ისეთი რამების გადმოტანა გელათის მონასტრიდან, რასაც მორწმუნი მუხლს უყრიან, წმინდა სანთელს უნთებენ და თუ ქებიან მათ, მხოლოდ და მხოლოდ დიდი კრძალვა-მოწიწებით ამბორის ყოფით, ისიც სამღვდელო პირთა დახმარებით და არა სხვა რომელიმე სახით... შეურაცხყავით მორწმუნე ერის სვინდისი. იმ ხალხს, რომელიც ეკლესიის ეზოდან გამოსული ფქს იბერიტყავს, წმინდა ადგილის მტკერი არ გამყვესო, რომელიც ეკლესიის ეზოში ნაცოვნ ღურსმანს ხელს არ ჰყიდებს, დვთისა არისო, თქვენ აბურად იგდებთ, როდესაც მისი სალოცავი და სათავეანო წმინდა ნაწილებით სავსე ხატებს, ჯვრებს და ბარიძმ-ფეხშუმებს ტყემლის ტყლაპების ყუთებში აყრუვინებთ უბრალო საინგის მსგავსად თქვენგან გაგზავნილ საერო პირს. განა

ეს თქვენის მხრით სხვის სვინდისის შეგინება არ არის მორწმუნეთათვის და ბრძოლაში გამოსაწვევი ხელთათმანის გადაგდება არ არის? ნუთუ თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ ამგვარ პროფენაციას მორწმუნე ქართველობა აპატიებს და შეარჩენს ვისმეს? სასტიკად სცდებით“.

ამ წერილს მოჰყვა ზემოთ უკვე ნახსენები პატრიარქისა და მთავრობის თავმჯდომარის შეცველა, რომელიც ასევე მძიმე ვითარებაში წარიმართა. ოფიციალური ცნობით, უორდანის შეურაცხყოფა მიაქცეს სასულიერო პირებმა და, კერძოდ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა. მეორე დღესვე ეს ამბავი პრესის განხილვის საგნად იქცა. ოფიციალური ინფორმაცია კი ასეთი იყო: „საქათალიკოსო საბჭომ ორი დღის წინათ სთხოვა ბ-ნ მთავრობის თავმჯდომარეს, დაენიშნა დრო საკათალიკოსო საბჭოს დელეგაციისთვის აღნიშნულ საქმის გამო მოსალაპარაკებლად. ბ-ნ მთავრობის თავმჯდომარემ მოსალაპარაკებელ დროდ საბჭოს დაუნიშნა დეკემბრის ექვსი 12 საათზე. აღნიშნულ დროზე ბ-ნ მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგა საკათალიკოსო საბჭოს დელეგაცია კათალიკოზ-პატრიარქის ლეონიდეს მეთაურობით. მისელისთანავე კათალიკზმა მიმართა მთავრობის თავმჯდომარეს სრულიად დაუშვებელ და შეუწინარებელ სიტყვებით. მან სამდგედელოების სახელით მთავრობის თავმჯდომარეს გამოუცხადა „გაკიცხვა, აღსაშფოთებელი გულისწყრომა და პროტესტი“ სხვა ასეთი სრულიად უდიერი სიტყვებით. ბ-ნ მთავრობის თავმჯდომარემ ამის შემდეგ დელეგაციას განუცხადა: საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი და მისი მთავრობის თავმჯდომარე ასეთ შეურაცხმყოფელ სიტყვებს ვერ მოისმენს და ამიტომ მათთან ყოველგვარ ლაპარაკს სწევეტსო. მე ვფიქრობი, — განუცხადა თავმჯდომარემ, — რომ თქვენ მობრძანდით საქმეზე მოსალაპარაკებლად და არა შეურაცხყოფის მოსაყენებლად. ამის შემდეგ დელეგაცია იძულებული იყო დაეტოვებინა მთავრობის თავმჯდომარის კაბინეტი“.

ვითარება სხვაგვარად აქვს წარმოგენილი გაზეთ „საქართველოს“, რომელმაც თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, ე.წ. უურნალისტური გამოძიება ჩაატარა. ამ მასალით აშკარად ჩანს ნორ უორდანის ნებატიური დამოკიდებულება იმ საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით, რისთვისაც

მას სამდგედელოების დელეგაცია ქვია. ბუნებრივია, სახელმწიფოსა და ეკლესიის ასეთმა წინააღმდეგობამ ნაწილობრივ შეაფერება კანონის მიღება. მოგვიანებით 1921 წლის კონსტიტუციაშიც კარგად ჩანს, რომ მთავრობამ ბოლომდე შეინარჩუნა სიფრთხილე ამ საკითხთან დამოკიდებულებაში. კონსტიტუციის მე-16 თავი ეძღვნება სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას და შედგება სამი მუხლისგან: სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებული და დამოუკიდებელი არიან; არც ერთ სარწმუნოებას არ აქვს უპირატესობა; ხაჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო კომისია ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხზე ვრცლად მსჯელობდა, მთელი 1919-1920 წლის განმავლობაში, მაინც საბოლოო ვარიანტში მოკლე ფორმულირებით შემოიფარგლა და ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა შესაბამისი კანონის საგნად მიიჩნია. თუმცა, ბოლშვიკების საქართველოში შემოსვლის შემდეგ ეს საკითხი დღის წესრიგში აღარ დამდგარა.

## პაპა სამუშაო

თუ პროფესორი, უურნალ  
„ისტორიანის“ მთავარი რედაქტორი

1921 წლის კონსტიტუციაში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას მე-16 თავი ეძღვნება, რომელიც სამი მუხლისგან შედგება



# 26 მაისი

## მცხოვრის მოვინის აქტის



### ამიერკავკასიის სამინის უკანასკნელი სხდომა

1918 წლის 26 მაისს გამართა ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა. უკვე წინასწარ იყო ცნობილი, რომ 26 მაისის სხდომა უკანასკნელი იქნებოდა, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო.



ქარლო  
ჩეგიძე

სასახლესთან დილიდან ბევრ წალხს მოჟარა თავი. ელოდებოდნენ სეიმის გადაწყვეტილების ფორმალურ დაკანონებასა და საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას. თვით სეიმის სხდომათა დარბაზი ხალხით იყო გადაჭვდილი. სეიმის წევრებმა შეკრება პირველის ნახევრიდან დაიწყეს. 12:45 საათზე სხდომა გახსნილად გამოცხადა მისმა თავმჯდომარებ, კარლო ჩეგიძე. სიტყვით გამოვიდა ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობის დროებითი თავმჯდომარე ნოე რამიშვილი, რომელმაც კრების წინაშე ვრცელი სიტყვით წარმოადგინა შექმნილი პოლიტიკური მდგრადობა, საზაო მოლაპარაკების შედეგები და ამიერკავკასიის საშინაო მდგრადობა. როგორც ნოე რამიშვილის სიტყვიდან ირკვეოდა, საზაო დელგაციებმა აქამდე გამართა ერთო ოფიციალური სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის, ოსმალეთისა და გერმანიის წარმომადგენლები. ორატორის თქმით, საზაო მოლაპარაკებს ბათუმში არანაირი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. ამის შემდეგ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ირაკლი წერეთელი. მან სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით განაცხადა, რომ



ურაქციის აზრით, საჭირო იყო გადადგმულიყო  
გადამწყვეტი ნაბიჯები, რომელიც ქვეყანას გა-  
მოიყანდა იმაშინდელი გაჭირვებიდან. „ჩვენ  
კარგად გვესმის, — განაცხადა ორატორმა, —  
რომ სხვადასხვა ერტბს შორის შეიძლება არსე-  
ბობდეს სხვადასხვა მისწრაფება და ორიენტა-  
ცია და ამ თვალსაზრისით ამიერკავკასია უკვე  
არ წარმოადგენს ერთს მთლიანს სახელმწი-  
ფოს. სახელმწიფოებრივი ერთობა მტკიცდება  
სანგრძლივ ისტორიულ უძრავ შესლელობაში,  
ხოლო ჩვენ იძულებული ვიყენით შეგვექმნა  
ეს ერთობა საქართოდ, მტრის მახვილის ქვეშ.  
ჩვნითვის საშიშია არა გარეშე მტერი, არამედ  
ის გამთიშველი ძალები, რომელიც თან დაპყვა  
ამიერკავკასიის სახელმწიფოებრიობას. შექმ-  
ნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ქარ-  
თველ ხალხს უნდა მიეცეს საშუალება, თავისი  
სახელმწიფოებრივი ცხოვრება მოიწყოს. ჩვენი  
ვალდებულებაა ვუთხრათ ქართველ ხალხს,  
რომ ის დარჩენილია მარტოდმარტო, რომ მან  
თვით უნდა იზრუნოს თავის ბედზე. ერთიანი  
ამიერკავკასია, ფაქტობრივად, არ არსებობს, ეს  
უნდა აღიაროს სეიმმა და უარი თქვას თავის უფლებებზე (ხანგრძლივი ტაში)“.

სხდომაზე ასევე სიტყვით გამოვიდნენ:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის  
დამფუძნებელი კრების სხდომა. პრეზიდენტმა:  
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მთავრობის  
აღმენიდრუ ლიმბიათიძე. მთავრობის ლოფაში  
სხდომა: ნოე ეორდანია, გიორგი ლასხიშვილი,  
შალვა ალექსანდრე სხიშვილი, ქვენა გეგეჭორი, ნოე  
ხომერიძი. უურნალისტთა ლოფაში დგას მწერალი და  
უურნალისტი იდია ზურაბიშვილი

რუსტამბეკოვი (მუსავატელი), აღამალოვი,  
სემენოვი (კადეტი), ხაჩატურიანი (დაშნავი),  
ბერეზოვი (სოციალისტ-რევოლუციონერი),  
გიორგი ლასხიშვილი (სოციალ-ფედერალისტი),  
გობექია (სოციალისტ-რევოლუციონერი)  
და გიორგი გვაჩავა (ეროვნულ-დემოკრატი).

დასასრულ, სოციალ-დემოკრატებმა წარ-  
მოადგინეს რეზოლუცია: „ვინაიდან ომისა  
და ზაგის საკითხში აღმოჩნდა ძირითადი  
სხვადასხვაობა იმ ერთა შორის, რომელთაც  
შეჰქმნეს დამოუკიდებელი ამიერკავკასიის  
რესპუბლიკა, შეუძლებელი შეიქნა გამოსვლა  
ერთი აკტორიტეტიან მთავრობისა დამოუკიდე-  
ბელ ამიერკავკასიის სახელით. სეიმი ადასტუ-  
რებს ამიერკავკასიის ფაქტობრივად დაშლას  
და უარს აცხადებს თავის უფლებებზე“. ეს  
რეზოლუცია მიიღეს ხმის დიდი უმეტესობით.  
წინააღმდეგი იყო მხოლოდ ორი კაცი დაშანაკუ-  
ბის ფრაქციიდან. სხდომა ამით დასრულდა.

სეიმის თავმჯდომარებ ბერლინის, სტამ-  
ბოლის, პარიზის, ვენის, ლონდონის, რომის,  
ვამინგტონის, მოსკოვის, მადრიდის, ჰააგის,  
კიუვის, სტოკოლმის, კოპენჰაგენის საგარეო  
საქმეთა მინისტრებს აცნობა ამიერკავკასიის  
ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის შესახებ.



ირაკლი  
წერეთელი



საქართველოს  
ეროვნული  
საბჭოს  
ისტორიული  
სხდომის  
მონაწილეობი

## ეროვნული საბჭოს ისტორიული სხდომა

ამიერკავკასიის სეიმის დაშლის შემდეგ გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიული სხდომა, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. გაზეთი „საქართველო“ ასე აღწერს სხდომის იმ წუთებს, როცა გამოცხადდა დამოუკიდებლობა: 17:00 საათი — „საათით, თუ საათ-ნა ხევრით წინ დასრულდა ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა. წავიდ-წამოვიდნენ ისნი, ვინც დიდის სიხარულით არ შეეგებნენ საქართველოს სახელმწიფო ბრიფი დამოუკი-

დებლობის გამოცხადებას. იწმინდება პაერი. ყვითელ დარბაზში გაისმის დამოუკიდებელ საქართველოს შეილთა წყნარი საუბარი. მათი მხიარული თვალები ხან თუ დარბაზში მოდღესაწაულე საქართველოს ეროვნულ დროშას აჩერდებიან, ხან ფიქრებში წასულნი, უმშერეს დღესასწაულზე შემსწრე უცხოელ სტუმრებს. გარეთ — ურიამული... ტაში... ლუდუკა... მალე პრეზიდიუმის მაგიდასთან წარმომდგარ წოე ჟორდანიას ფეხზე ამდგარი ხალხი მეუხარე ტაშით ევებება. ისმის მხიარული შეძახილები: გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს! გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას!“

გორგო  
გვაშვილი

წოე ჟორდანიამ გახსნა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა და ვრცელი სიტყვით მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. შემდეგ უკვე გადავიდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხზე: „ქლა, ნება მომეცით გადავიდეთ იმ საგანზე, რომლისთვისაც ჩვენ დღეს აქ შევიყარენით. ჩვენ გვაქვს შემუშავებული აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა. მომეცით ნება, ეს აქტი იქმნას წაკითხული (ხმები: გთხოვთ! გთხოვთ! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!)“.

წოე ჟორდანია კითხულობს დამოუკიდებლობის აქტს. ხალხი ხანგრძლივი ტაშით ევებება... (მოისმოდა ხმები: „გაუმარჯოს საქართველოს!“ „ხალხს მივულოცოთ,



ხალხს!“ აივანზე გააქვთ დღოშა და ისმოდა ყიუინი და ხანგრძლივი ტაში. იმავე ტექსტს გრიგოლ ვეშაპელი კითხულობს რუსულად. სხდომაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის წინააღმდეგ ხმა არავის მიუცია, ასევე არავის შეუკავებია თავი ხმის მიცემისგან. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ერთხმად მიიღეს. სხდომა ამით დასრულდა, თუმცა ზეიმი არ დასრულებულა. ამ ფაქტის მონაწილეები მხიარული სახეებით ერთმანეთს უღლცავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას. სასახლის ეზოში ქართველ ჯარისკაცთა რაზმი იდგა. მოითხოვდნენ ორატორებს: „წერეთელი, წერეთელი. ჩხეიძე... მესხიშვილი, ქარუმიძე... გეგეჭკორი...“ ილაპარაკეს: „წერეთელმა, ჩხეიძემ, მესხიშვილმა, ქარუმიძემ, ვლასა მგელაძემ, როსტომაშვილმა და სხვებმა.

## საქართველოს დამოუკიდებლობის პეტი:

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

XVIII საუკუნის დასასრულს ყოველმხრივ მხრით მტრისგან შევიწროებული საქართველო თავის ნებით შეურთდა რუსეთი იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისგან დაეცა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრუ-

ლიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია.

დარწმუნებ რა თავის ძალითის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თავად ითავეს საკუთარი საქმეების გაძლოლა, პატრონობა და შესატერი ორგანოები შეპქნეს; მაგრამ გარეშე ხალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და ამით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფო ფორმით იმართვანია შეპქნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაყრობისგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგო.

ამისდა თანახმად, საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბერს არჩეული, საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა — დემოკრატიული რესპუბლიკა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობა.

## საქართველოს დამოუკიდებლობის პრეზი

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო და თავისუფალი სახელმწიფოა.

„მეტობის შემცირებული საქართველოს გადამდებრებული საქართველოს დამოუკიდებლობის შემცირებული ფორმის შემცირებული რესტრუქტურის მიზნით, რომ რუსეთი ვალდებული იყო და რუსეთში შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრუ-

ლიად და საქართველოს სახალის სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველოს დამოუკიდებლობის შემცირებული სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს თოლირი უფლებათა შემცირებული რესტრუქტურის და რესპუბლიკა.

3) საქართველოს მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკა საქართველოს მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის სახელმწიფო თანასაზღვრობის შემცირებული შემცირებული მოქადაციის სისტემის და პილიტიკურ უფლებების განაწილებულ გრძელი გარეშე და მთ მიერგავისით პალიტიკური მოქადაციის და დამატებულ გადამდა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფლ ასპარეზის გაუსახის მას ცენტრითობას და გადამდა.

7) დამოუკიდებელ წერტის შეტებულება მოქადაციის სახელმწიფოს მართვა-გადამდების საქმეს უფლება ერთობენ საბჭო, რომელიც შეტებული იქნება ერთობენ უმცირესობის წილით და დამოუკიდებელი მოქადაციის მართვის სახელმწიფებული საბჭოს.

8) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფლ ასპარეზის გაუსახის მას ცენტრითობას და გადამდა.

9) დამოუკიდებელ წერტის შეტებულება მოქადაციის სახელმწიფოს მართვა-გადამდების საქმეს უფლება ერთობენ საბჭო, რომელიც შეტებული იქნება ერთობენ უმცირესობის წილით და დამოუკიდებელი მოქადაციის მართვის სახელმწიფებული საბჭოს.

10) დამოუკიდებელ წერტის შეტებულება მოქადაციის სახელმწიფოს მართვა-გადამდების საქმეს უფლება ერთობენ საბჭო, რომელიც შეტებული იქნება ერთობენ უმცირესობის წილით და დამოუკიდებელი მოქადაციის მართვის სახელმწიფებული საბჭოს.

„რომ იმ დღეს თავის საუკუნით საქართველოს გადამდებრებული და მოქადაციის მიზნით, რომ მთელი საომარი ფრონტი სრუ-

ლიად და საქართველოს გადამდებრებული და მოქადაციის მიზნით, რომ მთელი საომარი ფრონტი სრუ-

ლიად და რუსეთში შემცირებული და მოქადაციის მიზნით, რომ მთელი საომარი ფრონტი სრუ-

ლიად და რუსეთში შემცირებული და მოქადაციის მიზნით, რომ მთელი საომარი ფრონტი სრუ-

ლიად და რუსეთში შემცირებული და მოქადაციის მიზნით, რომ მთელი საომარი ფრონტი სრუ-

ლიად და რუსეთში შემცირებული და მოქადაციის მიზნით, რომ მთელი საომარი ფრონტი სრუ-

ლიად და რუსეთში შემცირებული და მოქადაციის მიზნით, რომ მთელი საომარი ფრონტი სრუ-



გიორგი  
ლასხიშვილი

თობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრუ სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განუჩვლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების მოწვევამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.



გრიგოლ  
გომირგაძე

### საქართველოს დროებით მთავრობის შემადგენლობა:

თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი — ნოე რამიშვილი

საგარეო საქმეთა მინისტრი — აკაკი ჩხერიელი

სამწედრო მინისტრი — გრიგოლ გიორგაძე

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი — გიორგი შურული

განათლების მინისტრი — გიორგი ლასხიშვილი

მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი — ნოე ხომერიკი


იუსტიციის მინისტრი — შალვა მესხიშვილი

გზათა მინისტრი — ივანე ლორთქიფანიძე

### მილოცვები 1918 ფლის 26 მაისს

საქართველოს დამოუკიდებლობა მიუღლოცეს საბჭოზე მყოფმა სხევადასხვა წარმომადგენლებმა.

მაპმადიანთა წარმომადგენელი ხანხოელი ულოცას საქართველოს დამოუკიდებლობას: „მაპმადიანთა ცენტრალური კომიტეტის სახელით მოგილოცავთ, დამოუკიდებელ საქართველოს მოქალაქეონთქენს დღევანდელს ბედნიერებას. საუკუნეზე მეტია, რაც საქართველო იბრძოდა



თავის დამოუკიდებლობისთვის და აი, დღეს აგისრულდათ ის ნატერა, რომელიც ჩამარხული იყო ყოველ ქართველ მაჟულიშვილის გულში“.

პოლონელთა წარმომადგენლის მილოცვა: „ჩვენ, პოლონეთის შვილები, მივესალმებით მებრძოლ საქართველოს თავისუფალ შვილებს და ვუსურვებთ ყოველზე სიკეთეს. გაუმარჯოს საქართველოს“.


ოსების წარმომადგენლის გაგლოვების მილოცვა: „მშანავებო და მოქალაქენო! ამ ტრიბუნაზე მე განვიცდი იმავ გრძობას, რომელსაც განიცდით ოქენე. ეს გასაგებიც არის, მე ვარ წარმომადგენელი არა მარტო ოსების, არამედ საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრიც. ოვით ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ ამ ორ ერს შორის არის ისეთი რამ კავშირი, რომელიც აერთინებს მათ“.

ქართველ მაპმადიანთა წარმომადგენელი ჰაიდარ-ბეგ აბაშიძის მილოცვა: „ძვირფასო მმნო! დღეს თქვენი მომე ქართველი მაპმადიანები გილოცავთ საქართველოს განთავისუფლებას. გილოცავთ მრავალტანჯულ საქართველოს დამოუკიდებლობას. მე იმედი მაქეს, რომ სამაპმადიანო საქართველო დღეს თუ არა, ხელ ჭირშიც და ლინშიც თქვენთან იქნება. მაშ, გაუმარჯოს დღეს ამ საქართველოს, შემდეგ კი ეროვნულ ტერიტორიულად შეკავშირებულ საქართველოს“.

გერმანიის რწმუნებულის კაიზერის მილოცვა: „ოუმცა მე ჩემი მთავრობისგან არ მაქვს ოფიციალური დაგალება, მაგრამ მე პირადად მოგილოცავთ დამოუკიდებლობის დამყარებას და ვუსურვებ ახლად დაარსებულ სახელმწიფოს ყოველივე სიკეთეს და წარმატებას“.

ამიერკავკასიის გერმანელთა წარმომადგენელი ფრიკი ამიერკავკასიის გერმანელ ახალშენითა სახელით ულოცავდა კრებას საქართველოს დამოუკიდებლობას, გამოსთქვამდა სურვილს, რომ საქართველო აღმდგარიყო ნანგრევებიდან და განახლებულიყო როგორც ფენიქსი.

საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ მთავრობის თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა მსოფლიოს სახელმწიფოთა მთავრობებს ტელეგრამით ამცნო ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაბადება.



ნინო  
რამიშვილი



აგიქა  
ჩავჩავაძე

# ԱՐԵՎԱԿԱՆ

2018 թվականի մայիսի եռամբնակ լուսահատ



# პოლიციური სკრინადი პუთინის შეჩისძიების მოწიდი მსხვერპლის

გასულ თვეში რუსეთის სამხედრო დაზერვის (გე-ერ-უ) ყოფილი პოლიციენიკის, სერგეი სკრიპტალის ქალიშვილი, იულია სკრიპალი, საავადმყოფოდან განერეს. გავრცელებული ცნობით, ის უსაფრთხო ადგილას გადაიყვანეს. აპრილის დამდეგს დიდი ბრიტანეთის პოლიციამ გაავრცელა იულიას განცხადება, რომ მისი მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდებოდა. „დაახლოებით ერთი კვირის წინ მოვედი გონის. მიხარია, რომ ყოველდღე ძალა მემატება. მადლობას ვუხდი ბევრ ადამიანს ჩემს ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის. განსაკუთრებული მადლობა მინდა უკონტროლირებული სოლსბერელებს, რომელებიც მე და მამაჩემს დაგვეხმარნენ“, — ნათქვამია განცხადებაში. რაც შეეხება სერგეი სკრიპალს, ის კვლავ საავადმყოფოშია, თუმცა მისი მდგომარეობა უმჯობესდება. თითქოს ყველაფერი „ბედნიერი დასასრულისკენ“ მიდის, თუმცა კითხვა ჯერ კიდევ მრავალია.

12 მარტს, მომხდარი დანაშაულიდან ცხელ კვალზე, პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას დოდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ განაცხადა, რომ სკრიპალი და მისი ქალიშვილი მოზამლეს სამხედრო ნერვულ-პარალიტიკური ნივთიერებით, რომელიც ე.ნ. ნოვიჩოვის ჯეგუფს განეკუთვნება და ის რუსეთში მზადდებოდა. ეს დანაშაული ან პირდაპირ რუსეთის დავალებით ჩაიდინეს, ან რუსეთმა კონტროლი დაკარგა ამ მომამვლელი ნივთიერების შენახვაზე, ამგვარი იყო ტერეზა მეის დასკვნა...



# თავისუფლების ჯარისკაცი

მიხეილ ქავთარაძის  
ბახსენება

ათა წლის წინ, საქართველოს დედაქალაქში, მიწას მიაბარეს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ჟურნალისტი და პუბლიცისტი მიხეილ ქავთარაძე (1906-2008). იგი გამორჩეული ბედის მქონე ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდა. ამაში დარწმუნდება ყველა, ვინც კი მის მიერ განვლილი ცხოვრების ხანგრძლივ და წინააღმდეგობებით აღსავსე გზას გაეცნობა.

საბჭოთა არმიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის (1921 წ.) შემდეგ, ქართველ მამულიშვილთა მნიშვნელოვანი ხაწილი იძულებული გახდა, ემიგრაციაში გახიზნულიყო. მათ უმეტეს-



ემირანტი მიხეილ  
ქავთარაძე პარიზის  
ქუჩებში სეირნობისას.  
გადაღებულია  
II მსოფლიო ომის  
დარღვევების შემდეგ



მიხეილ ქავთარაძე ემიგრაციაში წასვლამდე

ობას დრმად სწამდა, რომ საზღვარგარეთ დროებით მიდიოდა და თავის სათავეანებელ სამშობლოში ადრე თუ გვიან აუცილებლად დაბრუნდებოდა.

ქართული ემიგრაციის ტალღას 1927 წლიდან შეუერთდა 21 წლის მიხეილ ქავთარაძე — სენაკელი საქალესიო აზნაურის, ერისტო ქავთარაძის ვაჟი.

დიდი ილა ჭავჭავაძის იდეაბზე აღზრდილმა, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრმა, დასაგლეთ ევროპაში მოქლი 76 წელიწადი იცხოვრა. ამის მიუხედავად, არასოდეს უცხოვრია საქართველოს გარეშე, რისი ნათელი დადასტურებაც არის მისი მემუარები, პუბლიცისტური წერილები და ლექსები.

97 წლისას ოცნება აუხდა და 2003 წელს საქართველოში დაბრუნდა. სამშობლო დატოვა სიმპათიურმა, წარმოსადეგმა ჭაბუკმა, რომელიც უკან ღრმა მოხუცებული და თვალდაშრეტილი დაბრუნდა. ოთხ წელიწადზე ოდნავ მეტხანს იცხოვრა ახალ საქართველოში და ბოლოს მშობლიურ მიწას შეუერთდა... 102 წელს მიღწეული მიხეილ ქავთარაძე 2008 წლის 9 იანვარს, თბილისში გარდაიცვალა. ფაქტობრივად, არ ყოფილა სხვა ქართველი ემიგრანტი, რომელსაც საუკუნეზე მეტხანს სიცოცხლის შემდეგ სუ-

ლი სამშობლოში დაელია. ბატონი მიხეილი ამ მხრივაც გამორჩეული ბედის გამოღვა.

მასესნედება მისი გაცნობის უწვეველო ამბავი...

2004 წლის შემოდგომაზე, უნივერსიტეტში ლექციის კითხვისას, საუბარი ჩამოვაგდე ქართველ ემიგრანტებზე და მათ შორის მიხეილ ქავთარაძეც ვახსენე. თან დავძინე, რომ იგი შარშან სამშობლოში დაბრუნდა-მეთქი.


უცებ, ჩემს ლექციაზე მყოფმა ნიჭიერმა სტუდენტმა სოფო ჯაჯანაშვილმა წამოიძახა, — მიხეილ ქავთარაძე დედაჩემის ბიძაა და ჩვენს ოჯახში ცხოვრობსო...

ყოველთვი ამას მოჰყევა ჩემი მაწვევა სოსო ჯაჯანაშვილის (მიხეილ ქავთარაძის ძმისწულის — ნანა ქავთარაძის მეუღლე) ოჯახში.

იმხანად უკვე წაკითხული მქონდა მიხეილ ქავთარაძის მემუარული ნაშრომი „იანიჩარები“, საიდანაც მახსოვდა, რომ იგი სენაკიდან იყო. ასევე ვიცნობდი მის პოლტურ შემოქმედებას, სადაც ბატონი მიხეილი ქართულად დაწერილ ლექსებში ზოგჯერ მეგრულ სიტყვებსაც ჩაურთავდა ხოლმე. მაგალითად, ლექს „პარიზიდან ტფილისამდე“ ასე ამ-თავრებდა:

გთხოვთ, მეობრებო, ნუ ფიქრობთ  
ჩემს აქაურ სამარხზე,

ოდიშის  
თავად  
გიორგი  
ჩიჩუას  
ასული  
— ნუცა  
და მისი  
მეუღლე,  
აფხაზი  
თავადი  
ასტამურ  
სათ-  
ბეს ძე  
ინალ-იცა



აფხაზეთას წარჩინებული თავადები. მარცხნიდან:  
გიორგი კონსტანტინეს ძე შარგაშიძე, ალექსანდრუ  
გრიგოლის ძე შარგაშიძე, ალექსანდრე (დგას),  
მელიქონ ბატას ძე ემუხარი და ასტამურ სათ-ბეს  
ძე ინალ-იცა (XX საუკუნის დასაწყისი)





საგანგებო დანიშნულების რაზმის, „თამარ II“-ის სამხედრო მოსამსაზურული. ცენტრში ზის მიხეილ ქავთარაძე. მარც ხნიდან დგანან: ვიქტორ ნიზაძე, მიხეილ დადიანი, უცნობი, არჩილ დადიანი და გიორგი ნიზაძე. ფოტო გადაღულია ბუქარესტის მდებარე კოტროლენის ბანაკში (1941 წ.).

გემუდარებით, მომწეროთ  
ტფილისურ მისამართზე.  
გული იმ მიწის ერთგულად  
ხომ იქავე დარჩა.  
როგორც იტყვიან მეგრულად:  
„ჩქიძი ღურაშ დღაშა“.

ყოველზე ზემოთქმულის გათვალისწინებით გადავწყვიტე, ბატონი მიხეილისთვის სასიამოვნო სიურპრიზი მომემზადებინა.

იოსებ ყიფშიძის ქუჩაზე მდებარე ჯავანაშიკილების ბინას ჩებს უფროს მეგობართან, ექიმ ზურაბ ჩიქოვანთან ერთად ვესტუმრე. ბატონი ზურაბი შემთხვევით არ შემირჩევია. იშვიათად მინახეს არაისტორიკოსი, რომელმაც მასავით ღრმად იცოდეს საქართველოს ისტორიული მხარეების (განსაკუთრებით ოდიშ-აფხაზეთის) ისტორია და ეთნოგრაფია. ვფიქრობი, გარდა იმისა, რომ ორივე საქართველოს ერთ-ერთი უშვენიერესი კუთხის — სამეგრულოს შვილები არიან, ქართულთან ერთად, მეგრულიც იციან და ერთმანეთს კარგად გაუგებებ-მეთქი.

ოჯახში შესვლისთანავე ნანა ქავთარაძემ ბიძასთან წარგვადგნა. საყარძელში დარბაის-ლურად იჯდა ჭარმაგი, სიმპათიური მამაკაცი,

რომელიც თვეის ასაკთან შედარებით გაცილებით ახალგაზრდას ჰგავდა.

თვედაპირებელად სიტყვაძუნწობდა. ვითარება მხოლოდ მას შემდეგ შეიცვალა, რაც ადამიანურ ურთიერთობათა კარგმა მცოდნემ, ზურაბ ჩიქოვანმა მასპინძელს მეგრულად მიმართა და გაიხსენა მიხეილ ქავთარაძის შმობლების ახლობლები: გიორგი ჩიჩუა, მისი ასულის, ნუცა ჩიჩუას აფხაზი მეუღლე — კალდახვარელი თვადი ასტამურ ინალ-იფა, შარგაშიძეები, დადიანები, მარდანიები და საუკუნის წინანდელი ოდიშ-აფხაზეთის სხვა უწინჩინებულესი წარმომადგენლები.

მანამდე თავშეკავებული მოხეცი მოულოდნელად ენაწყლიან მოსაუბრედ იქცა. მათი ქართულ-მეგრული საუბარი კარგა ხანს გარძელდა...

ბატონმა მიხეილმა აღნიშნა, რომ ემიგრანტი ქართველი მამულიშვილებისთვის ზნეობრივ იდეალს წარმოადგენდა ლეგენდარული ქაქუცა ჩოლოუაშვილი, რომლის დაკრძალვას 1930 წელს, სენტ-უანის სასაფლაოზე თავადაც დასწრებია. მისივე თქმით, 42 წლის გმირის გარდაცვალება ქართველებთან ერთად იგლო-

ვეს დაკრძალვაზე მოსულმა ჩრდილოეთკავკა-  
სიელმა ემიგრანტებმაც.

მიხეილ ქავთარაძემ წუხილი გამოთქვა,  
ჩოლოფაშვილის სახელს სათანადოდ ვერ  
ვაფასებთო (მოგვანებით, როცა ვაცნობე,  
რომ გადაწყვდა ქაჯუცას ნეშტის მთაწმინდაზე  
გამომსვენება და მისი პორტრეტის გამოსახვა  
საქართველოს ეროვნული ბანკის 200-ლარიან  
კუპიურაზე, მახსოვს, ძალიან გაიხარა).

მან ა სევე პატივისცემით გაიხსენა  
ეროვნულ-დემოკრატია ლიდერი სპირიდონ  
კედია და მისი შეუღლე — გამორჩეული  
მანდილოსანი სოფიო ჩიჯაგაძე, რომელიც  
108 წლის ასაკში პარიზში გარდაიცვალა და  
შესანიშნავი შემუარები დაგვიტოვა...

დაუვიწყარია მიხეილ ქავთარაძის მო-  
ნათხოვი II მსოფლიო ომის დროს ჩრდი-  
ლო-დასავლეთ კავკასიაში მისი ჩამოსვლის  
შესახებ. მისანად, გერმანიის შეიარაღებული  
ძალების შემადგენლობაში შემავალმა და  
ძირითადად ქართველი ემიგრანტებისგან  
დაკომპლექტებულმა სამხედრო შენაერომა  
ბრძოლით მოაღწია საქართველოს საზღ-  
ვრამდე და ზემო რაჭის გადაღმა დაპანაკდა.

მიხეილ ქავთარაძემ გაიხსენა: „1942 წლის  
ზაფხულში ჩრდილოეთ კავკასიაში შეჭრილი  
გერმანული არმია, რომლის შემადგენლო-  
ბაში ქართული ლეგიონიც ირიც ხებოდა,  
აღმოსავლეთით წინსვლას განაგრძობდა.  
მან თანამიმდვრულად დაიკავა ქალაქები:  
სტავროპოლი, არმავირი, მაიკონი და კრასნო-  
დარი, ხოლო 21 აგვისტოს ვეროპის უმაღლეს  
მწვერვალ იალბეზზე სკასტიკიანი დროშა  
ააფრიალა. ამის შედევ გერმანულმა ჯარმა  
აიღო ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქი მოზდოკი,  
ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქი ნალჩიკი,  
ბოლოს კი ინგუშეთის ქალაქ მალგობეკამდეც  
მიაღწია. ქალაქი ორჯონიკიძე (ვლადიკა-  
ვკაზი) დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან,  
ფაქტობრივად, ალყაში იყო მოქცეული და მის  
დაცემას დღე-დღეზე ველოდით ჩრდილოეთი  
ოსეთის დასავლეთ ნაწილში ძლებარე ურუ-  
ხის ხეობაში დაბანაკებულ ჩეგნს სამხედრო  
შენაეროს, რომელიც ქართული სამფეროვანი  
დროშის ქვეშ იძრითდა, საქართველომდე სულ  
რამდენიმე კილომეტრიდა აშორებდა. იმედით  
გავეურებდით კავკასიონის დათოვლილ ქედს,  
რომლის გადაღმაც ჩვენი სამშობლო გვეგუ-  
ლებოდა. რამდენჯერმე საქართველოდანაც  
გადმოვიდნენ და გვამცნეს — თბილისში

საიდუმლო ანტისაბჭოური ორგანიზაციები  
მოქმედებენ და ოქენი შემოსევლისთანავე  
საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას  
აპირებენ. თვით ქართველი კომუნისტების  
ერთო ნაწილიც კი გვიგზვნიდა შუამავლებს  
და გარიგებას გვთავაზობდა.

ამასობაში, მიხეილ ედიას საიდუმლო  
დაყალებით, ბერლინიდან ნალჩიკში ჩამოვიდ-  
ნენ ალექსანდრე ასათიანი და ალექსანდრე  
ცომაია, რომლებმაც ყაბარდოში მცხოვრები  
რაჭველების მეშვეობით კავშირი დაამყარეს  
საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებასთან.  
ქართული ემიგრაციის მიმართვა საბჭოთა  
ხელისუფლებისადმი შეიცავდა შემდგვინე-  
ტრუქციას: „სანამ გერმანულ ჯარს კავკასიო-  
ნი არ გადმოულახას, სამშვიდე შეინარჩუნეთ,  
ხოლო როდესაც დაიწყება მათი წინსვლა  
სამხრეთით, დაასწარით და საქართველოს  
დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადე-  
თო!“ ნალჩიკელმა რაჭველებმა, რომლებიც  
საქართველოსთან შუადმივ კავშრის მამისონის  
უღელტეხილის საშუალებით ინარჩუნებდნენ,

მიხეილ ქავთარაძე საგანგებო დანიშნულების რაზმის,  
„თამარ II“-ის ქართველ მოხალისებრის ერთად,  
კოტროჩინის ბანაკში (1941 წ.)





▲  
გერმანელმა  
სამთო

**ვერტბმა**  
**დალაშქრუს**  
**ვრომის**  
**უძღვესი**  
**შეგრძალი**  
—  
ალბუში  
(1942 წლის  
21 აგვისტო)

▼  
სასტიკიანი  
დროშა  
ალბუშზე

თბილისიდან ჩამოგვიტანეს ქართველ ხელი-სუფალთა საიდუმლო შემონათვალი: „ჩვენც ასევე ვფიქრობთ“.

ეს გეგმა ჩაშალა გერმანელების კატასტროფულმა მარცხმა სტალინგრადთან, რის გამოც იძულებული შევიქნით, დაგვეტოვებინა ჩრდილოეთ კავკასია და სამშობლოში დაბრუნების იმედიც კარგა ხნით გადაგვწურა... მაზსოვს, იმ დღეს, როცა უკან ვიხევდით, კავკასიონის მთები არაჩვეულებრთვად ნათლად ჩანდა. ჩვენს სამხედრო ნაწილს ბოლოში მოვაქეცი, რომ მშობლიური მთებისთვის რაც შეიძლება დიდხანს მყურებინა,“...

ბოლოს ბატონმა მიხეილმა დასძინა: „1942 წლის შუა ხანებისთვის ისეთი ვითარება იყო შექმნილი, რომ გერმანიის ძლევამოსილ გამარჯვებას თოთქოსდა ვეღარაფერი შეაფერხებდა. მეც იმიტომ ვიყავი იმ ქართველ

ემიგრანტთა შორის, ვინც ადნიშნული გამარჯვების შემდეგ შექმნილ რეალობაში საქართველოს როლსა და ადგილზე ზრუნავდა. ამიტომაც, ქართველთა ამ ნაწილის გამზინული მოქმედება სწორედ ამით უნდა აიხსნას.

დღვენანდელი გადასახედიდან კი ვფიქრობ, რომ კიდევ კარგი, გრძმანელებმა საქართველოში ვერ შემოაღწიეს. ასეთი სიტყვების მოსმენა, ალბათ, გიკვირთ ჩემგან — იმ კაცისგან, რომელსაც იმხანად გერმანული სამხედრო ფორმა ეცვა და საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებობდა... მაგრამ ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, თუ რა მოხდებოდა გერმანული არმიის საქართველოში შეღწვის შემთხვევაში: ნაციისტები გაანადგურებდნენ ქართველ კომუნისტებს და ყველას, ვინც მათ წინააღმდეგობას გაუწევდა. ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით კი თავადაზნაურობიდან გამოსული ინტელიგნცია და განკულაკებული გლეხობა, რომელიც უკმაყოფილო იყო საბჭოთა რეჟიმით, თანამშრომლობას დაიწყებდა გერმანულ საოკუპაციო რეჟიმთან. როგორც მოგეხსენებათ, ომის ვითარებიდან გამომდინარე, 1943 წლის დასაწყისიდან, გერმანული ჯარი იძულებული გახდა, უკან დაქია და დაეტოვებინა მის მიერ დაკავებული კავკასიის ნაწილი. გერმანელთა საქართველოდან წასვლის შემთხვევაში კი დაბრუნდებოდა გამძინვარებული საბჭოთა რეჟიმი, რომელიც დაუყოვნებლივ რეპრესიებს დაწყებდა და მუსრს გაულებდა კოლაბორაციონიზმში ბრალდებულ ქართველობას, რომელთა რაოდენობაც ცოტა არ იქნებოდა. სხვათა შორის, ასეთი ვითარება შეიქმნა სსრკაშირის ტერიტორიის ყველა იმ ნაწილში, რომელშიც გერმანულმა არმიამ მცირე წნით მაინც შეაღწია. იქ ცოდვის კალო დაატრიალეს ჯერ ნაცისტებმა, ხოლო მათი უკან დახევის შემდეგ, მობრუნებულმა კომუნისტებმა. მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარების შემთხვევაში კი, რაც იმხანად სავსებით მოსალოდნებლი იყო, ისედაც მცირერიცხოვანი ქართველი ერთ კატასტროფულად შემცირდებოდა. აი, რას გადაურჩა მაშინ საქართველო!

მართალია, მე ყოველთვის ვიყვი და დღესაც ვრჩები საქართველოს დამოუკიდებლობის დამასამარებელი საბჭოთა რეჟიმის დაუძინებელ მტრად, უნდა ვაღიარო, რომ აღნიშნული განსაცდელი საქართველოს ააცილა პირადად სტალინმა, რომლისთვისაც სრულიად დაუშ-



საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნა გერმანიის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემფლდ ქართულ ღვეიონბი. ცენტრში: ჩიხისანი შლავ მაღლაჯელიძე.

ქართველ ღვეიონერებს აღმართული აქვთ საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროშები (1943 წლის 26 მაისი. პოლონეთის ქალაქი ქუშანი)

ვეტერი იყო, რომ მის შშობლიურ ქვეყანაში მტერს შევღწია. მან ზედმიწევნით კარგად იცოდა ანტისაბჭოური განწყობა ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილისა, რომელიც საქართველოში გერმანელთა შესვლის შემთხვევაში, მათთან თანამშრომლობას დაიწყებდნენ. ამიტომაც მოავლინა სტალინმა კავკასიაში ღვრუნები ბერია, რომელმაც უდიდესი ორგანიზატორული უნარი გამოიყლინა და საქართველო გადაარჩინა როგორც გერმანული ოკუპაციის საფრთხეს, ასევე მის მოსალოდნელ ტრაგიკულ შედეგებს. მან ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი 46-ე საბჭოთა არმიის სარდალი ვასილი სერგაცკოვი, რომელიც გამუდმებით უკან იხვდა, დაუკონებლივ მოსნა და ამ თანამდებობაზე გენერალი კინსტანტინე ლესელიძე დანიშნა. ამიტომაც იბრძოდა ასეთი თვევანწირვით ლესელიძის სარდლობით დარაზმული ხსნებული არმია, რომელშიც ქართული დივიზიებიც შედიოდნენ”...

დიასახლისი გამოვიტყდა: „როგორც ჩანს, ძალაში მიშას თქვენთან შეხვედრა ესიამონა, რადგან ამდენ ხანს და ასე გულწრფელად არავისთან უსაუბრიაო“.

თვით მიხეილ ქავთარაძემაც აღნიშნა: „ასეთი დახვეწილი მეგრული, როგორსაც ბატონი ზურაბ ჩიქოვანი ფლობს, დიდი ხანია აღარ მომისმენიაო“.

ამის შემდეგ, ბატონი მიხეილის ნახვის შესაძლებლობა კიდევ რამდენჯერმე მომეცა

მისი ძმისწელის სტუმარომუვარე ოჯახში. მახსოვე აუტორის მიერ წაკითხული თავისივე ლექსები, რომელიც დამუხტული იყო სამშობლოს სიყვარულით და მისი მონატრებით. მაგალითად, ლექსში „ნოსტალგია“ აუტორი ასეთ აღსარებას გვანდობს:

პო, ჩემო წაბლის ოდა,  
დახურულო მუხის ყავრით,  
შენთან ყოფნა რომ დამცლოდა,  
არ დავგერდებოდი ჯავრით  
საგულისხმოა, რომ მიხეილ ქავთარაძე ყოველთვის ხაზს უსვამდა ქართველი კაცის ლირსებებს, თუმცა ნაკლსაც ამჩნევდა. ლექსში „ქართველი კაცი“ იგი წერს:

ქართველი ღვეიონერები ერთგნული დროშით სამხედრო აღლუშები





მახუდ  
ქუთამაძე  
პარიზის  
გარეუბანში



მახუდ  
ქუთამაძე  
საფრანგეთში  
აქცედიტებულ  
ინდიეთს  
საულიოში  
მუშაობის  
პერიოდში



ზურაბ  
ჩიქოვანი

ცხოვრუბამ ის ვერ აღავმა,  
ძველ წესს ვერ გადააჩვია,  
ცა ქუდად ჰერიავს, ქალამნად  
მას დედამიწა აცვია.

უკანასკნელად მიხეილ ქვთარაძე 2007 წლის 25 დეკემბერს ვნახე, როცა ქაქუცა ჩოლოფაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის (წინამდლოლი — კინომცოდნე გოგი დოლიძე) ინიციატივით კინოს სახლში გაიმართა მისი სქელტანიანი წიგნის „ცხოვრების 100 წელი (იანჩარები, წერილები, თარგმანები, ლექსები)“ პრეზენტაცია.

ბატონი მიხეილი ტრადიციულად დარბასისლურად იჯდა უზარმაზარ ზის საკარცხულში და ყურადღებით უსმენდა გამომსვლელებს: გოგი დოლიძეს, ჯანრი კამიას, ოთარ ჯანელიძეს, პაატა ნაცვლიშვილს, რუსუდან დაუშვილს, რუსუდან კობახიძეს, ამ სტრიქონების ავტორსა და სხვებს, რომლებმაც ისაუბრეს მხცოვანი ემიგრანტის ხანგრძლივი და მრავალწლიანაგოვანი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

კვლავ მინდა გავიმეორო, რაც მაშინ ჩემს გამოსვლაში ვთქვა: „მშესანაშნავი წიგნის წაკითხვის გარეშე შეუძლებელია ქართული ემიგრაციის ისტორიის სრულყოფილად შესწოდება. აქვე უნდა აღვნიშო ქალბატონი ნანა ქავთარაძისა და მისი ოჯახის უდიდესი დაშახურება ბატონი მიხეილის სამშობლოში დაბრუნებისა, მოვლა-პატრონობისა და მისი შემოქმედებითი მემკავდრეობის წიგნად გმოცემის საქმეში. ამ მხრივ ქართველი საზოგადოებრიობა ვალშია ამ დიდებული ოჯახის წინაშე!“

პრეზენტაციის დღეს მიხეილ ქავთარაძე ბერძუსასვით გამოიყურებოდა. მისი ღიმილიანი სახის შემხედვარე მნელად დაიჯერებდა, რომ მოხუცს სულ რამდენიმე დღის სიცოცხლედა დარჩენოდა...

2008 წლის 12 იანვარს, მხცოვანი მამულიშვილის დაკრძალვისას, უჩვეულოდ ციონდა და საბურთალოს სასაფლაო თოვლით იყო დაფარული. ამას ხელი არ შეუშლია მისი ახლობლებისა და თაყვანისმცემლებისთვის, რომ სამშობლოს ერთგული ჯარისკაცის ნატანჯი სხეული სათანადო პატივით მიგვებარებინა მშობლიური მიწისთვის.

უფალმა ნათელში ამყოფოს საუკუნის კაცის — ბატონი მიხეილ ქავთარაძის სულ! ...

#### ნიკო პავალიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

# როგორ შეიქმნა საქართველოში სახალხო გვარდია 1918 წელს



სახალხო გვარდიელები მთავრობის სასახლის შიდა ეზოში (ეროვნული არქივის ფოტო)

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბერის რევოლუციის შემდეგ, საქართველოში ყალიბდებოდა ქართული რეგულარული ჯარის ნაწილები და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წითელი გვარდიის შენაერთები. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კი პარტიული წითელი გვარდია სახალხო გვარდიად გარდაიქმნა. ყოველთვის ისმებოდა და დღესაც ისმება კითხვა — რატომ არ გაუქმეს გვარდია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ და ის რეგულარულ ჯარს არ შეუერთეს?

ერთ-ერთი მიზეზი აღბათ მმართველი სოციალისტური ძალის იდეალიში გახლდათ, რომლისთვისაც ქვეყნის სამხედრო ძალების მოწყობის საუკეთესო გარიანტი შევიცარიული სახალხო მილიცია იყო. პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე კი, რადგანაც რესპუბლიკაში, ფაქტობრივად, მუდმივი საომარი ვითარება იყო, არც რეგულარული ჯარის ჩამოყალიბებაზე ამბობდნენ უარს. ხოლო მომაყალში, როცა ქვეყანაში და მის გარშემო სიმშვიდე დაისადგურებდა, მმართველი პოლიტიკური ძალის აზრით, სახალხო გვარდია შვეიცარიული მილიციის კადრად, ჩანასახად გამოადგენდოდათ. მმართველი ძალის იდეალიზმის კიდევ ერთი გამოვლინება გახლდათ

ის, რომ გვარდიაში ინერგებოდა პრინციპები, რომლის მიხედვითაც გვარდიელთა მორჩილება უფრო მეტად „მასობრივ შეგნებას“ უკრძალოდა. ამას კი ზოგჯერ უდისციაბლიობის მოსდევდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პირველი რესპუბლიკის პერიოდში მოხალისე გვარდიელები წმირად მთავარ დამრტყელ ძალას წარმოადგენდნენ და მათი საბრძოლო მოტივაცია საკმაოდ მაღალი იყო.

მმართველი პოლიტიკური ძალის იდეალიზმთან ერთად, არსებობდა ასევე რეალური საფრთხეები, რის გამოც სოციალ-დემოკრატებმა არ დაუშვეს გვარდიის გაუქმება. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ ბოლშვევიკური საფრთხე ჯარის ნაწილებში. ამის მაგალითები



ფონ კრუს კრუსენშტაინი  
გორგი მაჩაბელი



იყო დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე და გაბოლშვი კებულ ჯარისკაცთა რამდენიმე ამბოხი (თულაგში, ქუთაისში, გორში) გვარდიელებმა იარაღის ძალით ჩახტეს. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც, ბოლშვი კების არალეგალური მუშაობა ქართული ჯარის ნაწილებში არ შეწყვეტილა და რამდენიმე სამხედრო შეტაკებაც კა მოხდა. ამას გარდა, ბოლომდე არ ენდობოდნენ როგორის კორპუსს, ჯერ კიდევ რევოლუციამდე ბარიერის მეორე მხარეს მდგომ აღამიანებს, ეშინოდათ მათში „ბონაპარტიზმის“ შესაძლო გამოვლინებისა. მაგალითად მოჰყავდათ რუსეთში დროებითი მთავრობის წინააღმდეგ კორნილოვის ამბოხი და სამხედრო დიქტატურის დამყარების მცდელობა.

დამაფიქრებელი და საშიში გახლდათ მმართველი ბოლიტიკური ძალისთვის ეროვნულ-დემორატიული პარტიისა და ქვეყანაში შემოსული გერმანელების შესაძლო აღიანსი და მათ მიერ სამხედრო გადატრადების მოწყობა. ეროვნულ-დემორატი რეგაზ გაბაშვილი თავის მემუარებში წერს, რომ მას გერმანული სამხედრო-დორიკლომატიური მისიის ხელმძღვანელმა ფონ კრუს კრუსენშტაინმა შემდეგი წინადაღებით მიმართა:

„თქვენი მთავრობა სრულებით არ ფიქრობს სახელმწიფოს აშენება-გამაგრებაზედ, არამედ მხოლოდ რევოლუციონურ ცარცვა-გლეჯაზედ. ამას ბოლო უნდა მოეღოს! მე ვხედავ, თქვენ არა გაქვთ საკამაოდ დიდი ორგანიზაცია, საბოლოო გადატრადება მოახდინოთ. სამაგიეროდ, მე უკვე იმდენი ჯარი მყავს, 24 საათში შემიძლია განვაიარალო მაგათი გვარდიის ბანდები და, — ხელი გაიშვირა სასახლისკენ, — თითო კამარაზედ, თითო მინისტრი ჩამოვკიდო. მაგრამ, ეს იქნებოდა გარეშე ძალის ჩარევა შინაურ საქმებში, რასაც მე ვერ ვიზამ, როგორც საქართველოს მეცნიერებარი. თუ თქვენ თვითონ მოახერხებთ, გინდ ერთი საათით, სასახლის დაჭრასა და მთავრობის გარეკას, გამოცხადებთ ამ მომხდარ გადატრადებას, მაშინ მე მოული ჩემი უფლებით და ჯარით დავიცავ ახალ რეჟიმსათვის.“

რეგაზ გაბაშვილის მემუარების თანახმად, მისთვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა, თუმცა მისივე თანაპარტიულ გრიგოლ ვეშაპელსა და პარტიის კიდევ ერთ წევრს ეს აზრი ჭკუაში დასჯდომიათ და ქართველ ოფიცირებთან გა-

ქცეულან, რომელთაც ამაზე კატეგორიული უარი განუცხადებიათ, იმ მოტივით, რომ მათთვის წარმოუდგენელი იყო საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ წასვლა. ამავე ისტორიას, ოღონძ სრულიად საპირისპიროდ იხსენებდა თვითონ კრესენშტაინიც თავის ბეჭუარებში, რომელიც მან 1943 წელს დაწერა და სახმელეთო ჯარების არქივს გადასცა. თან მიუთითა, რომ მემუარები ეყრდნობოდა პირად დღიურებს და დაწერა არა გამოსაქმებლად, არამედ მხოლოდ ოჯახისთვის. გერმანული გენერალი წერს, რომ მისთვის გასაგები იყო, რატომ ეკიდებოდნენ უნდობლად საქართველოს მთავრობაში მყოფი თავდაჯერებული მარქსისტები მას, როგორც კაიზერული გერმანიის გენერალსა და არისტოკრატს და საშინაო საქმებში ჩარჩოს ეშინოდათ: „ამ უნდობლობას ეროვნულ-დემოკრატების მოუხეშავი საქციელიც აძლიერებდა. მათი პარტია, ძირითადად, უფლებაა ყრილი თავადაზნაურებისგან, ექსპროპრიებულ მიწისმფლობელთაგან, დათხოვნილ ოფიცერთა და მოკლედ, კველანაირი კონსერვატიული და რეაქციული ელემენტებისგან შედგებოდა. ამ საზოგადოებრივი იერარქიითაც აგრეთვე ჩვენთან ახლოს მდგომა ბატონებმა ხელგაშლილად მიგვიღეს, მაშინვე სცადეს ჩვენით ესარგებლათ და არც მალავდნენ, რასაც ჩვენგან ელოდნენ — ჩვენ მათ სოციალ-დემოკრატიული მთავრობის დამხობასა და თავითო ძველი უფლებების აღდგენაში უნდა დავხმარებოდთ“.

გერმანული მისიის ხელმძღვანელისვე მტკიცებით, დიდი ტაქტი და თავშეეკვება დასჭირდათ სოციალ-დემოკრატების დარწმუნებაში, რომ მათ საშინაო საქმეებში არ ჩაერეოდნენ. ის, რომ ოპოზიციურ ძალთა და მათთან დაახლოებულ სამხედროთა ნაწილი მხად იყო, გერმანელთა დახმარებით სისხლი დაეღვარა და საკუთარი მთავრობა ამ გზით დაემხო, კარგად ჩანს გიორგი მაჩაბლის მიერ სპირიდონ კედიასადმი 1928 წელს მიწერილ პირად წერილში. მაჩაბელი ნანგადა, რომ მან, სპირიდონმა, მიხაკო წერეთელმა და სხვებმა არ დაუჯერეს ლეო ერუსელიძეს, არ ისარგებლეს კერესელიძის ლეგიონით და გერმანელებით, ამის ნაცვლად ადვილად დათანხმდნენ კრესს სოციალისტურ მთავრობასთან თანამშრომლობაზე.

საუბრები შესაძლო სახელმწიფო გადა-



ნოე ჟორდანია (ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტო)

ფონ კრუს კრესენშტაინი ქუთაისში — შევედრა შურინალ-გაზეუბანის კანტორა „იმერეთში“. მაცც ხნიდან: კ. დათეშვილი, ქუთაისის ქალაქის თავი დ. კალანდარიშვილი, გენერალი დ. ართმელიძე, გერმანული სამხედრო მისიის მეთაური, გენერალი ფონ კრესენშტაინი, გენერალი ტ. გამაკიძე, კრესენშტაინის ადუტანტი ბარონი გამი, მწერალი და ფილიალის მმართველი (ქუთაის, 1919 წლის 30 იანვარი. ეროვნული არქივის ფოტო)





სახალხო გვარდიელთა ჯგუფი  
(ეროვნული არქივის ფოტო)

ტრიალების შესახებ, ბუნებრივია მთავრობის ყურამდეც აღწევდა, რაც მათ სიფრთხილისაკენ უბიძგებდა. სწორედ ამას უნდა მიანიშნებდეს ეროვნულ საბჭოში, სახალხო გვარდიის

ლეო ჯერესელიძე (ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტო)



კანონის მიღების პროცესში, 1918 წლის 21 ივნისს გამართულ დებატებზე წოლი უორდანიას გადაკრული სიტყვა ეროვნულ-დემოკრატებისადმი, უცხო ძალებთან თანამშრომლობაზე: „ნაციონალ-დემოკრატებმა სოჭებს, რომ ოუ 90 პროცენტი მასისა თქვენ მოგდევთ და ჩვენისთანა უმნიშვნელო პარტიის რატომ გეშინიათო, ჩვენ თქვენი კი არ გვეშინა, უძედურება იმაშია, რომ თქვენ იმედებს ამ-ფარებთ სხვა ძალებზე, რომელიც ჩვენი ერის ფარგლების გარეშეა (ტაში)“. ყოველივე ამის შემდეგ, საცნაური ხდება მმართველი პოლიტიკური ძალის სიფრთხილე და გვარდიის არგაუქმების კიდევ ერთი მოტივი.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ სოციალ-დემოკრატები ვერ შეელიგნებ ერთგულ სამხედრო შენაეროს — წითელ გვარდიას და იგი სახალხო გვარდიად გარდაქმნეს, რითაც დაუშვეს ორი ტიპის შეიარაღებული ძალის არსებობა ქვეყანაში (სახალხო გვარდია და რეგულარული ჯარი). ეს კი ზოგჯერ ანტაგონიზმს იწვევდა მათ შორის და საერთო საქმეს აფუჭიბდა კიდეც. თუმცა, როგორც ვხედავთ, 1918 წლის ზაფხულისთვის სახალხო გვარდიის შექმნა არა მხოლოდ პარტიული პლატფორმის ერთგულებით, არამედ რეალური საფრთხეებით ნაკარნაზევი გადაწყვეტილება გახდათ.

#### დიალიტი დებაკაძე


ისტორიის დოქტორანტი

# ვაცოლის სელაჟების დამნაშავეობის მტერი №1

**როგორ დამარცხდა  
პრიმიცელი ქუთაისში 1918  
წელს და საქართველოს  
რკინიგზაზე — 1920 წელს**

„ვლადიმერ სულაქველიძე საქართველოში საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა. მისებრ ენერგიის და თავდადების კაცი იშვიათია რესპუბლიკაში. სულაქველიძე უმაღლესი სწავლით არის აღჭურვილი და არის ყოფილი რუსის ჯარის ოფიცერი. მან ადმინისტრაციაში სამსახური დაიწყო ქუთაისის მილიციის უფროსის თანამდებობიდან და შემდგომ თბილისის მილიციის უფროსად გადაიყანეს სამსახურისთვის. რესპუბლიკის განსაცდელის დღვებში სულაქველიძე ახსოვს ჩვენს მცხოვრებლებს რეინისგზების გენერალ-გუბერნატორად, როს წითელი პროვოკაციით გაბოროტებული ბრძო მატარებლებს გვიმსხვრევდა თბილისის ახლოს. სულაქველიძეს აი, მაშინ ჩაბარა მთავრობამ რეინისგზების დაცა; აფხაზთოს კრიტიკულ უამს, როს სოხუმის ოლქს ემუქრებოდა წითელი და შავი რეაქცია აწინდელ რუსეთიდან, სულაქველიძე მთავრობამ გააგზავნა სოხუმის ზურგის დარაჯად. ჩვენში ეველამ იცის, რომ სულაქველიძემ დავალება ეველგან სანაქებოდ შეასრულა. სულაქველიძე ამას წინათ პოლკოვნიკის ხარისხში აიყვანეს, მაგრამ ასეთი ხარისხი მისთვის არაფერს ნიშნავს. სულაქველიძეს უყვარს რესპუბლიკა და მისთვის არის ის თავდადებული“.

1920 წლის ზაფხულში გაზეთი „ბათომის ფურცელი“ ასე ახასიათებდა ბრიტანელების-გან ახალგადმობარებული ქალაქისა და ოლქის ადმინისტრაციის უფროსს — ვალოდია (ვლადიმერ) სულაქველიძეს. ოლქის საგანგებო კომისარად დანიშნულმა ბენია ჩხიკვიშვილმა იყი თბილისიდან თან წაიყვნა ბათომში ახალი მმართველობის მოსაწყობად. სულაქველიძის ბათომის ოლქში გამოჩენა საყურადღებო სიგნალი იყო „რესპუბლიკის მტრებისთვის“, რადგან ამ სახელით თვით წესრიგი ლაპარაკობდა.



ვლადიმერ სულაქველიძე (ფოტო, საგარაულოდ, გადაღებულია 40-ან წლებში)

## სასჯელი შეხერის ტყვევი

1921 წლის მარტის დასაწყისში ქუთაისის ციხე ადგილობრივი და თბილისიდან ევაკუირებული ბოლშვიკებით იყო გადაჭედილი, რომლებიც ციხიდან თვის დაღწევას ელოდნენ. მე-11 წითელი არმია წინ მოიწვდა და მის შეჩერება ქართულმა ჯარმა და გვარდიამ ვერც სურამის უღელტეხილზე შეძლო. ციხეში აღწევდა ხმები, რომ წითელმა არმიამ მამისონის უღელტეხილიც გადმოლახა და რიონის ხეობით ქუთაისისკენ მოიწვდა ბრ-



ვლადიმერ  
სულაქველიძე  
(ფოტო  
გადაღებულია  
ემიგრაციაში  
გამგზავრების  
წინ. 1921 წ.)



გრიგოლ  
ურატაძე

მოადგინე აბბერკი ადეიშვილი ხელმძღვანელობდნენ. მილიციელებმა სასტუკად სცემეს კველას, ვინც გვაკუაციას წინააღმდეგებოდა. მათ შირის მეთაურები გნონ სტურუა, მიხა ჩოლორიშვილი, ნესტორ ცერცვაძე, ფაილკოვსკი და სხვები მაუზერის ტარით ნაცემები და თავ-კატებილები, საკაცებით წაიყვანეს ეშელიწეუ.

ქუთაისის დატოვების წინ, 9 მარტის ღამეს ვლადიმერ სულაქველიძის ბრძანებით, პავლე მარდალევიშვილი, საბჭოთა რუსეთის დაზვერვის აგრძნები პოლკოვნიკი ნიკოლოზ ოცნები და სისხლის სამართლი ს დამაშავე დავით უკლება საღორისის ტყეში დაზვრიტეს დ გვმება დაწვეს. ამის გამო აწელეულების განმჯლობაში საბჭოთა პროპაგანდა ვლადიმერ სულაქველიძეს განსაკუთრებული სიძულვილით მოიხსინებდა და მისთვის „ჯალათის“ და „სისხლისშმელის“ ეპითეტებს არ იშურებდა. ოფერა, თითქმის საუკუნის შემდეგ, თავისუფალ საქართველოში, საინტერუსოა გაფიქსიროთ, სინამდვილეში ვინ იყო ეს ქართველი მილიციელი.

## პრიმიცელის დამარცხება შეტანისში

1918 წლის დასაქტიში, ქუთაისის მუშაოდა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის, გრიგოლ ურატაძის კაბინეტის კარი მაღალმა, ძლიერი აღნაგობის ახალგზრდა კაცმა შეაღო. ურატაძე მას ელოდა. წინა დღით საბჭოს სხდომაზე დიდი განსჯა იყო, ვინ დაენშნათ ახალშექმნილი მილიციის უფროსად — ქალაქში გახშირებული ძარცვა-გლეჯისა და ახალჩამოყალიბებული ნაციონალური პოლკების თავნებობისთვის (რომლებიც ბოლშვიაურ აგიტაციას იყვნენ აყოლილი და ხშირად ქალაქს არცვდნენ) ბოლო რომ მოედო. ამ დრომდე ვერც ერთი მილიციის უფროსი ვერ გაუმტკლა ამ მნელ ამოცანებს. დეპუტატთა ერთმა ჯვეულმა მორიგ ცდაზე ვლადიმერ სულაქვლიძეს გაუწია რეკომენდაცია.

კლადიმერ (გალოლია) სულაქველიძე 1884 წელს დაიბადა ქალაქ ქუთაისში. მისი მამა ამბავი სულაქველიძე სასულიერო სემინარის მასწავლებელი იყო და ცხრა შვილი ჰყავდა. მათგან სამი — ვალოლია, კონსტანტინე და ანეტა აქტიურად იყვნენ რეგოლუციურ მოძრაობაში ჩაბმული. კონსტანტინე (კოწია) სულაქველიძე, ცნობილი სოციალ-დემოკრატი (“მენეჯერი”) ქუთაისის ერობის თავმჯდომარე იყო 1918 წლიდან, ხოლო და ანეტა

— აქტიური ბოლშევიკი; იგი 1907 წელს, თბილისში „ერივანსკის“ მოედანზე გახმაურებულ პანის ძარცვაშიც მონაწილეობდა. ამბაკოს ოჯახში იზრდებოდა ცნობილი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე, როცა იგი ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა.

ურატაბე ახალგამომცხვარ კანდიდატს აღმაცერად უყურებდა. უმაღლესი განათლების მქონე ფილოლოგი, რომელიც ადრე მასწავლებლად მუშაობდა და მეფის არმიის რეზერვის პორუჩიკის წოდებაც ჰქონდა, მილიციისთვის შესავერის კადრად არ მიაჩნდა. ვერ იჯერებდა, რომ ეს უწყინარი გარევნობის ტიპური ინტელიგენტი, გამწეცებული ყაჩაღების თარეშს რამე რეალურ მოქმედებებს დაუპირისპირებდა.

ურატაბეს შეკითხვაზე, — შეძლებდა თუ არა ქალაქში წესრიგის დამყარებას, სულაქველიძემ უპასუხა, — შევძლებ, თუკი ოქვენგან შესრულებული იქნება ორი პირობა: ერთი, მეყოლება საჭირო რაოდენობის მილიციელები და მეორე — მექნება მოქმედების თვისეუფლება.

ორივე პირობაზე თანხმობა მიიღო და უფლება მიეცა, შტატი თვითონვე შეედგინა. მეორე დღეს ვლადიმერ სულაქველიძე უკვე მილიციის უფროსი იყო და ბოროტმოქმედებისგან ქალაქის გაწმენდას ენერგიულად შეუდგა. რამდენიმე კვირაში გალოდიამ ქუთაისი სრულად გაწმინდა ყველა საქაფო პირისგან და სანიმუშო წესრიგი დამყარა; ქალაქი ნორმალური ცხოვრების წესს დაუბრუნდა. გადმოცემის თანახმად, როცა ქუთაისში, ბაღის კიდეზე სამხედრო შინელით, ზურგზე ხელებდა დაწყობილი მილიციის უფროსი ვლადიმერ სულაქველიძე გაისეირნებდა, შემორჩენილი თითო-ოროლა ბაცაცა მაშინევ გულგანეთქილი იმაღლებოდა. დაუმორჩილებლობას მხოლოდ ნაციონალური პოლკების ჯარისკაცები იჩენდნენ კვლავ, რის გამოც თბილისიდან გვარდიის ჯავშნოსანი მატარებლის გამოძახება გახდა საჭირო. ამგვარად განაიარდეს ჯარისკაცები, რომელთა ნაწილმა მაინც მოახერხა იარაღით ქალაქიდან შმობლიურ სოფლებში გაქცევა და იქ ანარქიის შეტანა.

ვლადიმერ სულაქველიძემ და მისმა მოადგილემ — ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ამბერკი ადეიშვილმა თვით განსაკუთრებით 1918 წლის ზაფხულში გამოიჩინეს, სწორედ ამ გაბოლშვილებული ჯარისკაცების მიერ ლეჩხუმისა და ოკრიბის მხარეებში მოწყობილ აჯანყებათა ლიკვიდაციისას,

ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორისა და თადეოზ მორჩაბის რაზმების წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა, კამპანიის დასასრულს ამბერკი ადეიშვილი, ოპოზიციის პროტესტისა და მოთხოვნების შემდგა, უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით (რაც ბოლშვილების თანამდრობი მოისახლეობის ცემა-ტეკპაში გამოიხატებოდა), შეს მინისტრმა ნოე რამიშვილმა თანამდებობიან გადააუენა და პასუხისმგებაში მისცა.

ვლადიმერ სულაქველიძის ქუთაისის მილიციის უფროსის თანამდებობაზე ყოფნის დროს, 1918 წლის დეკემბერში, სომხეთის რესპუბლიკამ საქართველოს ომი გამოიუცხადა. საიმარი მდგომარეობის პირობებში, სულაქველიძის ძალისხმევით ქუთაისში, ქალაქის სომხური მოსახლეობის დარბევისა და შურისძიების ცკდელობაც არ ყოფილა, რაც მის მაღალ სამოქალაქო შევნებაზე მეტველებს. „ჩევნი სამშობლო ამჟამათ მეტად სერიოზულ წამს განიცდის. იგი ომის წინაშე სდგას. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ყველა მოქალაქე ვალდებულია შეასრულოს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანება, არ აყვეს გრძნობას და კერძო პირთა მოწოდებას და პროვოკაციას. ამჟამათ შინაური წესრიგი ყველაზე უმფრო გვეჭრება. წესიერება და სიმშვიდე ყველაზე უფრო დიდი თავდებია ქვენის დაცვის საქმეში. ქუთაისის მოქალაქები! მე მოგიწოდებთ დაიცვათ სრული წესიერება. ამიტომ, მე როგორც ქალაქში წესიერების დამცველი, რომელსაც მაქვს უფლება მინიჭებული დემოკრატიულ თვითმმართველობიდან, რევოლუციონურ ირგაზიზაციებიდან, ვაცხადებ თქვენს საყურადღებოთ შემდეგს:

1. სასტიკათ აკრძალულია ერთი ერის



პალე  
მარდალევიშვილი

მეორეზე წაისიანება და ამ ნიადაგზე კრების, მსჯელობისა და რაიმე გამოსვლის მოწყობა.

2. ქუთაშვილი და ქუჩაშვილის ტარება.

ჩემამდინ უკვე მოაღწია ცნობამ, რომ ზოგიერთი გაუბატონები პროვოკაციას წარმოადგენდა. პროვოკაციას მოუწოდებენ. კველა ასეთი პირი ჩემგან სასტიკათ დაისჯება, მხოლოდ გამოსვლას იარაღით ჩავაქრობ.

ქუთაისის სახალხო მილიციის უფროსი ვ. სულაქველიძე.

ეს განცხადება ადგილობრივ პრესაში და-იბჟვდა და ქუჩებშიც გამოაკრეს, რამაც შედეგი გამოიღო და ქუთაისში არავითარი უწესრიგობა არ მოშხდარა. სულაქველიძის უკროიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა.

## თბილისის მცველი

ამ პერიოდში თბილისის მილიცია ქალაქის სიდიდის, მილიციელთა უპასუხისმგებლობის თუ სხვა მიზეზთა გამო წესრიგის დაცვის თავს კვრ ართმევდა. შინაგან საქმეთ მნისტრმა ნოე რამიშვილმა გადაწყვიტა, თბილისის მილიციის უფროსად ქალაქის თვითმმართველობისთვის კლადიმერ სულაქველიძის კანდიდატურა შევთავსებინა და 1919 წლის აპრილის დასწესების სპი ის სკეციალური ბრძანებით თბილისში მიიწვია. ქუთაისის ქალაქის საბჭომ შუამდგომლობა აღმრა შინაგან საქმეთა სამნისტროსადმი, რომ კლადიმერ სულაქველიძე ქუთაისში დაუტოვებინათ, მაგრამ შსს-ძ მოთხოვნა არ გაითვალისწინა. 14 აპრილს ქალაქის საბჭოს სხდომაზე ქუთაისის ქალაქის თავმა დიმიტრი კალანდარიშვილმა სკეციალური მაღლობა გამოუცხადა უკვე ყოფილ მილიციის უფროსს. ქალაქის საბჭოს წევრებმა, სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალ-ფედერალისტების პარტიის წარმომადგენლებმა, სიტყვით მიმართუ სულაქველიძეს და თავდადებული მუშაობისთვის მაღლობა გამოუცხადეს.

1919 წლის მაისიდან კლადიმერ სულაქველიძე უკვე თბილისში იყო და ქალაქის მილიციის რეორგანიზებას ენერგიულად შეუდგა. ორი კვირის განმავლობაში მან დაითხოვა კველა უბნის კომისარი და სამსახურში ახალი კადრები მოიწვა, მთლიანად გადასინჯა შტატები და ის მილიციელები, ვინც დაკისრებულ მოგალეობას არ ასრულებდნენ ან კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში იყვნენ შემჩნეული, დააპატიმრა. იგი პირადად ამოწმებდა სადარაჯოებზე მყოფ მილიციელებს, მალევე მიაღწია იმას, რომ თა-



ნაშრომლები სამსახურში ფორმის დარღვევით არ გამოცხადებულიყვნენ და რომ განმასხვავებლი ლითონის სანიშნები კველა მათგანს წესრიგში ჰქონდა. სამსახურიდან დათხოვნილ თანაშრომლებს კი ფორმის ტარება სასტიკად აუკრძალა. თბილისში ქუჩების განათება სუსტად იყო ორგანიზებული. მილიციას უნდა შეემრწებინა, როგორ ასრულებდნენ სახლის პატრონები კანონის მოთხოვნას, დაბინდების-თანავე აუნთოთ სახლების გარე განათების ფანრები ელექტრონით ან ნავთოთ, რაც არ სრულდებოდა. სულაქველიძემ მიზნად დაისახა ამის გამოსწორება და მცირე ხანში ქუჩის განათება სრულად აღადგა. ასევე მან დაავალდებულა მოსახლეობა, დამით სადარბაზოები და ეზოები დაეკეტათ. ამ ღონისძიებებმა საგრძნობლად შეამსუბუქა კრიმინალური მდგომარეობა და მილიციას დანაშაულთან ბრძოლა გაუადვილა. მისივე დაგალებით აიკრძალა დანაშაულში ეჭვი ვიტანილა სახლების დამით ჩხრევა, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა და მილიციელებს სასტიკად აეკრძალათ სადარაჯოებზე მათრახით დგომა. აღსანიშნავია, რომ კლადიმერ სულაქველიძე პირადად მონაწილეობდა კველა მნიშვნელოვან ოპერაციაში, რიგითი დამნაშავების დაკავება იქნებოდა თუ გენერალ ბარათოვზე თავდასხმის გახმაურებული შემთხვევა, რისთვისაც შინაგან საქმეთა მინისტრისგან მაღლობა მიიღო. კლადიმერ სულაქველიძემ



ქართველი (თბილისის მუნიციპალიტეტის) სახალხო  
მილიციურობა ჯგუფი. ფოტო გადაღებულია 1918-1921 წწ.

გზები გამოცხადდეს სამხედრო წესებზე და  
დროებით გენერალ-გუბერნატორის თა-  
ნამდებობის აღმასრულებლად დაინიშნოს  
პორუჩიკი ვლადიმერ ავგუსტის ძე სულაქვე-  
ლიძე, მილიციის უფროსის თანამდებობაზე  
დატოვებით.

მთავრობის მეთაურის მაგიერ ნ. რამიშვი-  
ლი

მთავრობის საქმეთა მმართველი კ. ჯაფა-  
რიძე“.

სულაქველიძე ჩვეული ენერგიულობით  
შეუდგა მისთვის დაკასრებული მოუალეობის  
შესრულებას. პირველ რიგში, დაიწყო სარკი-  
ნიგზო მილიციის რეორგანიზაცია და არსებულ  
შემადგენლობას 250 მილიციელი დაამატა.  
სანამ ახალი კადრები დაკომპლექტდებოდა,  
ყველაზე როგორ მონაკვეთებზე, მის განკარ-  
გულებაში შეიფიქ სახალხო გვარდიის მფრი-  
ნავი დანაყოფები პატრულირებდნენ. მცხეთის  
რაიონის სოფლებში, საიდანაც მირითადად  
ხდებოდა თავდასხმები, ექსპედიციები ჩააყენა,  
რომელთაც დარტყმა მიაყენეს ბორიტმოქმედ-  
თა თავმეტავრებს. რეინიგზაზე პატრულირება  
დაიწყო ჯაშნოსანმა მატარებელმა და გამკა-  
ცრდა ზედამხედველობა მტბურთი ნაკადზე.  
სულაქველიძე არც ეჭვმიტანილების დაპა-  
ტიმრებასა და ბორიტმოქმედთა ლიკიდაციას  
მორიდებია. მალე, როგორც სავარაუდო იყო,  
რეინიგზაზე წესრიგი დამყარდა და მიმოსვლა  
ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. მიღწეული წარ-  
მატებების გამო კლადიმერ სულაქველიძეს  
პოლკონიკის სამხედრო წოდება შეინჭა და  
თბილისის სახალხო მილიციის უფროსის თა-  
ნამდებობასთან ერთად, რესპუბლიკის ზურგის  
უფროსი შეიქნა. ეს კი საომარ და საგრიგობო  
მდგომარეობებში მისი ხელმძღვანელობის ქვეშ  
აქცევდა ყველა მნიშვნელოვან დაწესებულებას,  
რომელთა ამოცანა ზურგის უსაფრთხოება  
იყო. ასე იყო 1920 წლის მაისში და შეძლებ  
— უკვე საბედისწერო 1921 წლის თებერვალ-  
შიც, საბჭოთა რესერვის თავდასხმების დროს.  
კლადიმერ სულაქველიძის ადმინისტრაციული  
ნიჭისა და თავდადების შედეგად, ორივე ომის  
დროს ქართულ შეიარაღებულ ძალებს ზურგი  
სამედოდ ჰქონდა დაცული და მტერმა ვერც  
ერთი დივერსიული აქტისა და არეულობის  
მოწყობა ვერ მოახერხა.

მთავრობის იმედი გაამართლა. ისევე როგორც  
ქუთაისში, თბილისშიც მნიშვნელოვნად შეი-  
ცვალა მდგომარეობა წესრიგის დამყარების  
თვალსაზრისით, რისთვისაც სულაქველიძემ  
მთავრობისგან კიდევ უფრო მეტი ნდობა და  
პატოვისცემა დაიმსახურა.

## საიმპერიული ზურგი

1919 წლის ზაფხულში საქართველოს რეი-  
ნიგზის სისტემა დიდი პრობლემების წინაშე  
აღმოჩნდა. ბორიტმოქმედებამა თუ დუშეთის  
ბოლშევიკური აჯანყების ნაშთებმა სწორედ  
ეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სატრანს-  
პორტო საშუალება ამოიღეს მიზანში და დღე  
არ გავიდოდა, შემაღენწლობა არ გაეძარვათ  
ან ლიანდაგი არ აეყარათ სადგურ გრაკალთან  
სარკინიგზო შემაღენწლობაზე თავდასხმამ  
მდგომარეობა საბოლოოდ დამიმართა. სარკინი-  
გზო მილიცია, რომელსაც რეინიგზის დაცვა  
და უსაფრთხოება ევალებოდა, გახშირებული  
თავდასხმების წინაშე უძლეური აღმოჩნდა.  
მთავრობა არჩევანის წინაშე დადგა — ან  
სტრატი და ეფექტუანი მოქმედებით მოეგვა-  
რებინა პრობლემა, ან ანარქიისთვის დაქარა  
თავი. საჭირო იყო ადამიანი, რომელსაც კრი-  
მინალთან ბრძოლის გამოცდილება ექნებოდა.  
შედეგად, 1919 წლის 18 სექტემბრის N 21 და-  
დგენილებით მთავრობამ მოსახლეობას აუწესა:

„საქართველოს რესპუბლიკის რეინის-

ქუთაისის საგუბერნიო ციხე  
(ფტორის ფოტო, 2017 წ.)



### ეპიგრაფია

1921 წლის საბჭოთა რუსული ოკუპაციის შემდეგ, ვლადიმერ სულაქველიძე მთავრობასთან ერთად ემიგრაციაში გაემგზავრა. ერთხანს სტამბოლში იყო და მონაწილეობდა ბოსფორზე გემების საპასპორტო კონტროლისა და კონტრლაზეურვით ოპერაციებში; ქართული სპეცსამსახურების, ბრიტანელი და ფრანგი კოლეგების საბჭოთა დაზვერვის წინააღმდეგ თანამშრომლობაში. მოგვიანებით საფრანგეთში ჩავიდა და პატარა რუსტორანი „ამაყი მამალი“ გახსნა, რითაც თავის რჩებას ახერხებდა. გადმოცემით, რუსტორნის შენობის ფასადს ქართულ ჩოხაში გამოწყობილი მამლის გამოსახულება ამშენებდა. თუმცა რუსტორანი მაღლე გაკორტდა. როგორც ზეპირი გადმოცემები მოწმობენ, ვლადიმერ სულაქველიძე თურმე ხშირად უფასოდ მასპინძლობდა სამშობლოდან გადახვეწილ შშიერ-მწყურვალ თანამებამულებს (როგორც გრიგოლ ურატაძე აღნიშნავს, „თავისი პაკულადიმერ სულაქველიძის საფლავი ღუვილში“).

ტიოსანი შრომით ირჩენდა თავს და არავის აწუხებდა. პირიქით, ქმარებოდა კიდეც სხვებს ("), რაც კომერციამ ვერ აიტანა.

მმიე ბედი ერთ საშმობლოში დარჩენილ მის დიდ ოჯახს: ძმა — კონსტანტინე (კონია), საქართველოში სპეციალური დაფალებით არალეგალურად დაბრუნებული, 1925 წელს ჩეკაშ ბათუმში დააპატიმრა; პატიმრობის დროს იგი იძულებული გახადეს საჯაროდ დაეგმო თავისი პოლიტიკური შეხედულებები, რის გამოც ალარ დახვრიტეს და შემდეგ, როგორც წარმატებული მათვატიკოსი, სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ანტა სულაქველიძე 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს „ტროცკისტობის“ ბრალდებით. ვლადიმერ სულაქველიძეს სამი შვილი დარჩა საქართველოში: უფროსი სილვია (დოდო) სულაქველიძე, ირაკლი სულაქველიძე, რომელიც ცნობილი მოჭიდავე იყო და მეტსახელად „გაგონეტქას“ ეძახდნენ (მაღაროს ყავონის სადგარს სწევდა) მეორე მსოფლიო ომის დროს ჯარში გაიწვიეს და დაიკარგა, ხოლო უმცროსი ვახტანგ სულაქველიძე ცნობილი მსახიობი გახდათ. ვლადიმერ სულაქველიძე 1954 წლის 18 აგვისტოს 70 წლის ასაკში გარდაიცვალა საფრანგეთში, არპაჟონის საავადმყოფოში. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

P.S. სტატიაზე მუშაობისას გაწეული დახმარებისა და მასალების მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით: დავით სულაქველიძეს, ლევან სულაქველიძესა და ლადო სულაქველიძეს.

### დავით სავადაგიანი

საბჭოთა წარსულის კვლევის დაბორატორიის მკვლევარი



# „დამოუკიდებლობის აქტის საქართველო განადგურებას გადაარჩინა“

ცოდნადანის  
სიტყვა საქართველოს  
პარლამენტი,  
დამოუკიდებლობის  
6 თვის აღსანიშნავად

1918 წლის 1-ელ დეკემბერს, კვირა  
დღეს, საქართველოს დემოკრატიულმა  
რესპუბლიკამ დამოუკიდებლობის 6  
თვისთვი იზეიმა. თბილისში ამ დღის  
აღსანიშნავად გაიმართა სახალხო  
ზეიმი, რესთაველის გამზირზე  
საღვესასწაულო მსვლელობა მოაწევეს  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სტუდენტებმა. მთავრობის სასახლის წინ  
სახეიმო აღლუმი გაიმართა და მოსახლეობას მიმართა მთავრობის თავმჯდომარე ნოე  
ჟორდანიამ. სახალხო დღესასწაულის შემდეგ მოწყო პარლამენტის საგანგებო სხდომა,  
რომელზეც ნოე ჟორდანიამ წარმოთქვა დამოუკიდებლობის 6 თვის შემაჯამებელი  
სიტყვა და იმავდროულად, გაანალიზა მიმღინარე მომენტი ქვეყნის ისტორიაში.  
100 წლის შემდეგაც ნოე ჟორდანიას მიერ დასმულ აქცენტებს მნიშვნელობა არ  
დაუკარგავს, ამიტომ ჩვენ მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს მისი სიტყვის  
სრულად გაცნობა.

მოქალაქენო! ამ ასი წლის წინად საქართველომ ხელი აიღო თავის დამოუკიდებლობაზე. ამ 6 თვის წინად იმავე საქართველომ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა (ტაში).

ეს ორი, ერთი მეორის მოპირდაპირე, ერთი მეორის საწინააღმდეგო აქტი არის, იმავე დროს აქტი ჩვენი ცხოვრების ძირითადი პრობლემისა.

ამ ორ აქტს შორის არის ბევრი რამ საერთო. ამ ორივე აქტის მიზეზი იყო ერთი და იგივე, და ორივე აქტმა მიაღწია ერთსა და იმავე შედეგს. ამ ორი აქტის საერთო მიზანი იყო ის, რომ საქართველოს ხალხს თავი დაეღწია აზიურ ბარბაროსობისაგან და შედეგი ორივე აქტისა იყო ის, რომ საქართველო იხსნა ბარბაროსების შემცხევისაგან.



ნოე  
ჟორდანია

აქ თქვენ ხედავთ, რომ აქტი 26 მაისისა არ ყოფილა აქტი შემთხვევითი, აქტი უცაბედითი, აქტი შექმნილი რომელიმე პირის, ჯგუფის ან პარტიის მიერ. ეს იყო აქტი აუცილებელი და ხალხის გულიდან ამოხეთქილი. ამ აქტმა საქართველო გადაარჩინა განადგურებას. ამ აქტმა საშუალება მისცა საქართველოს, რომ მის მიწა-წყალში არ შემოსულიყო შეიარაღებული ძალა მტრისა. თუმცა ასეთი ძალა შემოვიდა, მაგრამ ჩვენ საშევლად და დარწმუნებული ვართ, რომ თუ კიდევ შემოვა ჩვენში შეიარაღებული ძალა ევროპისა, ის იქნება ჩვენთვის საკეთილო. ეს იმიტომ, რომ მთელი ჩვენი მისწრაფება იყო, რომ რამენაირად მოვშორებოდით აზიურ კულტურას და შევსულიყვით ვეროპის კულტურაში. ამიტომ ჩვენ არასოდეს გვქონია



საქართველოს  
საგარეო  
საქართველოს  
მინისტრი  
ჯგუფი  
გენერალი  
(ბარეკვნევი) და  
ბრიტანეთის  
უძალლესი  
კომისარი  
ამერიკუკასიაში  
სერ ოლევენ  
უორდრიმი  
(ბარბიიდან  
მეორე)  
(თბილისი,  
1919 წლის  
30 აგვისტი)

მტრული დამოკიდებულება კვრობასთან და  
არც კვრობას ექნება ჩენთან.

თუ ძველი რეჟიმის გერმანიის ჯარს არ  
შეულახავს ჩვენი სუვერენობა, ახალი გერმა-  
ნიის და სხვა სახელმწიფოების, მით უმეტეს,  
დაიცავს ჩვენს ხელშეუხებლობას. ამიტომ  
არ გვმართებს არც ცრემლთა ფრჩვევა, არც  
უიმედობა. ჩვენ უნდა ვიდგეთ მაგრად ჩვენ  
ისტორიულ გზაზე და გადაჭრით ვთქვათ „არ  
გვინდა არც ქაოსი, არც ანარქია, სულ ერთი  
იქნება ის სამხრეთიდან თუ ჩრდილოეთიდან  
(ტაში).

დღეს ჩვენ შეგვიძლია პირდაპირ და  
უშუალოდ შევიდეთ კვრობაში. ჩვენ უკვე ამ  
გზაზე ვართ და მას არ გადაუხვევთ (ტაში).  
გვიტაციან, ეს თვენი სურვილია და მარტო  
სურვილით სხვა ვინ შესულა სამოთხეშიო. ეს  
სურვილი ვუპასუხებთ ჩვენ, არ არის უნია-  
დაგო და ვინც ფიქრობს, რომ ეს მხოლოდ  
სურვილია ის ძალიან სცდება.

მოხდა ერთი დიდი ფაქტი, ისეთი ფაქტი,  
რომელსაც ვერ უარყოფს ვერავინ: მოხდა  
რუსეთის დიდი რევოლუცია, თებერვლის  
რევოლუცია და მან მხოლოდ საქართვე-  
ლოში პპოვა განმტკიცება. მთელს რუსეთში  
ბოლშევიკების მოქმედებამ ერთის მხრით  
აამუშავა ანარქია, მეორეს მხრით რეაქცია.  
ხოლო აქ, საქართველოში რევოლუციამ იპოვა  
თავისი ღირსეული პატრონი. საქართველოს  
დემოკრატია ვერ წაიყვანეს ვერც ანარქიის,

ვერც რეაქციის გზით დემოკრატია მხოლოდ  
აქ იშეა და დაეპატრონა მთელს ქვეყანას.

აქ, მხოლოდ აქ აღმოჩნდა დემოკრატია  
იმდენად ძლიერი, რომ ის გადასცილდა თავის  
ისტორიულ გზას და არ აპყვა არც ერთ ამ  
გზას, რომელიც რუსეთში გამოჩნდა. თავისუ-  
ფლება მხოლოდ აქ განმტკიცდა, წესიერებამ  
მხოლოდ აქ პპოვა დამცველი: მოსპერ თქვენ  
ეს თავისუფლება, და აქ გაჩაღდება დიდი  
არევ-დარევა. მოსპერ წესიერება — მოისპობა  
თავისუფლებაც.

და ჩვენ ვამბობთ, რომ ვართ ხალხი კვრო-  
პიული და დემოკრატიული (ტაში).

ეს ხომ დაინახა ყველამ, მტერმა თუ მოყ-  
ვარემ. დაინახა, რომ ჩვენ არა თუ გესურს და-  
მოკუდებლობა, თავისუფლება და წესიერება,  
არამედ შეგვიძლია ვიყოთ დამოუკიდებელი,  
თავისუფლი და შეგვწევს უნარი წესიერების  
დაცვისა. ამ ექვსი თვის განმავლობაში ჩვენ  
მივიღეთ ყოველივე ზომები, რომ ამ თავისუ-  
ფლებას მისცემოდა იურიდიული და კონსტი-  
ტუციური სახე. ჩვენი პარლამენტი და ჩვენი  
მთავრობა ამ მხრით დიდ მუშაობაში იყო.

წინად ჩვენ ვმუშაობდით რევოლუციისა-  
თვის, მაგრამ არ იყო დრო, რომ ჩვენ გემუ-  
შავა სახელმწიფოს აღდგენისათვის. მხოლოდ  
6 თვეა, რაც ჩვენ შევუდევთ ამ რევოლუციის  
მონაბოვათათვის კონსტიტუციური ხა-  
სიათის მიცემას. ექვსი თვის განმავლობაში  
მოვაწყეთ აპარატი, შემოვიდეთ ერობა, მო-

ვახდინეთ აგრარული რეფორმა. რაც უფრო  
საცურადღებოა. ჩვენ უკრადღება მივაქციეთ,  
რომ ჩვენს სახელმწიფოს პქონოდა საკმარისი  
ქონება; არ გვერთია, რომ სხვა, დიდი რესპუ-  
ბლიკებსაც პქონდეს იმდენი უძრავი ქონება  
რამდენიც აქვს ჩვენს რესპუბლიკას.

ჩვენ მოუწყევთ ჯარი, საბაჟოები, შევი-  
მუშავეთ გადასახადების ახალი სისტემა,  
გავამრავლეთ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებუ-  
ლებები და მიუჰქონდეთ სოფელს ტელეფონის  
ქსელი. ჩვენ მივაქციეთ განსაკუთრებული  
ყურადღება, იმას რომ ხალხში გაგვვიცელე-  
ბინა სწავლა-განათლება. ჩვენ გავამრავლეთ  
სახალხო სკოლები, შევქმნით ქართული  
უნივერსიტეტი. ჩვენ მივიღეთ ყოველი ზომა,  
რომ ჩვენი ქვეყანა მართლა დამსგავსებოდა  
სახელმწიფოს. ჩვენ დიდი ყურადღება მივაქ-  
ციეთ სასამართლოს და შევქმნით სამართა-  
ლი გასაგებ ენაზე.

აი, კელაფერი ის, რაც ნებას გვაძლევს კოქებათ, რომ ექვსი თვის განმავლობაში ჩენი მუშაობით დაგამტკიცეთ, რომ არა თუ გვსურს დამოუკიდებლობა, არამედ შეგვიძლია და შეგვწევს უნარი განვამტკიცოთ იგი.

უკანას სენელი სიტყვა ეკუთვნის დამთუძნებელ კრებას, რომელიც ამ მოკლე ხანში იქნება. აյ მინდა ფურალდება მივაქციო ერთ გარემოებას: ჩვენ აქ შეგვიძლია მუშაობა არა მარტო საქართველოსთვის, არა მარტო საქართველოს მაგიერ, არამედ რუსეთისთვის, რუსეთის მაგიერაც. ჩვენი მტრება აფრცელებენ ხმებს, რომ ჩვენ აქ აღვმართოთ დევნა რუსების, განსაკუთრებით რუსი ოფიცირების წინააღმდეგ. ამის თქმა დიდი შეცდომა და უსამართლობა იქნებოდა. ჩვენ ღირსეულად გავაცილეთ რუსები თავის სამშობლოსაკენ. ხელთ მაქსი კითრები, რომლის წინაშე უნდა

დაღუმძლეს ყოველი ორგული და ცილისმწა-  
მებელი... ჩვენმა ხაზინამ 98 მილიონი მანეთი  
გადასდგა რუსეთის მაგიერ. და თუ მაინც  
ჩვენ ცილს გვწამებენ, რომ ჩვენ აქედან ვე-  
რეკებოდით და ძალით გაფრეგვთ ვინმეო, ეს  
მომდინარეობს მტრობით ჩვენი დამოუკიდე-  
ბელი რესპუბლიკისადმი. და აქ ჩვენ ვეტყვით  
მტრებს: „ხელი შორს, ნურას უკაცროვად“...  
ჩვენ გვსურს გვქონდეს ჩვენებური წეს-წყო-  
ბილება.

ჩვენ ვემობით დემოკრატიულ რესპუ-  
ბლიკას და მშენდო ეკონომიურ კაგშირს  
ვიქონიებთ მასთან. მაგრამ მოვითხოვთ, რომ  
როგორც ჩვენ ვსცნობთ მათ სახელმწიფოს,  
მათაც სცნონ ჩვენი დამოუკიდებლობა და  
ვიყვნეთ ერთმანეთთან, როგორც თანასწორი  
თანასწორთან. (ჭაში).

ჩვენი ბედი არის ჩვენს ხელში. ჩვენი რესუბლიკა იარსებებს, თუ ამ ნიადაგზე მტკიცებ ვიღდგებით. გისურვებთ და ვუსურებ ჩვენს თაობას, რომ 26 მაისი იყოს ჩვენი დღესასწაული. ეს არის დღე საქართველოს გამარჯვებისა (ძლიერი განუწყვეტელი ტა-შის (კმა)).

„სახალხო საქმე“ N399,  
1918 წლის 3 დეკემბერი

გაზეთ „სახალხო საქმის“ 1918 წლის 3 დეკემბრის ნომრის ქუდი



# ვალიკო ჯუღალი ორონტის ხაზე

1918 წლის მარტის  
„ბოლშევკიურ“-  
„ყარალური აჭანყება“

საქართველოს დემოკრატიული  
რესპუბლიკის სახალხო გვარდიის  
შემქმნელი გაღიარ ჯუღალი დაიბადა  
1887 წელს, ცონიძილი ქართველი  
საზოგადო მოღვაწისა და ხალხოსნის,  
ანთომზ ჯუღალის ოჯახში. სწავლობდა  
ჯერ თბილისში, შემდგე უმაღლესი  
განათლების მისაღებად მოსკოვს მყოფი  
— მრწამსით სოციალ-დემოკრატი,  
სხვ ქართველ სტუდენტებთან ერთად,  
აღფრითოვანებით შევება 1905 წლის  
რევოლუციას. იბრძოდა მოსკოვში,  
ბარიკადებზე. 1917 წლიდან ჯუღალი  
საქართველოშია...

## გალიკო ჯუღალი

ოქტომბრის გადატრიადების შემდგე რუსის ჯარმა თვითნებურად მიატოვა კავკასიის ფრონტი და რკინიგზით შინისკენ დაიმრა. ჯარისკაცთა უმართავი, მრავალათასიანი მასები წალენებით ემუქრებოდნენ ამიერკავკასიის დედაქალაქს — თბილისს. მაშინ ვაღიარ ჯუღალის ინიციატივით შეიქმნა საზოგადოებრივი უშიშროების კომისია, რომლის კრებაზეც დაადგინეს: შეეიარაღებინათ თბილისის მუშები და რევოლუციური ინტელიგენცია ქალაქის დასაცავად. თბილისის არსენალში განხლა-გებულმა ბოლშევკურად განწყობილმა 218-ე პოლემია იარაღის გაცემაზე უარი განაცხადა. მაშინ ჯუღალისა და მუშა-რკინიგზებულების, სანდრო მაისურაძისა და ალექსანდრე დგებუაძის ინიციატივით, რკინიგზის სახელოსნოების მუშები შეაირაღეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამართველოს საწყობებიდან წამოღებული ძეგლი ბერდანკებითა და ასევე მოძველებული სისტემის შეეიცარიული „ვეტერ-ლას“ შაშხანებით. 1917 წლის 12 დეკემბერს, ლამით, ვაღიარ ჯუღალის მეთაურობით რკინიგზისა და ტრამვაის დეპოს მუშებმა, მე-5 ქართული ლეგიონის დახმარებით თბილისის



არსენალი აიღეს, ხოლო 218-ე პოლემი რუსეთში წასვლას დათნხ ხმდა.

თბილისის არსენალის აღების თარიღი — 12 დეკემბერი აღნიშნებოდა, როგორც წითელი გვარდიის (მოგვაინებით, სახალხო გვარდიის) შექმნის დღე. რუსეთის მიერ მიტოვებული საქართველო თურქეთის პირისპირ აღმოჩნდა, ფაქტობრივად, საომარ მდგომარეობაში. საქართველოს შეეარაღებული ძალები არ ჰყავდა. გაჩაღდა მუშაობა ძეფის არმიის ქართველი ჯარისკაცების მობილიზაციისთვის, მათგან ქართული ჯარის შესქმნელად. იმდეს ამყარებდნენ ქართულ ბოლგებზე, მათგან ზოგიერთი ბოლშევკიზმის გავლენას განიცდიდა. საჭირო გახდა მათი განიარაღება. ეს განახორციელა სახალხო გვარდიაში. განიარაღება ხდებოდა 1918 წლის იანვარ-ოქტომებულში. გვარდია არა-სანდო ნაწილების შლიდა და იარაღსაც იძენდა, მაგრამ ანარქიას ვერ სპობდა. სოფლებში აგრარულ ნიადგზე დაიწყო მიწების დატაცება და არეულობა. გლეხები თავადაზნაურობას, ფაქტობრივად, ანაღვურებდნენ, მათ სახლკარს იკლებდნენ. გორის მაზრაში ამოხოცეს ციციშვილები, ვეზირიშვილები და სხვები.

სიტუაცია უმართავი გახდა. გორის პოლკის განიარაღების შემდეგ ჯარისკაცები სოფლებში გაიფანტნენ. სახალხო გვარდია გლეხბობის განიარაღებას შეუდგა. გვარდიელებმა შეიპყრეს ციციშვილებისა და ვეზირიშვილების მკვლელი გლეხები და საცელე სასამართლოს გადაწყვეტილებით, ადგილზევე და ხერიტეს.

ამან ქანო უფრო გაამწვავა. უკმაყოფილო ელემენტებმა თავი მოიყარეს ცხინვალსა და ჯავაში, სადაც ოსი გლეხობა შეუდგა შზადებას გვარდიისთვის წინააღმდეგობის გასაწვად. გვარდია კი აპირებდა არა მარტო ოსი, არამედ ყველა გლეხის განიარაღებას, მიიჩნევდნენ რა მათ რეაქციულ-ჯონტრრეოლუციურ ძალად.

განიარაღება არ ყოფილა მიზეზი ოსთა შეიარაღებული გამოსვლისა, აქ ერთმანეთში იყო გადახლართული სოციალური და სეპარატისტული მოტივები. აი, რას წერდა გაზეთი „სახალხო საქმე“ 1918 წლის 30 მარტს წერილში „ცხინვალის ამბები“. კრისპონდენტი წერს: „სურათი ცხინვალის აოხრებისა ამნაირად იშლება ჩვენს თვალწინ“:

16 მარტს დილით ცხინვალს მოდის ოსთა დელეგაცია, რომელსაც მოაქვს პაკეტი, დაწერილი გორის აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე... მოთხოვნილებაა: 1) დაუყოვნებლივ დაგვიყავით მიწები; 2) გორის მაზრიდან გააძვევოთ რეორლუციონურ ორგანიზაციებში

სახალხო გვარდიის მეტყვაიამფრქვევთა რაზმი, პრიტანული წარმოების „ლუისის“ ხელის ტყვიამფრქვევებით

მომუშავე შემდეგი პირი: კოსტა გაზაშვილი, სოსიკო გოგინოვი, შაქრო კასრაძე და ილია მაისურაძე; 3) გორის მაზრიდან გააძვევეთ ყველა თავადი და აზნაური; 4) მოგვეცით სიტყვისა და კრების თავისუფლება. პასუხის-თვის უკანასკნელი ვადა არის იმავ დღის (16 მარტის) ნაშუაღლების 3 საათი.

ცხინვალის მუშაობა და გლეხთა საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი საგონებელში გარდება: მოთხოვნილებათა მუხლები მათი განხილვის საგანს არ შეადგინს და დროც ასე ცოტა აქვთ. მაინც იმართება საბჭოს და კომიტეტის სასწრაფო შეერთებული კრება, თუმცა თითონაც არ იციან რა უნდა გადაწყვეტონ. თავად-აზნაურების გაძვება მათი საქმე არ არის. რაც შეეხება მიწების დაყოფას — შესაფერი მუშაობა უკვე სწარმოებს თანახმად ახალი მთავრობის გამოცემული სააღიალმაშულო დეკრეტისა. სიტყვისა და კრების თავისუფლება ხომ უკვე განხორციელებულია?

საბჭოსა და კომიტეტის კრებას ჯერ არაფერი არა აქვს დადგენილი, რომ უკვე სამ საათზე მეტია. ამ დროს მთებიდან სროლა იწყება და კრებაც წყდება.

სხვა გზა არ არის და სანდრო კუცხოველის მეთაურობით დელეგაცია მიღის ოსებთან. დელეგაციაში არიან: რაჭდენ გაგუა, პორფილე ეფრემიძე, გრიშა ოქროპირიძე, ალექსანდრე





ეროვნული გვარდიის პირველი კრილობის მონაწილეთა ჯგუფი. ცენტრში სხედან ნოე ხომერიკი, გრიგოლ ლორთქებუნიძე, ნოე ჭორავანია, გალიკ ჯუღალი და ნოე რამბეგილი

ჩოხელი და ვასო იარალოვი. მათთან ერთად მიდის ოსთაგან გამოგზავნილი დელგაციის წევრი ჩოჩივე.

დგვრისის მოედანზე ოსები მაღლიდან სროლით ეგებებიან დელგაციას, რომელსაც თეთრი ბაირალები აქვს გამოფენილი. დელგატები იძულებული არიან თხრილში დაიმაღლონ. ჩოჩივე მაინც ახერხებს ოსებთან ასელას და მათ გაჩერებას. მათთან ადრიან სანდრო კეცხოველი და ვასო იარალოვი. სანდრო მათ არიგებს და პპირდება, რაც შესაძლებელია ყველაფერს აგისრულებოთ...

მეორე დღეს 17 მარტს ცხინვალში ამოდის გორის წითელი რაზმი სამაზრო კომისრის გიორგი მაჩაბლის ხელმძღვანელობით. იმართება მოლაპარაკება. ოსებს ყველა მოთხოვნის და კმაყოფილებას პპირდებიან გარდა თავადა-აზნაურობის გაძევებისა. 18 მარტისთვის ინიშნება მიტინგი დევრისის მოედანზე. ოსები თავიანთ მოთხოვნებს ადასტურებენ. გიორგი მაჩაბლის შემდეგ ლაპარაკობს ცხინვალის კომისარი კულუმბეკოვი (ოსი)... ამბობს: დაპირება კმარა, საჭირო დაპირებულის ასრულება, და ორივე ხელს მაღლა აიწნევს. ამ ნიშანზე იწყება სროლა, ზღუდრის კალთიდან და ნაცარ-გორიდან. თავზარდაცემული ხალხი იშლება და მუცელზე ხოხვით შორდება საბედისწერო მოედანს. დაბინდებისას სროლა წყდება... ცხინვალის ვენახებს ოთხივე მხრიდან

ცეცხლი ედება. შეუძლებელია ლონისძიების მიღება ბრძოს მხეცობის წინააღმდეგ.

ცხინვალის შტაბში ამ დღოს ბჭობაა და მოუთმებლად ელიან გათენებას. დილის ხუთ საათზე შესაძლებელი ხდება ბრძოსთან შებრძოლება. სხვადასხვა მხრისკენ იგზავნებიან რაზმელები, რომლებიც შედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ბრძოს. სროლა მხოლოდ ნაშუადღეს ოთხ საათზე წყდება. ამის მიზეზი ის არის, რომ წითელ რაზმელებს ტყვია-წამალი შემოაკლდათ და შეუძლებელია ბრძოლა, საჭიროა თავის გადარჩენა.

ცოტა ხნის შემდეგ საზარელი სურათი იშლება: ცხინვალში შემოიჭრება გამზეცებული ბრძო. იწყება ძარცვა-რბევა, ღრიალი, დუქნების მტვრევა, უუბდარების სროლა (წითელ რაზმელთა მხრით). ისმის კვირილი: დაარტყით, მოკალით ბრძო შეიარაღებულია. აქვთ „ვინტოგები“, ბერდენის თოფები. ბერდენის სისხლიანი ხანჯლები, ხიშტები აქვთ გაკეთებული ჯოხებზე. ძარცვა-რბევაში მონაწილეობას იღებენ ერედველი ქართველები.

ალაგ-ალაგ ბრძოს უძკლებელებიან გიორგი მაჩაბელი, კოსტა კაზიშვილი, ილია მაისურაძე და სხვები; მაგრამ გადარჩენის იმედი მაინც არ არის, რადგანაც მავთულები გორსა და ცხინვალს შუა წინათვე გადაჭრილია და გორიდან მაშველი ჯარის მოლოდინი არავის აქვს. ხიდის ყურზე ლუისის ტყვიამფრქვევი

# მსოფლიოს საუკათხესო მუზეუმები



13  
ომად



ეს უნიკალური სერია მათვეისაა, ვისაც სურს, ჰქონდეს  
მსოფლიო შედევრების საკუთარი კოლექცია,  
ნებისმიერ დროს შეეძლოს მისი დათვალიერება  
და თითოეული შედევრის ისტორიის გაცნობა.

„წიგნი, რომელიც მუზეუმს შეგაყვარებს!“  
დათო ტურაშვილი - მწერალი


## საჩართველოს ეროვნული მუზეუმი მსოფლიოს ღეგმინდარულ 13 მუზეუმს შორის

7 მაისიდან თვეში ერთხელ  
„პირის ასლორინსის“ ერთსა და  
ოთხი VII

სპეციალური ფასი 13.50 ₾ გაზეთად 15 ₶




ორსოს მუზეუმი  
ოთხი 8



საჩართველოს ეროვნული მუზეუმი  
ოთხი 8

მაგარი ყდით და სუკერით



## ნვენ გერენი!

თქვენ მიერ არჩეული შედევრის ასლს!

ორიგინალთან მახასიათებული ასლი სპეციალური  
ტექსტოლოგიით იძენდება მდგალსარისან  
ტილოზე და გადატიმულია ზის კარკასზე!  
იმისთვის, რომ გარანტირებულად შეძლოთ კოლექციის  
ყველა ინმა შეერწყობა და საჩუქრად მიღოთ მატვრული  
ტილო, გირჩევთ გამოიწვიოთ ეს სერია!

დამატებითი ინფორმაციისთვის  
დარეკვეთ: 0322 38 38 71



იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში  
ან დარეკვეთ ნომრებზე: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74  
და elva.ge ადგილზე მოგარომევთ. palitral.ge Palitra.L.PUBLISHING

მუშაობს. აქ მძიმედ დაჭრიან გიორგი მაჩაბელს და შემდეგ საავალმყოფოს წინ კლავენ. ჩქარა იმავ ადგილას გიორგისავით მოვალეობის მსხვერპლი ხდება და სახელოვან სიკვდილს პოვებს კოსტა კაზიშვილი. სანდრო კეცხოველიც ხიდის ყურზე დგას და ალბათ, მისი გულიც საზარლად იგმინება ძვირფასი ადამიანების დაკარგვით. იგი მაინც მხნეობას არ კარგავს და ხალხს ანუგეშებს, სანამ ურცხვად არ შექება ბრძო მის ჭაღარას და ტყვით არ გაუგმრავს პატიოსანს და კაცომლებარე გულს. ბრძო ამით არ ქმაყოფილდება. გაციებულ გვამს საშინლად ასახიჩრებენ.

19 მარტი ასე საზარლად მთავრდება ცხინვალელთა და ოქ მისული წითელგვარ-ლიელებისათვის. გამარჯვება რჩება ბრძოს და სრული ბატონ-პატრონი ხდება მთელის ცხინვალისა... როდესაც გაიგებენ გორიდან წამოსული ჯარის მოახლოებას ლაპრულად ტოვებენ აოხრებულ ქალაქს“.

გაზეთ „ერობა“, 1918 წლის 23 მარტი, კორესპონდენცია „ცხინვალის ამბები“: „გუშინ, 21 მარტს ცხინვალიდან დაბრუნდა ამხანაგი კირილე ნინიძე და შემდეგი გვიამბო: გაძარცვულთა რიცხვის დადგენა შეუძლებელია. მიძქონდათ საათები, ფული, მანუფაქტურა, კოვზები. ქალებს ბეჭდებს აძრობდნენ. ცალ ხელში ვინტოვკა ეჭირათ, ზურგზე სავსე ტომარა ჰქონდათ წამოყიდებული“ (აი, ასეთი საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა მაშინ ცხინვალში!).

გაზეთ „ერობა“, 1918 წლის 24 მარტი, კორესპონდენცია „ცხინვალის ამბები“: „გუშინ ამიერკავკასიის მთავრობას ცხინვალიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა ვალიკო ჯუღელისგან: „22 მარტს ჩენენმა წითელმა გვარდიამ ცხინვალი და მისი შემოგარენი ხელში ჩაიგდო. მოწინააღმდეგები ბრძოლა არ მიიღო და მთებში გაიქცა. მათი ძალა გროვდება ჯავის ხეობაში. მთელი დღე სამი სოფლის გაწმენდას მოვანდო-



სანდრო კეცხოველი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწე, რევოლუციონერი. იყო გაგზავნილი კატორდაში, იპუტის ქმი

მეთ... ჩენენმა არტილერიამ სოფლები დაზოგა და გამოსულ მოწინააღმდეგებს ყუმბარები დაუშინა. ფედერალისტთა რაზმი და ტფალი-სიდან ჩამოსული წითელი გვარდია გავიდა მდინარე ლიახვში და დასავლეთით ცხინვალს ალყა შემოარტყა. ქალაქი სამწუხარო სურათს წარმოადგენს: ყველაფერი განადგურებულია. ქუჩებზე ჩენენი ამხანაგების დანობეული სისხლია დამხმარი. მცხოვრები აღტაცებით შევცვლნენ. ჯერჯერობით გავათვისუფლეთ 150 ტყვე. ხალ მოვიღებთ საჭირო გადამჭრელ ზომებს. მომხდარი ამბები მეტად როგორია და ტრადიკული. ზოგი სოფელი სულ დაიცალა. დამნაშავები სასტიკად დაისჯებან“.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

### ნიკო უგრებიძე

საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების წევრი



სანდრო კეცხოველის სურათი  
გამოქვენებულია  
უკრალში „ოქტო  
და ცხოვრება“, 1918  
წლის 20 ოქტომბერს  
(№14)

# იოანე ბაგრატიონი

პირველი ქართველი  
ბანმანათლებელი

შეურალი, მთარგმნელი,  
ენციკლოპედისტი, ლექსიკოგრაფი,  
განმანათლებელი, სახელმწიფო მოღვაწე —  
ასე აფასებენ თანამედროვე მკვლევრები  
პიროვნებას, რომელსაც ქართველი  
ხალხის წინაშე დიდი დამსახურება აქვს.  
იოანე ბაგრატიონი ქართლ-კახეთის  
ბოლო მეფის, გიორგი XIII-ის შვილია.  
დაიბადა 1768 წელს თბილისში. მეფე  
გიორგი თავისი შვილებიდან იოანეს  
ყველაზე მეტად აფასებდა და ენდობოდა.  
მეფე ერეკლესაც დიდი იმედი ჰქონდა  
შვილიშვილის. სამეფო კარტე იმასაც  
ამბობდნენ, — მეფობა არავს შეუძლია  
იოანე ბატონიშვილის გარდა.



იოანე ბაგრატიონი, მეფე გიორგი XIII-ის ძე

იოანე გმირულად იბრძოდა კრწანისის  
ომში, მან თავგანწირებით გაარღვია ერეკლეს  
გარს შემოჯარელი მტრის ალყა და თავის თა-  
ნამებრძოლებთან ერთად, მეფე დატყვევებასა  
და დაღუპვას გადაარჩინა.

ნიახერას ომში ქართველთა ჯარს სარდ-  
ლობდა, მონაწილეობდა თავდამსხმელთა  
წინააღმდეგ გამართულ მრავალ ბრძოლაში.  
1798 წელს მეფე გიორგიმ იოანე ფელიცე-  
მეისტერად (არტილერიისა და მეთოვეთა  
უფროსად) დანიშნა.


რუსეთთან მიერთების შემდეგ, ქართლ-კახე-  
თის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის  
გათვალისწინებული პირობების დარღვევის  
გამო აღშევოთებული იყვნენ ბაგრატიონებიც.  
ამიტომ რუსეთის იმპერიამ მათი რუსეთში  
გადასახლება დაიწყო. იოანე 1801 წელს,  
ერთ-ერთი პირველი გაამწესეს რუსეთში.  
მალე მასთან მისი მეუღლის, ქეთვენ წერეთ-  
ლის გაწვევაც მოითხოვეს, რათა იოანეს უკან  
დაბრუნების სურვილი აღარ ჰქონდა.

ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნი-  
სას, 1798 წელს, იოანემ მამას წარუდგინა  
„ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი რე-  
ფორმების პროექტი — ანუ „სჯულდება“,  
სადაც იოანე ყველა მნიშვნელოვან სახელ-

მწიფოებრივ საკითხს გნიჩილვადა და ცვლი-  
ლებებს აუცილებლად მიიჩნევდა. თუმცა, ამ  
ცვლილებების განხორციელება ქართველებს  
არ დაცულდათ.

ჩანს, რომ იოანე ქვეყნის გაერთიანებაზე  
ფიქრობდა. მისი გეგმით, აღმოსავლეთ და და-  
სავლეთ საქართველოს შორის აუცილებელი  
იყო თანხმობის მიღწევა და ერთიან საქარ-  
თველოში უნდა ემეფა ხან აღმოსავლეთისა  
და ხან დასავლეთის ბაგრატიონთა გვარის  
წარმომადგენელს. პროექტში იოანე ყველა  
მნიშვნელოვან საკითხს ქვებოდა. მისი გეგმით  
თბილისში, გორსა და თელავში უნდა გახსნი-  
ლიყო უმაღლესი სასწავლებლის ტიპის დაწე-  
სებულებები, სასწავლო სახლი, სამშობარი,  
ბიბლიოთეკა, აფთიაქი, მუზეუმი, ფოსტა, უნ-  
და აშენებულიყო და გამაგრებულიყო ციხესი-  
მაგრები, შექმნილიყო რეგულარული ჯარი,  
დაკანონებულიყო განსაზღვრული წესები.

ეს ყველაფერი ვროპაში უკვე დიდი ხნის  
დამკაიდრებული გახლდათ, მაგრამ მძიმე  
ისტორიული ბედის გამო საქართველო, რო-  
მელიც ერთ დროს აღმოსავლური რენესანსის  
სათავეში იდგა, ახლა ბევრი სახელმწიფოე-  
ბრივი თუ საზოგადოებრივი რეოლის განვი-  
თარებას იყო მოკლებული.



გორგი  
XIII

„სწორედ იმ დროს, როცა დასავლეთ კუროპაში რენესანსად წოდებული კულტურის მძღვანელი აყვავება დაიწყო და შეუჩერებელი წარმატებათ მიმდინარეობდა, საქართველოს ყოველგვარი საშუალება მოესპო, რომ ამ ნაყოფიერს შემოქმედების წყაროს გასცნობიდა და თვითონაც ამ მოძრაობის მოზიარე გამზღვარი იყო“, — წერდა ივანე ჯავახიშვილი.

1798 წელს იოანემ აღწერა ქართლ-კახეთი და მისი მეზობელი მხარეები. ამ ნაშრომში 2300-მდე ტოპონიმია მოცემული. მოგვწოდა ქართველ თავადთა და აზნაურთა გვარების წარმომავლობა. სპარსულიდან თარგმნა „სეილანიანი“, სპარსული დასთანი (ამბავი), ჩაიწერა „ვეფხისტყაოსნის“ ხალხური ვარიანტი — „ტარიელიანი“.

იოანე თავის მასწავლებლად დავით რეჯტორს, დავით ალექსი-ძესნიშვილს მიიჩნევდა.

იცოდა იოანემ, რომ „ქვეყანას მეცნიერება აღაშენებს“, მაგრამ რას იზამ, „მტრიანი ქვეყანა გვაქვს და ყოველთვის ბრძოლა —

და მაგგვარებისათვის ვერ მოგვიცლია“, — ათემევინებს იოანე „კალმასობის“ ერთ-ერთ გმირს.

იოანემ სიცოცხლის ბოლო პერიოდი, 1801 წლიდან 1830 წლამდე, რუსეთში გაატარა. აქ მან მთელი თავისი ცხოვრება საქართველოსთვის სასარგებლო საგანმანათლებლო საქმიანობას მიუძღვნა. ამისთვის საგანგებოდ შეისწავლა რამდენიმე უცხო ენა.

იოანეს გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე შეუდგენია თავისი ქართულად ნათარგმნი შრომების სია, რომელიც ასე გამოიყერება:

„ექვსი ტომი ლექსიკონი რუსული და ქართული, კონდილიაკის „ლოღიკა“, ინგლისური ზენისტავლება (ზოტლანდიელი ფილოსოფოსის ადამ ფერგაუსონის ნაშრომი „ზენიბითი ფილოსოფიის მოძღვრება“. — თ.3.), საღმრთო და საერო თანამდებობის წიგნი, ორი ტომი საზოგადო ისტორია, ენციკლოპედიური გვარი წიგნი, ვიდრე სხვადასხვა პსტავლათა ორასამდინ სტავლა, იკონოლოდია, შემოკლებული დავითნის განმარტება, დოდოს ანგელიილის პასტორის განსახვა, არისტეტიკა, ლოგარითმა, ლეომეტრია, მტერეომეტრია, ლონგიმეტრია, პლანომეტრია, ტრილონომეტრია, ვიშედეომეტრია, ფორთულია, არხიდექტურა, არტელერია, ტაკტა, სამკურნალო წიგნი, ბოდანიკა, ნატურალური ისტორია, კვდუქსია, და სხვანიცა“.

აღსანიშნავია, რომ ეს სია სრული არ არის.

ზოგი ნამუშევარი უშუალოდ იოანეს არ უთარგმნია, მაგრამ მისი დაგალებით, ბიოლოგიისა და სხვა მეცნიერებების კარგად მცირდნეთა მონაწილეობით და თავისივე რედაქტორობით ითარგმნა და მასალაც დაემატა. ასეთებიდან აღსანიშნავია „საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი“.



1795 წლის  
კრწანის  
ბრძოლა (ბორის  
რომანულები,  
1939 წ.)



ნახურის (ფრანს, კაკაბეთის) ბრძოლა 1880 წლის 7 ნოემბერს (ნიკოლაო სამიეში, 1899 წ.)

იოანე ბაგრატიონი ჰეტერბურგში მოღვაწე ქართველ მოწინავე პირთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა, ითვლებოდა ქართული კოლონიის სულისხამდგმელად.

იოანემ დიდი წვლილი შეიტანა მედიცინაში. შეადგინა სამედიცინო ლექსიკონი, თარგმნა სამკურნალო კარაბადინი და ბევრი მასალა თავადაც დაამატა. შეადგინა სამკურნალო მცენარეთა ლექსიკონი, 274-გვერდიანი „სამკურნალო წიგნი“, რომელშიც გარდა აფრადმყოფობათა აღწერისა, მოცემულია რეცეპტურა და წამლის დამზადების წესები.

იოანე ხელოვანიც იყო. გამოსცა „მუსიკალური სახელმძღვანელო“. იყო მხატვარი, პოეტიც, თარგმნიდა ლექსებს. ათარგმნინა გერმანულიდან ხახა-ხატვის შემსწავლელი სახელმძღვანელო. მიუხედავად იმისა, რომ იოანე მორწმუნე ქრისტიანი იყო, მაინც თარგმნა კოლტერის ლექსები.

რაც შექმნა „კალმასობას“, ეს ნაწარმოები, ალექსანდრე ბარამიძის სიტყვებით, „ძველი ქართული მწერლობის უკანასკნელი და ახალი ქართული მწერლობის პირველი თვალსაჩინო ქეგლია“.

„ხუმარსწავლა“ ანუ „კალმასობა“ XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე თანამედროვე ქართული საზოგადოების საკმაოდ ნათელ სურათს წარმოადგენს“, — მიიჩნევს შალვა ნუცუბიძე. თხზულება ენციკლოპედიური ხასიათისაა, კითხვა-პასუხის სახით, იუმორთან შეზავებით, უზარმაზარი ენციკლოპედიური მასალაა მოცემული მეცნიერების კველა დარ-

გიდან. მათ შორის ავტორი აღწერს, თუ რა საგნების ცოდნა სჭირდება ექიმს, გვაწვდის სამოცამდე ქვეყნის ისტორიულ თუ გეოგრაფიულ მონაცემს.

როგორც „სჯულდება“, ისე „ხუმარსწავლა“ ანუ „კალმასობა“ ვრცელი ცალკე თემა ცალკე განხილვისთვის და უაღრესად საინტერესო ქმნილებებია.

სამშობლოდან მოშორებული იოანე, ისევე, როგორც მისი მმები, ცდილობდა, საქართველოსთვის რაც შეიძლება სასარგებლოდ ემოქმედა.

სიცოცხლის ბოლო წლებში, თავის ქვეყანას მონატრუბულმა იოანემ, კიდევ ერთხელ ამგვარად გამოხატა თავისი აზრი: „სიყვარულისა და ერთგულებისა გამო მამულისა ჩუქნისა ვიძულე ხელ-ხებად წიგნისა ამისა“.

დარწმუნებულმა, რომ ნანატრ სამშობლოს ველარასძროს იხილავდა, გამოთქვა დიდი სურვილი, რათა საქართველოში არ დავიწყებოდათ მისი სახელი, ხოლო მის ნამრობებს იქ გაეცნობოდნენ, გამოიყენებდნენ: „საქართველოს შინა მოსწავლენი არა უგულებელს ჰყოფენ და ამით ვიქნები მათგან დაუკიწყებელ“.

იოანე 1830 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია პეტერბურგში. იმავე წელს გარდაიცვალა მისი ვაჟი გრიგოლი, რომელიც კახეთის 1812 წლის აჯანყების აქტიური მონაწილე იყო. გრიგოლის შთამომავლები ბაგრატიონ-გრუზინსკის გვრის ატარებდნენ.

**თამაშაზე პეტრიაშვილი**



# პაშის ციხე

ბაშის ციხის  
ნაგრძლები


## საფორტიფიკაციო ძეგლი სამემონი საკამაოდ გრცელ ტერიტორიას აპონტორილებდა

სამეგრელოს ერთ-ერთი ყველაზე შეუსწავლელი და ამასთანავე საინტერესო საფორტიფიკაციო ნაგებობა — ბაშის ციხე, იგივე ჩიჟიშვარი, მდებარეობს ოდიშის პლატოზე, მდინარე ჩხოუშის მარცხნა ნაპირას. ზღვის დონიდან 240 მეტრზე, ქალაქ ზუგდიდიდან 7,5 კილომეტრის დაშორებით. ბაშის ციხე სოფლის საკმაოდ მაღალ სერზეა აშენებული. მასთან მისვლასა და ნაგებობის ჩახატვას ვერ შევძლებდით, რომ არა ადგილობრივების, ლადო ჭანტურიასა და კარლო ლაშების დაბმარება. მათი წყალობით ციხის სამხრეთით, თითქმის გაუგალ ფერდობზე, რომელიც ამჟამად სათხილეებითა და ფანის ღობეებით არის დასერილი, ასასვლელი ბილიკი მოვძებნეთ.

ბაშის ციხის ტერიტორიაზე დღეს დიდი ზომის 12 საკმაოდ შთამბეჭდავი ნაგრევის გარჩევა შეიძლება. მათგან ყველაზე გამორჩეული სამხრეთ აღმოსავლეთით არის შემორჩენილი. ეს რიყის ქვისგან ნაგები, 4-5 მეტრის ოთხეუთხა კოშკის ფრაგმენტები უნდა იყოს. მთლიანად ციხე-გალავნის ფართი 3500 კვმ-ს მეტრს აღწევს. გვიანი შეუსწავლებილანვე ნაგებობასთან მისასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო და მას გოხორხილს, ანუ განერხილს უწოდებდნენ. მართლაც, დღემდე კარგად შეიძლება გაარჩიო თუთო გრუნტში ღრმად ამოჭრილი გზის ნაკ-

ფლევი. იგი ციხის დასავლეთით, მდინარეების — ჩხოუშისა და ენგურის ხეობებისკენ ეშვებოდა. დღეს ციხის ტერიტორიაზე ლაგვილავების სამი ოჯახი ცხოვრობს, რომლებიც აქ საგარაუდოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უნდა დასახლებულიყვნენ.

ბაშიც ციხის კედლების წყობაში, დიდი ზომის რიყის ქვების გარდა, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც განირჩევა აგურით აშენებული ფენები. ჩიჟიშვარს სამხრეთით პქონდა წყარო, რომელიც დღემდე შემორჩენილი. მისთვის საგანგებოდ სათავე ნაგებობაც ყოფილა აშენებული, რომელიც ახლა ბეტონის ორფერდა



სამეგრელოს რუკა, 1713 წელს შედგენილი პიტერ გან  
დერ ას მიერ მაშის ცახე აღნაშენებოა, როგორც **Bascis**

სახურავქეშ არის მოქცეული. ციხის შიგნით წყლის არსებობა, სხვა დამხმარე ნაგებობების საკმაოდ დიდი ზომის ფრაგმენტები და უზარმაზარი ტერიტორია მიუთითებს, რომ ბაში თავის დროზე საკმაოდ მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო გამაგრება იყო. ამას ზელს ხელსაყრელი მდებარეობაც უწყობდა. აქედან კარგად მოსხანს რუხის, ენგურის გაღმა სათანავოს, ნაცმერის, წყოუშის, ფახულანის ციხეები. აქედანვე იკვეთება სოფელ ლიის ფერდალური ხანის ციხესიმაგრის, დიდა ქირსას კონტურები. როგორც ჩანს, ბაში საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას აკონტროლებდა: ენგურის მარცხნა სანაპიროს რუხიდან ლიამდე, ჩხოუშისა და ჯუმის ხეობათა ნაწილს.

ბაშიც ცახეზე, იმავე ჩიუშმარზე, ისტორიული წყაროები არსებითად არ გაგვაჩნია. არც ის არის ცნობილი, ვის ეკუთხოდა იგი. ნანგრევებში ზედმიწევნით იმის დადგენაც მნელდება, ეს ნაგებობა თავის დროზე ციხე იყო თუ რომელიმე მცირე ფეოდალის ცახე-დარბაზი. ჩვენი პზრით, უპირატესობა უფრო მეორე ვერსიას უნდა მივნიჭოთ და ამის საფუძველს ნაგებობის მასშტაბები გვაძლევს.

საყურადღებოა ერთი გარემოება: ციხის

გამოსახულება ლათინური წარწერით — Bascis დატანილია პიტერ გან დერ ას (Pieter van der Aa) (1659-1733) მიერ 1713 წელს შედგენილ სამეგრელოს რუკაზე. ციხე აქ მოჩანს ზუგდიდის ზემოთ, რუხსა და კორცხელს შუა. ეს მეტყველებს, რომ ციხესიმაგრე საკმაოდ მნიშვნელოვანი როლს ასრულებდა რეგიონის ცხოვრებაში და მას ფუნქცია XVIII საუკუნის დასწყისში დაკარგული არ ჰქონდა. ის, რომ ბაში 1713 წლის ვეროპულ რუკაზე ვხედავთ, მისი აგების გაცილებით ადრეულ პერიოდზე გვაფიქრებინებს — XVI ან XVII საუკუნეზე.


საყურადღებოა საფორტიფიკაციო ნაგებობის სახელწოდებაც — „ბაში“. ამ სახელით კიდევ ერთი ქართული სოფელია ცნობილი იმერეთში, კერძოდ სამტრედიის მუნიციპალიტეტში. იმერეთის ბაში ისტორიულ წყაროებში პირველად 1578 წელს მოიხსენიება. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ტოპონიმი ბაჟიდინ უნდა იყოს წარმომდგარი, რადგან ამ მიდამოებში შუა საუკუნეებში საბაჟო იყო, სადაც მდინარე რიონით ამოტანილ თუ გასატან საქონელს ბაჟს ადგებდნენ.

სამეგრელოში არსებული ამ ციხის სახელწოდების გააზრების დროს არანაკლები



სამურალოდან ოსმალთა განდვნის შემდეგ კი ციხემ თანდათანობით ფუნქცია დაკარგა და გაუერანდა

მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში მოხსენიებულ ტოპონიმ „აჩიკბაშე“. აკადემიკოს სერგი ჯიქიას განმარტებით, დავთარში ასე იმერეთი იხსენიება. ეს ყოფილა შედგენილი სიტყვა, სადაც „აჩიკ“ ოურქულად დიას ნიშნავს, ხოლო „ბაში“ თვეს. ამავე მნიშვნელობისაა იმ დროს გავრცელებული იმერეთის მეორე



ტოპონიმი „ბაშიაჩუკი“. მოკლედ რომ ვთქვათ, ქართულში ეს სიტყვა „თველიას, თავმოხდილს, თავდაუხურავს“ შეესაბამება.

სამცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რატომ უნდა დარქმეოდათ იმერლებს „აჩიკბაში“ ან „ბაშიაჩუკი“. ენათმეცნიერ გიორგი წერეთლის განმარტებით: „ასე უწოდებენ ოურქები იმერლებს, რომლებიც თვზე ატარებდნენ პატარა ფაფნაკს, რაც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ქუდი არ ქრერათ“. ეს განმარტება ქმაურება ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას: „ხოლო იმერთა მცირედ რაიმე განიყოფების, არამედ ქუდი მცირე ნაჭრისაგან, რომელი არა ბურვით გარნა მდებარე არს თხემსა ზედა და ზამთარს მოსიათ ტოლომა ოსმალური... ოსმალნი და სპარსენი საყოველთაოდ ამ ქუეყანას (იმერეთს) უწოდებენ ბაშიუჩს, რომელ არს თავახდილი, უქუდობისათვის, რომელთა პტერიულ მცირე რაიმე ნაჭრისაგან ლართა, ვითარცა მდებარედ თვესა ზედა“.

ჩვენი აზრით, სამურალოში არსებული ამ ციხის დასახელება მის მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს. თუ მფიჩნევთ, რომ ტოპონიმი ოსმალური სიტყვიდან არის ნაწარმოები, შევვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი სამურალოში ოურქთა აქტიური ექსპანსიის დროს, XVI-XVII საუკუნეებში აშენდა და მთავარ, მეთაურ, თავციხეს ნიშნავდა. სამურალოდან ოსმალთა განდვნის შემდეგ კი ციხემ თანდათანობით ფუნქცია დაკარგა და გაუერანდა. დამპყრობლებთან ბრძოლას რომ უკავშირდება ბაშის

ციხე, ამას სამეგრელოს გამორჩეული მკვლევრის, აკაგი ჭანტურიას მიერ სოფელ ლიაში ჩაწერილი ერთი თქმულებაც მიუთითებს. გადმოცემის მიხედვით „ძალიან დიდი წნის წინ „ურჯულოს“ ჯარი მოსულა სამეგრელოში. დაუწყია ხალხის ხოცა ანაკლიაში. მაშინ თურმე ჯვარსა და ანაკლიას შორის ხალხი ისე ხშირად იყო დასახლებული, რომ სახლები ერთმანეთის გვერდით იდგა. მოლაშქრე ჯარი ლიამდე მისულა და თავის გზაზე მოული ხალხი გაუწევეტია, ხალხი შეწუხებული იყო, მაგრამ გამოსავალი თურმე ვერ იპოვეს და ურჯულოთა ჯარს მთელი სამეგრელო უნდა გაწევეტა. ამ დროს ერთი ბერი ყოფილა ბაშის ციხეში. სხვების მსაგასად ისიც შეწუხებული იყო ქრისტიანების სიკვდილის გამო. ამ ბერს ცეციკარ ბერს ეძახნენ. ერთ დამეს მას დაესიზრა, რომ ვიღაცამ ხმალი მისცა და უთხრა: „წადი, ამ ხმლით შეწნ იომე“. წაგიდა ბერი მაშინვე. როცა ბერმა ხმალი აღმართა, მთელი ჯარი გაწედა. დაქრია და რაც ურჯულო ჯარი იყო მთლიანად გაწევეტა, ისე რომ ერთი კაციც არ დატოვა. როცა იქიდან ბაშში დაბრუნდა, ბერმა ერთ გოგოს უთხრა, — ეს ხმალი გაწმინდეო. გოგომ უთხრა, ვერ გაეწენდო, მეორედ რომ უთხრა, გოგომ ისევ უარით უპასუხა, ასევე მოხდა მესამედ. მაშინ თვითონვე დაიწყო წმენდა. თურმე ხმალი თავის სკონით შეუტრიალებია, რომლითაც ჯარს სპობდა, ამიტომ ბერს სული ამოხდა. ის ხმალი და ბერი დღესაც ბაშში არიან დამარხულია“.

როგორც აღვნიშნეთ, ციხეს მეორე სახელი — ჩიჟიშვარიც ჰქვია. ისტორიკოს კოტე გრიგოლიას განმარტებით, კარის მეშვეობით ნაწარმოები სახელები ფრიად გავრცელებული იყო ძველ საქართველოში. ამის კონკრეტული მაგალითები სამეგრელოშიც მრავლად გვხვდება. „ასე წმოდებოდა უმაღლეს სასულიერო და



ბაშის წყარო

საერო ხელისუფალთა სასახლეს, საბრძანებელს, აგრეთვე ზოგიერთი სახელგანთქმული ხატის საყდარს, ადგილსამყოფელს — მანცხურკარი, კულიშქარი, უფალკარი, ჯიხაშქარი და სხვა“. ჩიჟი, ხალხში შემონახული ერთი გადმოცემით, ჩიჩუათა საგვარეულოს მამამთავარი ყოფილა. სხვა ლეგენდას თანახმად, ციხესიმაგრის სახელწოდება უკავშირდება თურქებთან მამაც მებრძოლ ნესტორ ჩიჟას, რომელიც ხალხმა მითურ გმირად აქცია...

ასეა თუ ისე, ცხადია, რომ ბაში, იგივე ჩიჟიშქარი, რეგიონის გამორჩეული საფორტიფიკაციო ნაგებობა იყო, ამიტომ მისი ისტორია მომავალ კელვა-ძიებას მოითხოვს, თავად ისტორიული ძეგლი კი მეტ ყურადღებასა და მოვლა-პატრონობას.

### გიორგი პალანდია

**საქართველოს ხელოუნების სასახლის დირექტორია**

ენგურის დაბლობი ბაშის ციხიდან



# ლეილა აბაშიძე ქართველი პინოს 31ს საზღვავი



კადრი ფილმიდან „შეზედრა მთაში“ ლეილა აბაშიძე  
შეფინარის როლში (1966წ.)

კადრი ფილმიდან „ჭრიჭინა“ (1954წ.) ლეილა აბაშიძე  
და რამაზ ჩხიტკავშე



არავინ იცის, ვის რა ელოდება  
ცხოვრებაში. თუმცა ლეილა აბაშიძეზე  
მის ახალგაზრდობაში აუცილებლად  
გეტყოდნენ, რომ ის — ქართული  
კონს გარსკვლავი, აუცილებლად  
გარსკვლაურად იცხოვრებდა: მას  
ცნობდნენ და უყვარდათ, მისი ნიჭი  
აღიარებული იყო, მუკობრობა და  
პატივისცემა არ აკლდა. მართლია,  
საბჭოთა საქართველოში პოლიტური  
ფუფუნება არ მიეცემოდა, მაგრამ  
ამ არეალში ერთ-ერთი ყველაზე  
უზრუნველყოფილი და ბედნიერი  
იქნებოდა. წესით, ასეც უნდა  
ყოფილიყო...

მაგრამ არსებობდა ერთი „მაგრამ“... ლე-  
ილა აბაშიძეს ბავშვობიდანვე ძალიან ბევრი  
ტკივილი არვუნა ბედმა. მამა, რომელიც  
რესეტში თანამდებობის პირი იყო და 1937  
წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა —  
ციმბირში გადასახლეს. ცოლ-შვილი გაჰყვა  
მის კვალს... სულ პატარა ლეილამ, დედის  
ალექსესა და მამის სითბოსთან ერთად, ცივი

და მოქუფრული ბანაკის რაობაც შეიცნო. ყვებოდა თურმე: „იყო გახლართული მავ-თულები, სადაც 220 კოლტი დენი გადიოდა, ვერ მიეკარებოდი. იქვე, დედამ ერთი ადგილი იცოდა, დადგებოდა და შორიდან შეუმჩნევლად დაუქნებდა ხელს მამას, ისიც ჩუმად მიესალმებოდა. მე პატარა ვიყავი, დავიმახსოვრე ის ადგილი, გაუძვრებოდი-გამოვძვრებოდი ყოველდღე, მთიდოდი იქ, ხან სიგარეტს გადაჟუგდებდი მამას. ის გამომხედავდა ასე მაღლახი თვალებით და მხოლოდ ეს იყო ჩვენი შეხედრები“.

ეს მაღლიერი თვალები მთელი ცხოვრების ტკივილად ექცა. ვინ იცის, რამდნევე ახსენებდა თავს მაშინ, როცა...წესით მხოლოდ საკუთარ ბედნიერებაზე უნდა ეფიქრა... დედოსა და მამის განაწამები სახუბი მეტსიერებიდან არ ამოსდიოდა. რაც უფრო მეტად სტკიოდა, მით უფრო იკტებოდა თავის სიმარტოვესა და სადარდელში. საზოგადოების წინ კი მხიარული ლეილა ჩანდა, რომელსაც ნიჭიერების წყალობით შეუმჩნევლად ვერ დატოვებდი! ჯერ კიდევ პაწაწინა გოგონა საკონცენტრაციო ბანკის პატიმრებისთვის გამართულ კონცერტზე გამოდიოდა და მთელი არსებით კითხულობდა ლექს „Умер Ильич“. როგორც თვითონ ამბობდა, ამ ლექსში აქსოდა მთელ განცდას, რაც დაგროვებოდა გისოსებს იქით მყოფი მამის, შრომით დაღლილი დედის, ქართულ შექს მოშორებული პატარა გულის ტკივილის გმო...

ლეილა აბაშიძე იმ მძიმე წლებს როცა იხსენებდა, იმასაც ამბობდა, რომ პირველი რეცენზია სწორედ მაშინ მიიღო: „იქ ბევრი ქართველი იყო, რა თქმა უნდა, რომლებიც თურმები მოუთმებლად ელოდნენ ჩემს გამოჩენას და ტაშით მხვდებორნენ. იმ პერიოდში მე და მამას პირველებთან ერთად გაზეთ „Сибирская правда“-ში დაიბეჭდა სტატია სახელწოდებით „Отец и dochь“, სადაც წერა: „Когда на сцене появляется маленькая Лейла, ее встречают аплодисментами, предчувствуя появление будущей большой актрисы“. ეს იყო პირველი რეცენზია, რომლითაც მე მაღიარა მაყურებელმა“.

თავბრუდამხვევი კარიერა! ეს შეფასება მართლაც ზედმიწებით შეუფერება მის თამაშს კინოში, რადგან თითქმის ყველა მნიშვნელოვან ფილმში იწვევდნენ. მის მიერ შექმნილი სახეები უყვარდათ და თაობები იზრდებოდნენ.



ლეილა  
აბაშიძე  
(1965)



კადრი ფილმიდან „მაია წენეთული“ (1959 წ.)  
კადრი ფილმიდან „ჭრიაჭინა“ (1954 წ.)





ფოტო გადასაღები მოქნილან. ფერილა აბაშიძე იყო „თბილისი, პარიზი, თბილისის“ (1980 წ.) დამდგმელი რეჟისორი, სცენარის თანაუგრძონი და ერთ-ერთი მთავრი როლიც შეასრულა



კადრი ფილმიდან „თბილისი, პარიზი, თბილისი“  
კადრი ფილმიდან „ორომტრიალი“ (1986 წ.)



მისი თაყვანისცემით! ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როცა 8 წლისამ, 1941 წელს ფილმში „ქაჯანა“, კატოს როლი შეასრულა. სკოლის დამთავრებამდე კიდევ ორი როლი მისცეს: იუტა („ოქროს ბილიკი“, 1945) და ნაზიბროლა („აკაგის აკანი“, 1947).

პროფესიის არჩევაზე რომ მიდგა საქმე, კითხვა არც გაჩენილა — თუატრალურ ინსტიტუტს მიაშერა. ინსტიტუტის წითელ დიპლომშე დამთავრების შემდეგ ლეილა აბაშიძე რუსთაველის თუატრში გაანაწილეს. ძალიან მალე მიიწვიეს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. ახლა კი მართლაც დასჭირდა არჩევნის გაცემება: ან კინო და ან თუატრი! ლეილა აბაშიძემ კინო არჩია...

საყოველთაო ალიარება მოუტანა როლებმა ფილმებში მარინე („ჭრიჭრიანა“, 1954), ლია („აბეზარა“, 1957). ფილმმა „ჭრიჭრიანა“ (სცენარი მარინა ბარათაშვილის და ლევან ხოტიგარის, რეჟისორი სიკო დოლიძე) მოელი მსოფლიოს ეკრანები მოიარა და მსახიობს დიდი წარმატება მოუტანა.

არავის დაავიწყდება ლეილა აბაშიძის ლელა („ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, 1954), მანანა („ჩვენი ეზო“, 1956), მაია წყენეთელი („მაია წყენეთელი“, 1959), ძიძია („ხევისბერი გოჩა“, 1964), ნინო („შეზვედრა წარსულთა“, 1966), ლალა-შევინარი („შეზვედრა მთაში“, 1966), გარდისახარი („დიდოსტატის მარჯვენა“, 1969), ქეთვანი, („მოლოდინი“, 1969)...

(ცხოვრება მიდიოდა... ლეილა აბაშიძეს, როგორც კინომსახიობს, ყველაზე დიდი წარმატება ერგო წილად და ალბათ ბედნიერი უნდა ყოფილიყო ამით... მაგრამ მისი სათეოთი ბუნება, დაუცველი შინაგანი სამყარო გაცილებით მძაფრად განიცდიდა ნებისმიერ პატარა ტკიფილსაც კი... მისთვის ერთი სიტყვა, ერთი გამოხდევა შეიძლებოდა ყოფილიყო მოუშებელი ტკიფილის მომტანი. ცხადია, არც ის ბავშვობის დროინდელი მძაფრი შთაბეჭდილება ავიწყდებოდა: ტკიფილად ქცეული ადამიანების სახეები გისოსებს მიღმა, განწირული პატიმრის მაღლიერი თვალები, ოჯახს დანატრულებული ტუსაღების სიყვარულიანი შეძახილება... ამიტომაც უნდოდა რაღაც უფრო სერიოზული, ფსიქოლოგიური ეთამაშა. სულში დაგროვილი სათქმელი, როგორც კივილი, ისე აღმოხდენოდა ამ როლის თამაშისას... ეს ოცნება არ შეუსრულდა. ახლა მნელია თქმა, რატომ მოხდა ასე: დაემთხვა

მბიძე წლები, როცა ქართული კინო ლამის მოკვდა, როგორც ხელოუნება, არ იყო არა-ნაირი სახსარი, რომ რეჟისორებს ემუშავათ. უკვე ახალგზრდულ ასაკს დამშვიდობებულ მსახიობს რატომღაც მაშინაც ნაკლებად აძლვებუნ როლებს, როცა შესაძლებელი იყო.

2009 წლის 8 მარტს თბილისში, კინოთა ტრ „რუსთაველის“ წინ ღეიღლა აბაშიძის გარსკვლავი გაიხსნა. გარსკვლავის გახსნამდე კინოთა ტრში მსახიობის პატივსაცემად საღამო გაამართა, რომელზეც ქალბატონმა ლეილამ თქვა: „დღეს მეორედ დავიძადე. ადრე თუ გვიან აღარ ვიქები ამ ქვეყანაზე და ეს ვინსკვლავი კი, სადაც ჩემი სახელი და გვარია ამოტვიფრული, მუდამ იარსებებს. თქვენ ვერც კი წარმოიდგინთ, ეს რამხელა პატივია ჩემთვის. მით უმეტეს, რომ ჩემი გარსკვლავი დიდებული, გენიალური ქართველი მსახიობი ქალის, ნატო ვაჩაძის გარსკვლავის გვერდით გაიხსნა. დიდი მაღლობა უპირველეს ყოვლისა, ქართველ ერს, ჩემს მაყურებელს; დიდი მაღლობა ყველა იმ რეჟისორს, ვისაც ამ გარსკვლავის გახსნაში წვლილი მიუძღვის, რადგან მათ ფილმებში მათამაშეს. მე ამას აღიქმამ, როგორც უდიდეს ჯილდოს. ამ ბედნიერ დღეს ღმერთს ვთხოვ, რომ გენიალური ქართველი კინო ისევ აღრმანდეს და უფრო მეტი ბრწყინვალებით წარდგეს მაყურებლის წინაშე. ჩემთვის ერთი ვარსკვლავი ცოტაა. მე მინდა საქართველო ვარსკვლავების ქვეყნად იქცებ“.

მაშინ ქალბატონ ლეილას არ უთქვამს და არც სხვას დაუზუსტებია: გარსკვლავების ქვეყანა ადამიანების სულებში იბადება. მის სულში ნამდვილად არსებობდა ვარსკვლავეთი: ბავშვური ოცნებები და სიყვარული, მიამიტობად მისული უბრალოება და ისევ ოცნებები... ამასთანავე მის სულში ცოცხლობდა აღრულ ბავშვობაში „ნააღრუვად გაზრდილი და დადარდინებული“ ბევრის მნახველი ადამიანიც, რომელიც რამდენადაც უნდა გეგონოს, რომ პოპულარობის ფონზე უბედნიერები იყო, მაინც მარტობასა და სულიერ ბრძოლაში ატარებდა დროის უდიდეს ნაწილს...

ვარსკვლავეთი სულიერი კატეგორიაა და არა მატერიალური... ქალბატონ ლეილა, თქვენ ნამდვილად იყავით და ხართ საქართველოს ვარსკვლავეთის ღირსეული ბინადარი.

### ლელა ჯიხაშვილი



ლელა აბაშიძე (1965 წ.)



დაფილი III



## ბულგარელი „ცორცსაკაი“

მეუვე ბორის III და გენერალი ხრისტო ლუკოვი ბულგარელი სამხედრო ქვედანაყოფს ათვალიერებენ

სოფია, 1943 წლის 13 თებერვალი.

13:55 საათზე სადარბაზოსთან, სადაც გენერალი ხრისტო ლუკოვი ცხოვრობდა, მანქანა გაჩერდა. გენერალი მარდად გადმოხტა. ეტყობოდა, შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იყო. ლუკოვი სადარბაზოს კუნძულ დაიძრა. მანქანა ადგილს მოსწყდა და გაუზინარდა.

— სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა მოულოდნელად გამოტყვრა. ლუკოვი შედგა, უცნობს დაუფარავი ეჭვით მიაჩერდა.

— ბატონო გენერალი! — ახალგაზრდამ ქუსლი ქუსლს შემოჰკრა, — დავალებული მაქს, პაკეტი გადმოგცეთ.

— რაო?

ახალგაზრდა ბორიმეჩებამ რევოლუციის იძრო. ლუკოვი თითქოს ამას ელოდა, თავდამსხმელს ეძგერა და ხელში ჩაარტყა. იარაღი ხმაურით დავარდა ქაუენილზე. მეორე დარტყმის შემდგვ ტერორისტი ძირს დაეცა.

ლუკოვი წაქცეულს დააცხრა. ბორიმეჩებამ სცადა, მისთვის თთები თვალში ეტაკებინა. გენარალმა სახეში გაარტყა. ბორიმეჩებამ დაიკვნესა, თვალები დახუჭა. ლუკოვმა კვლავ გაარტყა.

ვიოლეტა იაკოვაძე დაინახა, როგორ წაიქცა ივან ბურუჯიევი (ბორიმეჩებამ მისი აგნეტურული მეტსახელი იყო). ქალი საფარიდან გამოვიდა. გენერალი ბორიმეჩებას

ხელს უგრებდა. ვიოლეტამ თვალები დახუჭა, რევოლუციი შემართა და სასხლეტს თითო გამოჰკრა.

ლუკოვმა შეპყვირა. ვიოლეტამ თვალები გაახილა. გენერლის გახვრეტილი თვეიდან სისხლი შადრევანივით ასხამდა. სადარბაზოს კარში 12-13 წლის გოგონა გამოჩნდა. ეს გენერალ ლუკოვის ქალიშვილი იყო. თავგახვრეტილი მამის დანახვაზე ბავშვი გაშემდა, თვალები გაუფართოვდა, სახე გაუფიროდა.

— ესროლე! — დაიყვირა ბორიმეჩებამ, — მან დაგვინახა!

ვიოლეტა არ განძრეულა. მისი რევოლუციიდან ბოლი ამოდიოდა. ამ დროს ერთ-ერთი ბინის ფანჯარა გაიღო. გაისძა ქალის კვილი:

— ლუკოვი მოკლეს! გენერალი ლუკოვი მოკლეს!

ვიოლეტა გაიქცა. ბორიმეჩება დაედევნა. ელდანაცემი ბავშვი კვლავ გაუნძრევლად იდგა. ქალი კი მოული ხმით გაჰკიოდა.

რეიტერის საავტორო ცნობილა: „სოფიაში თვეის სახლოთან მოკლეს ბულგარეთის ნაციონალური ლეგიონების კავშირის ბელადი გენერალი ხრისტო ლუკოვი. არსებული ინფორმაციით, თვედამსხმელები ორნი იყვნენ, ქალი და მამაკაცი. ქალმა გაქცევა შეძლო, მამაკაცი კი პოლიციასთან შეტაკებისას დაიღუპა.

იქვე იყო ცნობები მოკლული ტერორისტის შესახებ: ივან ბურუჯივაი, მეტსახელი ბორიმეტკა, პროფესიით მუშა, ბუღარეთის კომპარტიის წევრი 1938 წლიდან“.

მეორე დღეს, გამოხინისას უანდარმერიამ ტერორისტების ბაზას ალყა შემოარტყა. ბაზა სოფიის მახლობლად, ვატოშას მთაზე მდებარეობდა.

მაშინდელ ბუღარულ პრესაში ეს ოპერაცია ფართოდ გააშუქეს. გაზეუბი წერდნენ, რომ ორმხრივი სროლის დროს ტერორისტების ნაწილი დაიღუპა, ნაწილი ცოცხლად შეიპყრო. მოკლულთა შორის აღმოჩნდნენ „შავი ანგელოზების“ მეთაური სლავჩი რაღმირსკი (ნამდვილი გვარი ბოსკი), მიტკა გრიბეგა (მეტსახელი ოგნიანა), როზალია მარკოვა (მეტსახელი პრინცესა).

### ნადიონბა მპალელევა

გენერალ ლუკოვის ლიკვიდაციის შემდეგ ვიოლეტა სოფიაში დარჩა. დედაქალაქში პოლიცია მძინარებდა, ამიტომ ვიტოშაზე ასვლა ვერ მოახერხა. დამე ერთ-ერთ კინს-პირაციულ ბინაში გაათია. დილით მასთან მეკავშირე ზდრავები მივიდა.

— დამით ჩვენებს უანდარმები დაეცნენ, ნაწილი ამოხოცეს, ნაწილი დაიჭირეს!

— სლავჩი როგორაა? — ვიოლეტა წამოხტა.

— მოკლეს.

ზდრავკო გჩუმდა. ვიოლეტას თვალები ცრემლებით აევსო. წამიც და მწარედ აქვითინდა.

\* \* \*

თვალის მინისტრის, გენერალ თეოდოსი დასკალოვის აგარაკზე გაიმართა მისი შეხვედრა პოლკოვნიკ ათანას პანტევთან (გენერალ ლუკოვის ნდობით აღჭურვილ პირთან). პანტევს უჩვეულოდ დაძაბული იერი პქონდა. დასკალოვმა გაიღიმა, კონიაკი ჭიქებში ჩამოასხა.

— ლუკოვის მკვლელობაშ შემძრა, — ჩუმად წარმოოქვა თვალის მინისტრმა, — თუმცა ახლა ეს მთავარი როდია. ყველაფერი ბოლოდე უნდა მივიდეს.

— რაო?

— გენერალ ლუკოვის მიერ დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ, — დასკალოვი წამით გაჩუმდა, — გასაგება?

„მებრძოლი — ცენტრს: ბუღარეთის თავ-დაცვის მინისტრი დასკალოვი თავის აგარაკზე საიდუმლოდ შეხვდა პოლკოვნიკ პანტევს. გადატრიალების სამზადისი გრძელდება. მას ამჯერად დასკალოვი უხელმძღვანელებს. მებრძოლი“.

იმავე საღამოს უცნობმა პირებმა ვიოლეტა იაკოვას ლიკვიდაცია სცადეს. ეს მაშინ მოხდა, როცა ქალი სახლიდან გამოუიდა.

ვიოლეტამ კუდი უძალ შენიშნა. როცა ერთ-ერთმა თავდამსხმელმა რევოლვერი ამოიღო, კედელს აეკრა და იარაღი ელვისებურად იძრო. ზუსტი გასროლით თავდამსხმელი იქვე გააკორა, მეორე მძიმედ დაჭრა. ვიოლეტა გაიქცა.

ზდრავკოსთან მორიგი შეხვედრისას ვიოლეტამ მას ყველაფერი უამბო. ზდრავკო წამოდგა, სახეზე ხელი გადაისვა.

— შენზე ნადირობენ, — ჩუმად წარმოოქვა ზდრავკომ, — უნდა დაიმალო. მე დაგეხმარები.

ათი წუთის შემდეგ ისინი სახლიდან გავიდნენ.

ზდრავკომ და ვიოლეტამ ფოტოატელიეს კარი შეაღეს. ფოტოგრაფი პაველ კრილოვი საშუალო ტანის ჩიოურა მამაკაცი იყო. ზდრავკომ რაღაც ჩაიჩურნებულა. ვიოლეტა ჩუმად იდგა და მამაკაცებს მისხერებოდა.

— დაბრძანდით, — კრილოვმა გაიღიმა, — ზრდავკომ ყველაფერი მიამბო. საშინელებაა





ბულგარეთს არმიის ოში ჩართვას ქვეყნის მეცე კულტურულად აჭიანურებდა, რითაც პიტლერული გერმანიის დიდ უძმაყოფილებას იწვევდა (სურათზე: ბულგარელი ჯარისკაცები, 1942 წ.)

რაც მოხდა. აუცილებლად დაგექმარებით.

— გმაღლობით, — წაჩრენტულა ვიოლეტამ.

მოულოდნელად კარი გაიღო. ოთახში უცნობი მამაკაცი შემოვიდა. ხელში რევოლვერით

— არ გაინძრე! ხელები მაღლა!

ვიოლეტა ჩუმად იჯდა, ზდრავკო მასთან მივიღა, ჯიბები გაუჩხრიკა, იარაღი ამოაცალა. ზდრავკო იღიმებოდა. მამაკაცმა რევოლვერი დაუშვა. ვიოლეტა კვლავ ჩუმად იჯდა. მის სახეზე ნაკვთიც არ შეტოვებულა.

— ჩვენ დაგმალავთ, — კრილოვმა გაიცინა, — ისე დაგმალავთ, რომ დიდხანს ვერავინ გიპოვის.

ზდრავკომ გაიცინა, წამოდგა, ვიოლეტა-საკენ ნაბიჯი გადადგა. რევოლვერით შეიარაღებულმა მამაკაცმა იარაღი შეინახა.

— დანით სჯობია, — ყრუდ წარმოთქვა მან, — უხმაუროდ.

კრილოვმა თავი უხმოდ დაუქნია. მამაკაცმა დანა იძრო და ვიოლეტასკენ ნაბიჯი გადადგა. ქალმა გაიღიმა.

— მაშ, დანით, არა?

ვიოლეტა იღიმებოდა, თავი კეკლუცად გვერდზე გადახარა. მამაკაცი, რომელსაც

ხელში დანა ეჭირა, უნებლივთ შედგა. უცბად ვიოლეტამ ისკუპა, დასწელილი ილეთით ხელი ამოუტრიალა, მეორე ხელი კი ფერდში გვერდულად, ძლიერად ჩარტყა. მამაკაცი ყრუ კანესით ძირს დაუკა. დანა ვიოლეტას ხელში აღმოჩნდა.

ზდრავკომ რევოლვერი იძრო. იმავე წამს ჰაერში რაღაცამ გამშეუილა. ვიოლეტას მიერ ნასროლი დანა ზდრავკოს ყელში შეერტო.

— მიშველეთ! — უნებლეთ შეჰკივლა კრილოვმა.

ზდრავკო დაეცა, პირიდან სისხლი სდიოდა. მისი რევოლვერი ახლა ვიოლეტას ეკავა. გაფითრებულმა კრილოვმა ხელები ასწია. ვიოლეტა მასთან მივიღა, ჯიბები დაუჩხრიკა, შემდეგ ხელი ჰკრა და სავარძელში ჩააგდო.

— მაშ, დამექმარები, არა?

ვიოლეტამ ჩახმახს თითი გამოპკრა. გაისმა სროლის ხმა. კრილოვმა შეჰკივლა და დაეცა. ტყვია ფქში მოხვდა. ვიოლეტა მასთან მივიღა. ქალი იღიმებოდა.

— არ მოქლა! — ისტერიკულად შეჰკივლა კრილოვმა, — არ მოქლა!

— ჩემი ლიკვიდაცია ვინ გიბრმანა? — შეწყვეტინა ვიოლეტამ.

— აბა, როგორ გითხრა...  
— მოკლედ და კონკრეტულად, მიპასუხე!  
წინააღმდეგ შემთხვევაში კუპრში ბანაობა  
მოგიწევს, ამაღამაც და მთელი დარჩენილი  
ცხოვრებაც!

— თუ გეტევი, არ მომქლავ?  
— ვნახოთ, — ვთოლეტამ გაიღიმა.  
— შენი ლიკვიდაცია ამხანაგმა ანდრეიმ  
მიძრაბანა, — ამოიქმინა კრილოვმა, — ის  
გეტევზე მუშაობს.  
— რაო?

— ჰო, გეტევზე მუშაობს, — დაიყვირა კრი-  
ლოვმა, — მეც, ზღრაგოც, სხვებიც გეტევზე  
ვმუშაობდით, გაიგე?  
— სად ცხოვრობს ეს ანდრეი?  
— არ ვიცი, იქნებ მიტკა გრიბჩევამ იცო-  
დეს.

— მიტკა მოკლეს.  
— ვერ გაზეთებში წერუნ. სინამდვილეში  
ცოცხალია.  
— რაო? — ვიოლეტას გაოცებისაგან  
თვალები შებლზე აუცილდა.  
— ჰო, ცოცხალია.  
კრილოვს შებლი თულით ჰქონდა დაცვა-  
რული. ვიოლეტამ არადი დაუშვა...  
— ბატონო მაიორო! — ლეიტენანტი შო-  
პივი სულს ძლიერ ითქვამდა, — ამ ვიოლეტამ  
ზდრავკო უკვე მოკლა, კრილოვიც.  
— ვიოლეტას ხელი არ ახლოთ, მაგრამ  
არც თვალი მოაშოროთ? გასაგებია? — მაიორმა პერვმა მუშტები შეკრა (დოიტრი  
პერვი, ბულგარეთის არმიის სადაზერვო  
განყოფილების (რო) თანაშშრომელი და რო-ს  
შეფის, ნიკოლა კოსტოვის ნდობით აღჭურ-  
ვილი პირი).

## შუ მგლები ერთმანეთის

### პირისპირ

მიტკა გრიბჩევამ კარი მიხურა. სინათლე  
არ აუნთადა, სავარძელში ისე ჩაებერტყა.  
ელექტროჩამრთველმა გაიჩაკუნა. მიტკას  
სინათლის ნაკადი სახეში ეცა. ქალმა უნე-  
ბლიერ ხელი აიფარა.

— რაო, დაქალო, ვერ მიცანი?  
ვიოლეტა იღიმებოდა. მიტკამ ხელი ჯი-  
ბისგან წაიღო.  
— სდექ! — ვიოლეტამ რევოლვერი იძრო.  
მიტკამ უმწეოდ ამოიღნავლა. ვიოლეტა  
მასთან მფიდა, ჯიბები გაუჩხრიკა, რევოლ-  
ვერი ამოაცალა.



ბულგარული არმიის  
ჩატულობა (1943 წ.)

— ახლა შეგიძლია დაჯდე!

ამ სიტყვებზე მიტკას ხელი ჰკრა და საგარ-  
ძელში ჩააგდო.

— გაზეთებში წერია, რომ მოგკლეს, შენ  
კი თურმეც ცოცხალი ხარ! — ვიოლეტამ ავის  
მომასწავებლად გაიღიმა, — ახლა ყველა-  
ფრის დაყაჭყა მოგიწევს, კონტრდაზერვის  
შეფ გეტევზე როგორ მუშაობდი, მეგობრებს  
როგორ აბეზდებდი!

— მე მხოლოდ ჭანჭიკი ვიყვა, — ამოი-  
კნაგლა მიტკამ.

ვიოლეტამ სახეში გაარტყა. მიტკას თა-  
ვი უკან გადაუვარდა, გახეოქილი ტუჩიდან  
სისხლი წამოუვიდა.

— გეტევს მძველად ჩემი შვილი ჰყავს, —  
თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა გრიბჩევამ, —  
შვილით მომიწყო შანტაჟი, გესმის!

— როდის?

— ორმოცდაერთში, როცა ჩემი ქმარი  
დაიჭირეს!..

— მთავარი გამცემი სლავჩო რადომირსკი  
იყო, — მიტკა წამით გაჩუმდა.

— ჩმა ჩაიწყვიტე, — შეპკოლა ვიოლეტამ,  
— ორეგმ...  
— გგონა, სლავჩო მართლა მკვდარია? —



ადმირალი კონტექტ კანარის

მიტკამ მწარედ გაიცინა, — არა, საყვარელო! ისიც ცოცხალია და ბორიმეჩებაც! გაიგე?

— რას მიედ-მოედები! ბორიმეჩება ჩემ თვალწინ მოკლეს!

— ეს სპექტალი იყო. სინამდვილეში ბორიმეჩება ცოცხალია! შენი სლავჩოც ცოცხალია! რაო, გიყვარდა, არა? ის კი შენ გიყენებდა! შე სულელო! ახლა მაინც მიხვდი რამეს?

\* \* \*

ვიოლეტამ მიტკა არ მოკლა. მისი დახმარებით სლავჩო რაღომირსკიზე გასვლა სურდა.

სლავჩო... ის მის ცხოვრებაში პირველი ნამდვილი სიყვარული იყო. ვიოლეტა თექვსმეტი წლისა იყო, როცა სლავჩოსი გახდა. კომპარტაშიც მისი გავლენით შევიდა. შემდგა იყო მუშათა პროფესიონერებში მუშაობა, სპეციალისტებითა და მოკლეს უცნობმა 1941 წლიდან ვიოლეტა არალეგალურ საქმიანობაზე გადავიდა, მალე კი „შავი ანგელოზების“ რიგებში აღმოჩნდა.

— „შავი ანგელოზები“...

ვიოლეტამ კედელს მუშტი მთელი ძალით დასცხო.

მიტკა ზუსტად დანიშნულ დროს გამოცხადდა. ვიოლეტა შორიახლო უთვალთვალებდა მიტკას, კუდი რომ არ მოჰყოლოდა, ბოლოს საფარიდან გამოვიდა.

— გამარჯობა, დაქალო!

მიტკას სახე მიტკალივით გაფითრებოდა.

— სლავჩო გიცდის.

— აქ რატომ არ მოვიდა? — მეგახედ შეეკითხა ვიოლეტა.

— აბა, რა ვიცი, — გალიზიანებით მიუგომიტებამ, — მასთან მე მიგიყვან.

ამ სიტყვებზე შეურიალდა და გზას გაუყვა. ვიოლეტა უხმოდ მიპყვა. მიტკამ მოსახვევში შეუხება. ვიოლეტამ დაინახა მათხოვარი, რომელიც შორიახლო იჯდა და მათ შესცემულდა. ქალმა ელვასებურად იძრო რევოლვერი:

— არ გაინძრე! — შეპყვირა ვიოლეტამ.

ამ სიტყვებზე მიტკას ხელი ჩავლო და წინ აიფინა.

„მათხოვარი“ წამოიმართა. მის ხელში იარაღმა იელგა. ვიოლეტამ მიტკას ხელი ჰკრა. ქალმა ამოიკვენესა, წამიც და მათხოვრის ხელებში აღმოჩნდა. ვიოლეტამ ჩახმახს ხელი გამოჰკრა. გაისმა სროლა. „მათხოვარს“ რევოლვერი ხელიდან გაუგარდა და ქვაფენილზე გაიშხლართა. კიდევ ერთი მამაკაციც გამოჩნდა. ვიოლეტამ კვლავ გაისროლა.

### მაიორ აპენის აღსასრული

იმავე დამეს მაიორი დმიტრი პენევი შინ მანქანით ბრუნდებოდა. უცებ გამოტყვერა პოლიციელი, რომელმაც გარევევით ანიშნა, გაჩერებულიყო. მძღოლმა მანქანა დამუხრუჭა. პენევი გადმოიყიდა, პოლიციელს როსთანამშრომლის მოწმობა გაუწოდა.

— ბატონი მაიორი პენევი ბრძანდებით?

— დიახ.

პენევის პასუხს გასროლა მოჰყვა.

„დელიუსი — ცენტრს: სოფიაში უცნობმა პირებმა მოკლეს როს თფიცერი, მაიორი დმიტრი პენევი. მას მოწამლული ტყვიები დაახალეს. პენევის სეიფიდან გაქრა ყველა მასალა, რის მოპოვებაც მან შეძლო.

ჰაილ ჰიტლერ! დელიუსი“.

მეორე დღეს უცნობმა პირებმა დეპუტატი სოტიორ იანევი მოკლეს. სწორედ ის იანევი, რომელმაც პარლამენტში ლუკოვის მხარდაშეწერი ჯგუფი შეემნა.

გეშევმა სიგარეტს მოუკიდა. გადამწყვეტია რაუნდი დაიწყო. ვინც დაასწრებდა, გამარჯვებულიც ის იქნებოდა.

გამთენისას კონტრდაზვერგამ ადვოკატი ალექსანდრ პენევი დააკავა. ოპერაციას პირადად კონტრდაზვერვის შეფი ნიკოლა გეშევი ხელმძღვანელობდა. ყველაფერი იმ-

დენად სწრაფად და უხმაუროდ მოხდა, რომ ჯაშუშმა ვერავითარი წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოასწრო.

— ბატონო „მებრძოლო“! — გეშვემა თავი გალანტურად დახარა, — თამაში დამთავრებულია!

პეტე ხელბორკილი დაადეს და გაიყვანეს (ადვოკატი ალექსანდრ პეტე რო-ს შეფის, პოლკოვნიკ ნიკოლა კოსტოვის ნდობით აღჭურვილი პირი იყო. რო-ს ხელშეწყვიბით პეტე აგენტურული ქსელი შექმნა, რომელიც ერთდროულად მუშაობდა აბერზე, ინგლისელებსა და რო-ზე).

„დელიუს — ცენტრს: ადვოკატ ალექსანდრ პანაიოტო პეტე (აგენტურული მეტსახელი მებრძოლი) დაპატიმრებით მხილებულია ორმაგი (რიგ შეთხვევაში კი სამმაგი) აგენტების მთელი ქსელი. ის მოიცავდა მეფის სასახლეს, მინისტრთა კაბინეტს, არმიას, პოლიტიკურ პარტიებს, მსხვილ ბიზნესს. გამოაშეკრულა მასონური ლოჟა „ბერლინი“, რომლის წევრებიც იყვნენ პრემიერი ბოგდან ფილოვი, თავდაცვის მინისტრი თეოდოსი დასკალოვი, რო-ს შეფი პოლკოვნიკი ნიკოლა კოსტოვი.

ჰაილ პიტლერ! დელიუსი“.

## შურისძიების გაგა

ვიოლეტა იაკოვაშ უკანასკნელ ზაფანგ-საც დააღწია თავი. მან სოფელ კარდოფენში

თავისი ნათესავის, ივან დერმენჯიევის ოჯახს შეაფარა თავი.

დერმენჯიევი ვიოლეტას მონათხობით გაოგნებული იყო.

— გამოდის, რომ „შავი ანგელოზები“ პროვოკატორების ბანდა ყოფილა? საშინელება! — დერმენჯიევია სიგარული ამოილო.

— მაშ, სლავჩი პროვოკატორი ყოფილა?

— დერმენჯიევია თავი გააქნია, — თუკი ასეა, ლუკოვის მეცნიელობა რად დაუშვეს?

— ლუკოვი ხელისუფლებას პრობლემებს უქმნიდა, — წაიჩურჩულა ვიოლეტამ, — მათაც თავიდან მოიშორეს და ეს ჩვენი ხელით მოხდა. გეშვება ყველაფერი ზუსტად გათვალისწინება. გვაიძულა მასზე გვემუშავა, თანაც ისე, რომ არაფრის აინუნში არ ვიყავით.

— გამოდის, ბულგარეთში რევოლუცია აღარ მოხდება?! — დერმენჯიევს ხმა აუკანკალდა.

— თუკი რუსები არ მოვიდნენ, არაფერი მოხდება.

— შენ რას აპირებ?

— მინდა „ამხანაგ ანდრეის“ ვინაობა დაკადგინო. სლავჩისა და სხვა პროვოკატორების შესახებაც რაღაც-რაღაცები შევიტო.

— დაგუშვათ, შეიტყვე, მერე?

— რუსები რომ მოვლენ, ყველაფერს გადაუცემ.

ვიოლეტა გაჩუმდა. თვალები აენთო, ტუჩუბზე აფის მომასწავებელი დიმილი აუთამაშდა.



ბორის ლუკანოვი  
ალექსანდრ  
პეტეს როლში  
(მარჯვნივ) და  
გასილ მიხალიშვილი  
გენერალ ნიკოლოზ  
ნიკიფოროვის  
როლში. კადრი  
ბულგარული  
ს-სერიანი  
ფილმიდან  
„მეცნიერების შორის“  
(რეჟისორი ზაქრენ ჩეპია, 1979 წ.)



ბულგარეთის  
მეცვე  
ბორის III

### კანარის სოფიაში ჩადის

1943 წლის მაისში უცნობმა პირებმა პოლკოვნიკი ათანას პანტევი ჩაცხრილეს. სცენიდან ჩამოვიდა უკანას გნელი ძლიერი ფიგურა, რომელიც შეთქმულებას ედგა სათვეში.

იმავე წლის ფინის დასაწყისში სოფიაში აბვერის (გერმანიის სამხედრო დაზვერვა და კონტრდაზვერვა) შეფი, აღმირალი კანარის ჩავიდა. ის პირადად მიიღო ბორის III-მ. შეტვედრა თითქმის ოთხ საათს გაგრძელდა.

— თქვენ უდიდებულესობავ, — კანარის წმით გაჩუმდა, — არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ პევის ანუ „მებრძოლის“ საქმიანობის კურსში ვიყავით. ის არა მხოლოდ რუსებზე, არამედ ჩვენზეც მუშაობდა.

— ეს ვიცი.

— მაშ, რაშია საქმე?

— პევი ჩვეულებრივი საერთაშორისო ავანტიურისტია, — მეცვე პაუზა გააკეთა, — მას ფულის მეტი არაფერი აინტერესებდა. მთავარი ის არის, რომ მასონები ჩემს წინააღმდეგ შეთქმულებას გეგმავდნენ.

— მაგაში დარწმუნებული ხართ?

— პევემა აღიარებითი ჩვენება მისცა, — ბორის III-მ თავი გააქნია, — აგერ, მისი თანაშემწისა და უახლოესი მეცობრის, გენერალ ნიკიფორ ნიკიფოროვის ჩვენებაც. ასე რომ, ყველაფერი ნათელია.

მეცვე გაჩუმდა. კანარისმა ცხვირსახოცი

ამოიღო, გაოფლიანებული შუბლი მოიწმინდა.

— მასონები, შპიონაჟი, შეთქმულებები... ასეთი რამ დეტექტიურ რომანებშიც არ წამიკითხავს... — კანარისმა ჩაახველა, — თქვენო უდიდებულესობავ, ნებას მოგვცემთ, რომ აბვერის თანამშრომლებმა გამოძიებაში მონაწილეობა მიიღონ?

— ბულგარეთი სუვერენული სახელმწიფოა. უცხო ქვეყნის, თუნდაც ჩვენი მოკაფშირის სპეცსამსახური ვერაცითარ გამოძიებაში ვერ ჩაერევა.

— მაშ, უფლება მოგვეცით, გამოძიების მასალებს მაინც გავეცნოთ!

— ეს შეიძლება.

\* \* \*

ბერლინში დაბრუნებულმა კანარისმა ყოველვე პიტლერს მოახსენა: რუსეთ-ინგლისის აგწიტებმა და მასონებმა ბულგარეთის მეცვის ჩამოგდება სცადეს. შეთქმულება გახსნილია. ყველა ბოროტმოქმედი დაპატიმრეს.

— მეცვე ბორის III რაიხის ყველაზე ერთგული მოკაფშირეა! — კანარისმა ამას ხაზი განსაკუთრებით გაუსვა.

პიტლერი არ შეგამათება. ტუჩებზე ბოროტმა ლიმილმა გაუელვა. (დასასრული მომდვერო ნომერში)

**ნიკა თევზაბე**


ისტორიის დოქტორი



# პუტინი „სამუდაოდ“

1941

1945



დღი სამარჯვების 70-ე წლისთვის რესერვის პომპეურად აღნიშნეს

ირანთან დაკავშირებით შექმნილმა უნიკალურმა არბიტრაჟმა, „6+1“-მა თავისი მისია ამოწურა და დაიშალა. ეს ნიშნავდა, რომ დარჩა ერთით ნაკლები „დირექტორთა საბჭო“, რომელშიც რუსეთი მონაწილეობდა. რჩებოდა, რასა კიორკელია, მინისტრი (იგივე ნორმანდიული) პროცესი, ე.ო. დარგულიორება უკრაინის აღმოსავლეთში — ამ პროცესში რუსეთი, მსოფლიო თანამეობრობის უდიდესი ნაწილის აზრით, არა გარედან დამკირვებელი, არამედ კონფლიქტის მონაწილე იყო. ამ მოლაპარაკებებში პუტინის მონაწილეობა რუსეთის სიდიადის (მნიშვნელობის) მაჩვენებელი კი არ არის, არამედ იმის ნიშანია, რომ მას დიდი პრობლემები აქვს.

მაგრამ უკრაინის გარდა, რუსეთთან ერთდა რა პრობლემების განსაზიდველად არსებობდა შეაობა? — კრიმში ამ კითხვის პასუხს ეძებდნენ და მიაგნეს — ისლამურ სახელმწიფოს.

2015 წლის ზაფხულის ბოლოს გამოცხადდა, რომ ვლადიმირ პუტინი დაასრულებს თავის თითქმის ერთწლიან თავის შეკავებას დასავლეთში გამგზავრებისგან და ნიუ-იორკში, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ჩატა, რათა წარმოადგინოს გეგმა, რომელზეც მისი მრჩევლები ოცნებობდნენ. იმის შესახებ,

რომ რუსეთია და აშშ-ს კვლავ შეუძლიათ გაერთიანდნენ საშინელი საერთო მტრის — ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ.

სწორედ მასში, როცა კრემლში ახალ საგარეო-პოლიტიკურ ტაქტიკას იგონებდნენ, რუსეთში პომპეურად აღნიშნავდნენ და დამუშლო მამარჯვების 70-ე წლისთვის. იმეორებდნენ ჩეულ მანტრებს, რომ მთელი ცივილიზებული სამყარო გაერთიანდა ანტიპიტ-ლერულ კოალიციაში — და ამ კოალიციაში გადამწყვეტი როლი საბჭოთა კავშირმა ითამაშა. კრემლის საიჩრაიტერუბმა სურათი ამგვარად ჩამოაყალიბეს: მესამე რაიხსად ისლამური სახელმწიფო უნდა გამოცხადდეს (მანამდე პუტინის გამოსვლებში იყოთხებოდა მინიშნება, რომ დღევანდველი რაიხი — ამერიკის შეერთებული შტატებია). ხოლო რუსები და ამერიკლები, ისლამურ ტერორიზმშე გამარჯვების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს შეძლებენ ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნას, ახალი გაერთს უშიშროების საბჭოს, მსოფლიო დირექტორთა ახალი საბჭოს ჩამოყალიბებას, როგორც ეს მოხდა 1945 წელს, ქალაქ იალტაში.

მთელი ამ კონცეფციის პრეზენტაცია ვლადიმირ პუტინმა ნიუ-იორკში მოახდინა.

**მიხეილ ზიგარის „პრეზენტაცია“ — თანამედროვე რუსეთის მოკლე ისტორია (დასასრული. დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №№67-73, 75, 77, 79, 82-88)**



საქუთარი დაბადების დღის აღანიშნულ ბუფიინმა სოჭში ძეგლი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონების გუნდში ითამაშა და რვა შაბაც გაიტანა

ერთი კვირის შემდეგ მას დაბადების დღე პეტოვნა. 63 წლის შესრულება იზემა. დაბადების დღე სოჭში აღნიშნა, სადაც ჰოკეი ითამაშა ძველი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონების გუნდში. თვითონ გაიტანა რვა შაბაც და თვეისი მეგობარი ოლიგარქების გუნდდა დაამარცხა.

შემდეგ გაიმართა სადღესასწაულო სუფრა. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა მას საჩუქარი მოუმზადა — მაპათმა განდის ბრინჯაოში ჩამოსხმული სტატუა, ადამიანის სიმაღლისა. ეს წარმოადგენდა მინიშნებას პუტინის ძველ, 2005 წლის ინტერვიუზე, „დიდი რვაინის“ პეტერბურგის სამიტის წინ. როცა პასუხობდა დასავლელი უურნალისტის შეკითხვას, რამდენად არის იგი დემოკრატი, პუტინმა გესლანად უპასუხა, რომ სწორედ ის არის ერთადერთი ჭუშმარიტი დემოკრატი და „მაპათმა განდის გარდაცვალების შემდეგ აღარავინ დარჩა, რომ დაელაპარაკოს“.

მაშინ კველას ესმოდა, რომ ეს პასუხი იყო ხუმრობა და დაცინგაც კი. 2015 წლისთვის ხუმრობა ბრინჯაოსი გახდა — საჩუქრის მიღებისას პუტინი დარწმუნებული იყო, რომ ის მართლაც არის მშვიდობისმყოფელი, მაპათმა განდის რანგის ისტორიული ფიგურა, რომელიც მარტო ცდილობს მსოფლიოს გადაწენას. და მას არავინ ქმარება. ხმის გამცემიც კი აღარავინ დარჩა.

## მესამე მსოფლიო ომი იტყვება

პუტინის წინადაღებამ, ერთობლივი ომი დაწყოთ ისლამურ სახელმწიფოსთან, ბევრზე მოახდინა შთაბეჭდილება. ამერიკის დიპლომატიაზეც კი. თუმცა, გაკვირვება დიდხანს არ გაგრძელებულა.

რამდენიმე დღის შემდეგ რუსეთმა სირიის დაბომბვა დაიწყო. პირველი დარტყმები რუსულმა ბომბდამშენებმა არა ისლამური სახელმწიფოს პოზიციებს, არამედ სირიის ოპოზიციას მიაყენეს — ბაშარ ასადის მტრებს. გადიოდა კვირები, რუსეთის მფრინავები სირიის ოპოზიციის დაბომბებას განაგრძობდნენ, ხოლო რუსეთის ტელევიზია — მტკიცებას, რომ პუტინი წარმატებით ებრძვის ისლამურ სახელმწიფოს. წონაანი ამერიკლი დიპლომატის თქმით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში მალევე იგრძნეს დეუა ვიუ — როგორც მაშინ, როცა რუსეთი ამტკიცებდა, რომ დონბასში კონფლიქტში არ მონაწილეობს. პუტინის გულწრფელობის მიმართ რწმენა კვლავ განქარდა.

2015 წლის 1-ელ დეკემბერს ომმა უცბად დაიწყო ახალი მოხაზულობის შეძენა. რუსეთის თვითმფრინავი, რომელიც სირიელი ოპოზიციონერების პოზიციას ბომბავდა, თურქეთის სამხედრო-საპატიო ძალებმა ჩამოაგდეს. იმ დღეს კრუმლში ყველაზე პოპუ-

ლარული შავი ხუმრობა იყო ჩამოგდებული რუსული ბომბდამშენის შედარება აესტრიის ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანთან, რომლის მკვლელობას პირველი მსოფლიო ომი მოჰყვა.

ლიბერალური ეკონომისტები მთავრობიდან და მსხვილი ბიზნესიდან, რომელთა გავლენაც, კრემლში მზარდი კრიზისის ტალღაზე, ცოტათ გაძლიერდა, შეძრწუნებული იყვნენ. მათ ეს-ეს არის დაიწყეს პუტინის დარწმუნება, რომ პოლიტიკაში ძალისმიერი მოქმედებისკენ გადახრა მომაკვდინებელია ეკონომიკისთვის, ჩამოგდებული თვითმერინავი კი მათ ყველა გუმას ასამარებდა.

ისინი ცდილობდნენ, პრემიერ ერდოღანთან მუშაობის საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე აქსნათ პუტინისთვის, რომ ის ემოციური და იმპულსური პიროვნებაა; რომ თვითმერინავის ჩამოგდების გადაწყვეტილება მან პირადად მიიღო და აშარაა, რომ რჩევისთვის არ დაურეკავს არც ვაშინგტონში და არც ბრიუსელში. „კარის ლიბერალები“ პუტინს ერდოღანის მოტივაციას უხსიდნენ: რომ სირიის კონფლიქტში რუსეთის ჩარევა მისთვის თავიდანვე მტკიცნეული იყო; რომ ერდოღანის იდეოლოგია „ნეორისმანიზმია“, რაც არსებითად ოსმალეთის იმპერიის აღდგენას გულისხმობს, ამიტომ ყველა ტერიტორიას, რომელიც 100 წლის წინ თურქეთის შემადგენლობაში შედიოდა, თურქეთის „უკანა

ეზოდ“ მიიჩნევს — დაახლოებით იმის მსგავსად, როგორც რუსეთი მიიჩნევს უკრაინას თვითი განსაკუთრებული ინტერესების ზონად. ამიტომაც ჩათვალა კიევის მეიდანი პუტინმა დაუშვებელ ამერიკულ შემოჭრად, ასევე ერდოღანიც მტრულ უსტად თვლის რუსეთის თვითმფრინავების სირიაში გამოჩენას. პუტინს ეუბნებოდნენ, რომ ეს იყო დასანან და უპატიიებელი შეცდომა, რომ ყველა ეს რისკი არ იყო გათვალისწინებული.

მაგრამ მას არ სჯეროდა. მეორე მხრიდან პუტინთან მიკერნდათ სხვაგარი სადაზერვო მასალები და ანალიტიკური შეფასებები. თითქოს თვითმფრინავის ჩამოგდების გადაწყვეტილება ბრიუსელიდან და ვაშინგტონიდან მოვიდა. თითქოს ეს განზრახული პროვოკაცია იყო, მესამე მსოფლიო ომის დასაწყიბად. თითქოს ასეთი ხერხით ამერიკელები ცდილობენ შემოწმებას, ხომ არ ბლეფობს პუტინი.

ომმა, რომელიც თხევმეტიოდე წელიწადს ეჩვენებოდათ წარმოსახვითად, რეალური კონტურების შეძენა დაიწყო. ის, რაც ცოტა ხნის წინ აპილუტურ ბოდგას ჰგვდა, უცბად სერიოზული განსჯის საგანა გახდა.

სამთავრობო ეკონომისტებმა, უახლოესი წლების საკუთარ სამომავლო გვემებში, ხმამადლა დაიწყეს მსჯელობა „მესამე მსოფლიო ომის ფაქტორზე“. კრემლის საშინაო პოლიტიკის სპეციალისტებმა თითქოს ხუმრობით

სირიაში პირველი დარტემები რუსეთის ბომბდამშენებმა არა ისლამური სახელმწიფოს პოზიციებს, არამედ სირიის ოპოზიციას, ასერ ასაღის მტრებს მიაყენეს





(ზემოთ) თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი. (ქვემოთ) რუსეთის Su-24 სირიაში თურქეთის სამხედრო-საპარო ძალებმა ჩამოაფლეს



გაშალეს მსჯელობა, როგორი უნდა იყოს რეპრესიები ინტელიგენციის წინააღმდეგ, თუკი ომი დაიწყება. საგარეო პოლიტიკის სტრატეგიებში კი უცბად დაიწყება ლაპარაკი, რომ დიდი სამხედრო კონფლიქტი რუსეთისთვის შესაძლოა შანსად იქცეს — რადგან იგი ძირფესვიანად შემოაბრუნებს მსოფლიოში ვითარებას და მას თავდაყირა დააყენებს. ვინ იცის, ამ შემთხვევაში ვინ აღმოჩნდება მაღლა.

### **ბოლოთქმა მაგრამ მაგრამ საშუალოდ**

ეს წიგნი რომ გრძელდებოდეს, Mi-20 თავის გმირი ნიკოლაი პატრუშევი იქნებოდა. შეძლებ კი ვინ იცის, კიდევ რამდენი თავი დაგვჭირდებოდა?! ვლადიმირ პუტინს კიდევ ბევრი მეგობარი ჰყავს: იური კოვალჩუკი, არკადი როტენბერგი, გრიგორი ტიმჩენკო, იგორე კლადიმირ იაკუნინი, რომელიც, მართალია, გადააყენეს, მაგრამ ჩამოწერილი არ არის. ალბათ, თითოეული მათგანი თავის დროს ელოდება.

იმ ხალხს შორის, ვინც ვლადიმირ პუტინს პირველი ვადის დროს იცნობდა, არ სებობს ლეგენდა, თითქოს მას მეორე ვადით პრეზიდენტისთვის კენჭისყრა არ სურდა. მან გააცნობიერა, რა პრობლემებთან არის

დაკავშირებული პრეზიდენტობა, ამიტომ სერიოზულად ფიქრობდა თავი დაედწია ტვირთისთვის, რომელიც მას აპკიდეს. ლეგენდის თანახმად, პუტინის უახლოეს გარემოცვას დიდი ძალის შემცვევა დასჭირდა, რათა იგი მეორე ვადით არჩევაზე დაეყოლიებინა. „ვალოდია არასდროს წავა საკუთარი თავის წინააღმდეგ“, — ამ ფრაზას მაწერენ იური კოვალჩუკს, პუტინის მეგობარს, რომელიც თითქოსდა სხვებთან ერთად არწმუნებდა პრეზიდენტს, დარჩენილიყო.

მათ აუსწენს პუტინს, რომ დარჩენა აუცილებელია, წასვლა კი თვით მისთვისვე არის სახითათ. სხვა ვერსიის თანახმად, გადამწყვეტი როლი ნიკოლაი პატრუშევმა ითამაშა, რომელმაც დაუმტკიცა პუტინს, როგორი შემზარავი სოციალური ძვრები შეიძლება მოჰყვეს მის წასვლას.

დახლოებულ პირთა, კოლეგებისა და მეგობრების წრე 15 წლის განმავლობაში სულ უფრო მჭიდროდ იკვრებოდა მის გარშემო, სულ უფრო საიმედოდ იცავდა მას რეალობისაგან, საკუთრივ მისი და თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე. ისინი არწმუნებდნენ პუტინს, რომ მას არ შეუძლია წასვლა, რადგან ასეთ შემთხვევაში ცა დედამიწიზე ჩამოიქცევა.

რასაკვირველია, მათთვის ეს ზუსტად ასეც იქნებოდა, რადგან მათი კეთილდღეობის მთავარი წყარო სწორედ პრეზიდენტთან სიახლოვეა. „ვინ, თუ არა პუტინი?!“ — ძირითადად ეს ლოტუნგი ჩანდა მომხრეთა მიტინგებზე (გრეთ წოდებულ პუტინგებზე) 2012 წელს. სწორედ ასე ფიქრს მიეჩიდა უკანასკნელ 15 წელიწადში, ალბათ, რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა.

პუტინის ამალის მრავალ წევრს შეეხო რუსეთის საწინააღმდეგო დასავლური სანქციები. მათ აეკრძალათ სხვა ქვეწებში შესვლა, დაკარგეს იქ მუდმივად მცხოვრები საკუთარი ოჯახის წევრების მონახულების საშუალება. თუმცა, პრეზიდენტის კარზე ამის გამო აღშფოთებას არავინ გამოთქვამს.

### **ევფე საშუალოდ**

იმ მომწნტისთვის, როცა ეს წიგნი იწერებოდა, რუსეთის ეკონომიკა შეკუმშვას განაგრძობდა, სტაბილურად და გარდაუგალად — შაგრუნის ტყავის მსგავსად. მსხვილი ბიზნესმენები კი ამ დროს სიმშვიდესა და აღუშფოთველობას ასხივებდნენ.

პუტინის სამეფო კარმა მტკიცედ გადაწყვიტა ბოლომდე წასკლა. ჰიპოთეტური ფული შესაძლოა დიდხანს ეყოთ. თუ უცბად ნაკორბის ფასი მოიმატებს, ვითარება შესაძლოა გამოსწორდეს. თუ არადა, მაშინ შესაძლოა შემცირდეს სოციალური სარგოები. უფრო როგორ სიტუაციაში შესაძლოა გაზიარდოს გადასახადები, მაგალითად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე. უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია მსხვილი რესურსმომპიკებრები კომპანიების შემოსავლის ექსპროპრიეტები.

თითქმის ეკელა მსხვილ ბიზნესმენს ესმის, რომ სახელმწიფო ინტერესების გამო მათ საკუთრებას (ან მის საწილის) რაღაც მომენტში შესაძლოა ექსპროპრიეტება გაუკეთონ. ისინი კარგა ხანია, ამ აზრს შეურიგდნენ. გაგრცელებული გამოთქმას, რომ რესეტის მსხვილი ბიზნესმენები მილიარდერები არ არიან, ისინი მხოლოდ მუშაობენ მილიარდერებად. ისინი მართვენ იმ საკუთრებას, რომელის მართვის წებას მათ პუტინი აძლევს.

ჩემს თანამოსაუბრეთა შორის ვერავინ ხედავდა ვითარების შეცვლის პერსპექტივას. უფრო ზუსტად, თითოეული მათგანი უშვებდა მხოლოდ ერთ პირობას, რომელის დროსაც რამე შეიცვლებოდა. მაგრამ ამ პირობის დასახელებას ვერავინ ბედავდა. ზოგიერთი ვეფემზმებს მიმართავდა: „გადაიფრენს შავი გედი“, „პრეზიდენტი გაფრინდება ალფა-ცენტრაზე“, „ცა დაემხობა დედამიწაზე“. ისინი, არსებითად, გულისხმობნენ მარტივ რამეს — რომ პუტინი პრეზიდენტი აღარ იქნება.

რასაკვირველია, ისინი შეცდნენ. ეს საკმაოდ საინტერესო მითია, თითქოს რესეტის „ლუუჯინგის“ სტადიონზე გამართულ წინასარჩევო მიტინგ-კონცერტზე რესეტის პრეზიდენტმა პიმინ გუნდთან ერთად შეასრულა

ყველაფერი დამოკიდებულია პუტინზე, მის გარეშე კი ყველაფერი შეიცვლება.

ეს წიგნი აჩვენებს, რომ პუტინი, როგორადც ის ჩვენ წარმოგვიდენია, ბუნებაში არ არსებობს. იმ მდგომარეობაში, რომელშიც დღეს რუსეთია, სულაც არ მიუყვნია პუტინს — იგი დიდი წნის განმავლობაში ექინააღმდეგებოდა კიდეც ამ მეტამორფოზებს. მაგრამ შემდგა დაცვა, მიხედა, რომ ასე უფრო ადვილია.

პუტინი არ თვლიდა, რომ რესეტი ყველა მხრიდან მტრებს ჰყავთ აღყაში მოქცეული. იგი არ აპირებდა ყველა დამოუკიდებელი ტელეგარსის დახურვას, იგი არ აპირებდა ვიქტორ იანუკოვიჩის შარდაჭერას. მას არ სურდა სოჭში ოლიმპიადის გამართვა.

მასთან დაახლოებულ პირებს მიაჩნდათ, რომ მისი ჩანაფიქრების მიხედვას ცდილობდნენ. სინამდვილეში, ისინი საკუთარ ჩანაფიქრებს ასხამდნენ ხორცს.

პუტინის დღევანდელი სახე — რესეტის მრისხანე მეფისა — მოგონილია მის ნაცვლად, ხმირად კი მისი მონაწილეობის გარეშეც: მისი ამალის, დასავლელი პარტნიორების, უურნალისტების მიერ. მის ყველაზე ცნობილ ფოტოგრაფიაზე პუტინი წარმოგვიდება მედიდურ მპერობლად, ლამის „მსოფლიოს სამსუბურო იმპერატორად“. მაგრამ ეს თავად პუტინი არ არის, ეს მხოლოდ უურნალ „ტაიმის“ ყდაა, რომელმაც იგი 2007 წლის ადამიანად ცნო.

ჩვენ ყველამ საკუთარი პუტინი გამოვიგონეთ. დიდი ალბათობით, ეს ჩვენი უკანასკნელი გამონაგონი არ არის.

### თარგმნა პამლეტ ზუკაკიშვილმა





# **Auto Bild**

საქართველო

ეურნალი  
**AUTO BILD**  
საქართველო  
წარმოგიდგინი



ისტორიული  
საქართველო  
„AUTO BILD  
საქართველოს“  
მაისის  
ცემორში



# OMG

Oh My God

„ასტორი მარტინის“ პატარა  
სუპერმოდელი, ახალი Vantage  
ორ განსაკუთრებულ და  
საუკათასო რამეს აერთიანებს -  
ეს არის AMG-ს Biturbo-V8  
ძრავა და სპორტული  
ავტომობილის შექმნის  
ბრიტანული კომპანიასია.

Oh My God

ეცეულ ღცებებს ხანდახან ძალიან მიწიერი კო-  
ორდინატები აქვს. 52°11' N / 1°28' W. ვინც ნავიგა-  
ციაში ამ მონაცემებს შეიყვანს, გადღონში აღმოჩ-  
ნდება. ეს არის პატარა სოფელი ბრიტანეთში, სადაც მხო-  
ლოდ 500 ადამიანი ცხოვრობს. ეს პატარა სოფელი იმით  
გამოიჩინება, რომ სწორედ აქ არის მდიდარი ბიჭებისა და  
კაცებისთვის განკუთვნილი ქარხანა, რომელშიც საოცნე-  
ბო მანქანები იწარმოება...

პატარა და მაგარი, შესანიშნავი  
ძრავით - ახალი Vantage იყნისის  
ბოლოს გამოდის, მოგვიანებით  
როდსტერის სახითაც გამოვა



# მუირა პუამა

## ისტორიული სამართლის მცველი სამხეთი აღიარების



რატომ შეარჩვეს ქასმინის სურნელის მქონე პურეს „ართენციის ხე“

ამზონის ტროპიკულ ტყეებში ერთი მცენარე ხარობს, რომელსაც მუირა პუამას უწოდებენ. მუირა პუამა მომცრო ბუჩქია, პატარა თეთრი ყვავილებით, რომელთაც ჟასმინის სურნელი აქვთ. მოგზაურობისას მსგავსი მცენარე რომ შევხვდოდათ, ალბათ ყურადღებასაც არ მიაქცევდით, რადგან მხოლოდ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა თუ იცოდნენ, რომ მათი წინაპრები ამ მცენარეს უძველესი დროიდან იყენებდნენ, როგორც მამაკაცთა აფროდიზიაკს. ამიტომაც არის, რომ მუირა პუამას „პოტენციის ხე“ შეარქევს.

ბრაზილიის ინდიელთა ტომებში, ისევე როგორც აბორიგენთა უმრავლესობაში, ხალხური მედიცინა კარგად იყო განვითარებული. მკურნალობა მჭიდროდ უკავშირდებოდა მაგიას და ამასთან ერთად, ემპირიულ გამოცდილებასაც ეფუძნებოდა. დაავადებებს სწამლობდნენ ქურუმები და სახალხო მკურნალები. აცტეკები მათ „ტისიტლებს“ უწოდებდნენ. ძველ პერუში არსებობდა მთელი ტომი მკურნალებისა, რომლებიც წამლობდნენ მმართველ ინკებს და თავისი ხელოვნების საიდუმლოებებს ტომის ფარგლებში ინახვდნენ.

ზოგიერთი სწავლულის აზრით, აბორიგენი მკურნალები 3 ათას სამკურნალო მცენარეს იცნობდნენ. ესპანელი კრისტალორები განაცვიფრეს მათ მიერ გაშენებულმა სამკურნალო მცენარეების ბალჩებმა.

დღეისთვის სამხრეთი ამერიკის კონტინენტის სამკურნალო მცენარეების უმდიდრესი არსენალიდან ბევრია შესწავლილი და დანერგილი მსოფლიო სამედიცინო პრაქტიკაში. ესენია: იპეკაკუანა და სათითურა, ქინაქინისა და გუაიაკოვოს ხის ქერქი, ნარკოტიკული საშუალებები, პერუს ბალზამი, კოკის ფურცლები და მუირა პუამა.

ამჯერად სწორედ მუირა პუამაზე მოგითხოვთ.

ამ მცენარეს ჩშირად ისხენიებენ, როგორც ამზონის ვიაგრას. ადგილობრივები მას ტრადიციულად იყენებდნენ, როგორც ენერგეტიკულ მატონიზებელს, იმპოტენციის წამალსა და დაქვეითებულ ლიბიდოსთან ბრძოლის საშუალებას. პარალელურად, მცენარეს ევროპაში საუკუნეების განმავლობაში აქტიურად იყენებდნენ რევმატიული და

კუჭ-ნაწლავის დაავადებების საწინააღმდეგოდ, ასევე, როგორც ზოგად მატონიზებელ და ენერგეტიკულ საშუალებას.

სექსუალური ჯანმრთელობა, ცენტრალური ნერვული სისტემა და მეხსიერება — ეს ის სამი მიმართულებაა, რომელშიც მუირა პუამას მაქსიმალური ეფექტურობა დადასტურებულია.

ამაზონის აუზის მცხოვრებლები მცენარეს იყენებდნენ ასაკობრივი ან დაღლილობით გამოწვეული დაქვეითებული ლიბიდოს ასამაღლებლად. მუირა პუამა შეიცავს სტეროლებს, სექსუალური ჰორმონების, მათ შორის ტესტოსტერონის მთავრ მაშნებელ ელემენტებს. ის აუმჯობესებს სისხლის მოძრავასაც, რაც ერექციის დროს ძალიან მნიშვნელოვანია.

მუირა პუამას ეფექტურობას მხოლოდ ხალხური მედიცინა არ ადასტურებს. პარიზის სექსოლოგიის ინსტიტუტმა მოაწყო კვლევა, რომელშიც მამაკაცები დაქვეითებული ლიბიდოთი 2 კვირის განმავლობაში იღებდნენ მცენარეს. მონაწილე მამაკაცების 70%-მა აღნიშნა, რომ კურსის შემდეგ მისი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

მცენარეს აქტიურად იყენებენ მოწინავე ფარმაცევტული კომპანიებიც. მაგალითად, ფარმაცევტული კომპანია Health Aid (დიდი ბრიტანეთი) მუირა პუამას ქერქისა და ფესვების ექსტრაქტით ამზადებს მედიკამენტს ჯენტლმენს 3, რომელიც გამოიყენება სქესობრივი ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის, სექსუალური ენერგიის სტიმულირებისთვის, საშარდე გზებისა და წინამდებარე ჯირკვლის ჯანმრთელობის ხელშეწყობისთვის, იმპოტენციასთან დაკავშირებული პრობლემებისთვის და პოტენციისა და ენერგიულობის შენარჩუნებისთვის, მათ შორის მამაკაცებისთვის 50 წელს ზემოთ.

როგორ მოქმედებს ჯენტლმენს 3:

ჯენტლმენს 3 შეიცავს მუირა პუამას, ჯუჯა პალ-

მის, კორეული ჟენ-შენის ექსტრაქტებს, გოგრის ზეთსა და თუთიას.

**მუირა პუამას ექსტრაქტი** — აძლიერებს სექსუალურ ლტოლებას და ხსნის ერექციულ დისფუნქციას.

**ჯუჯა პალმის ექსტრაქტი** და გოგრის ზეთი ამცირებს წინამდებარე ჯირკვლის სიმსივნის განვითარების რისკს და ისეთი სიმპტომების გამოვლენას, როგორიცაა: ხშირი შარდვის მოთხოვნილება, განსაკუთრებით ღამით, შარდის სუსტი ან წყვეტილი ნაკადი, შარდის წვეთობით დენა, შარდის ბუშტის არასრული დაცლის შეგრძნება.

**კორეული ჟენ-შენის ექსტრაქტი** ზრდის ორგანიზმის ტონუსს და აძლიერებს იმუნიტეტს.

**თუთია:** მამაკაცის პოტენციასა და ორგანიზმში თუთიის დონეს შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. თუთია ასევე ბოჭავს იმ პორმონს, რომლის სიჭარბეც წინამდებარე ჯირკვლის ადენომას იწვევს. თუთიას ყველაზე დიდი რაოდენობით სათესლეები და თავის ტვინში მდებარე ის უბანი შეიცავს, რომელიც კავშირშია სექსუალურ ლტოლებასთან.

მიღების წესი: 1-2 კაფსულა ერთ ხელ დღეში კვებამდე 20 წუთით ადრე.


R





# კოდენციალ ტექნიკი





## ეკლესია, მეჩეთი და კვლავ ეკლესია – ანდალუსიის ხუროთმოძღვრული მატიანი

ანდალუსიის ქალაქ კორდობის კათოლიკური ტაძარი (იგივე „კორდობის სატაძრო მეჩეთი“, იგივე მესკიტა, ესპ. mezquita – მეჩეთი) და ამავე დროს, ყველაზე გრანდიოზული მავრიტანული მეჩეთი ესპანეთში, მსოფლიოში სიღიღით მეორე მეჩეთი იყო შეუძლია საუკუნეებში. ეს გამორჩეული ნაგებობა დღესაც ომაიადების დინასტიის ყველაზე თვალსაჩინო ძეგლია.

მესკიტა კორდობის ცენტრში, მდინარე გვადალკვინის ნაპირთან მდებარეობს. გარშემო ბელი მავრიტანული და ებრაული კედები აკრავს. მისი აგება დაახლოებით 600 წელს დაიწყო ძველი რომაული სალოცავების ადგილას. ახალი ნაგებობა შენდებოდა, როგორც წმინდა მოწამე ბიკენტი სარაგოსელის (დევნილი დიოკლეტიანეს დროს, გარდაიცვალა 304 წელს გალენსიაში) სახელობის ვესტგოთური ეკლესია. ეს დასტურდება როგორც არქეოლოგიური გათხრებით, ისე მოზაიკის ნაშებით, რომლებიც დარჩა 711 წელს მეჩეთის ასაგებად მუსლიმთა მიერ ეკლესიის დანგრევის შემდეგ. ამ დროს

კორდობა უკვე მუსლიმანური ესპანეთის ანუ ალ-ანდალუსიის (იგივე „კორდობის სახალიფოს“) დედაქალაქს წარმოადგენდა.

დამპყრობთა ყოველი ახალი ტალღა შენობას რამე საკუთარს ამატებდა. ქალაქში არსებული 1000 მეჩეთიდან ის განდა ყველაზე ბრწყინვალე და მისი დასრულების მომენტისთვის, მესკიტას ამკობდა 1293 სვეტი, 1445 სანათი და 280 ჭალი. ნაგებობა განთქმულია პორფირის, იასპის, ონიქსის, მარმარილოს თუ გრანიტისგან შექმნილი გიგანტური თაღებით. ისინი აიგო ძველი რომაული ტაძრის ნაწილებით და ახლომახლო არსებული ძველი რომაული შენობების ნაგრევთა მასალებით.



გუმბათის მირთულობა (ზემოთ). ორნაგი თაღები ახალი სიტყვა იყო არქიტექტურაში (ქვემოთ)





„პატიობის კარიბჭე“ (ზემოთ) და მისი რეინის კარის სახლური (ქვემოთ)



ორმაგი თაღები არქიტექტურაში ახალი სიტყვა იყო. ისინი მაღალი ჭურის გაცილებით მეტ დატვირთვას უძლებდა. ორმაგი თაღი შედგება შედარებით დაბალი ნალისებრი რკალისა და ზედა ნახვარწრიული თაღისგან. მესკიტაში მდიდრულად არის შემკული მოგარაფებული სალოცავი ნიშები. ცენტრალური გუმბათი მორთულია სხვადასხვა ფორმის წარმტაცი ლურჯი ფილებით. მიკრაბი კი არქიტექტურული ხელოვნების შედევრია.

მეჩეთი 300 წელიწადს დიდ როლს თამაშობდა აქაურ მუსლიმანთა ცხოვრებაში. ძევლა ავტორთა მიხედვით, „მეჩეთის სილამაზე იმდენად დამაბრძავებელი იყო, რომ მისი აღწერა შეუძლებელი გახდლათ“. თვალს იტაცებდა თაღები, მინარეული, ფერადი მოზაიკები და ფანჯრები ფერადი მინებით. კედლებზე კალიგრაფიული წარწერები იყო ყურანიდან. მთავარი დარბაზი წარმოადგენდა ცენტრალურ სალოცავ ადგილს, სადაც სრულდებოდა ხუთჯერადი ნამაზი (მუსლიმანთა ლოცვა), პარასკევის საგანგებო ლოცვები, პირადი ერთგულების ლოცვები, ასევე შარიათის სწავლება.

მეჩეთის შენებლობა, ძირითადად, ოთხი ემირის ზეობისას გაგრძელდა. ემირმა აბდ არ-რაჰმა I-მა 780-იან წლებში გადაწყვიტა, აეგო თვით ომაიადების იმპერიის დედაქალაქის, დამასკოს მეჩეთის დარი შენობა. გადმოცემის მიხედვით, მან დანგრეული ეკლესიის ახლომდებარე მიწებიც იყიდა. ემირმა მეუღლის პატიოსაცემად ააგო მეჩეთი, რომელიც მისი სასახლის პალატებს უერთდებოდა. არქიტექტურული თვალსაზრისით ნაგებობაში იგრძნობოდა ესპანურ-რომანული გავლენა, რაც გამოიხატებოდა არა მხოლოდ მასალებად ეკლესიის ნაშთების გამოყენებაში (სწორედ ესპანურ-რომანული სტილის არის ქვისა თუ ავურის თეთრ-წითელი ორნამენტების მონაცემები), არამედ დაგვემარებაშიც — კორდობის მეჩეთის მიკრაბი მიმართული იყო არა მექისკნ, საითაც მლოცველი უნდა იყურებოდეს ლოცვისას, არამედ დამასკოსკნ. მიკრაბი მთავარი სალოცავი ნიშაა მეჩეთში, რომელიც უჩვენებს მიმართულებას მექაში მუსლიმთა წმინდა შავი ქვის — ქაბასკნ. იგი წარმოადგენს ორი ან მეტი სვეტით კედლისგან გამოყოფილ ნახვარწრიული აფსიდის ფორმის ჭრილს.

მომდვენო ემირის, აბდ არ-რაჰმა III-ის დროს კორდობის ხალიფატი უფრო გაძლიერ-




და. მის დროს მეჩეთი მრავალჯერ გადააკეთებულ ამასთან, წინა მმართველის გვერდიც აღასრულებს და სალოცავი დარბაზის ნაეპების სიგრძე გაზარდებს. ეზოში ემირმა ახალი მინარეთი ააგო, რომელიც ამჟამად ტაძრის ჭრის შემადგენელი ნაწილია.

ემირ ალ ჰამად II-ის დროს კი ალ-ანდალუსიამ აყვავების ზენიტს მიაღწია. დამატებითი სახსრები გამოვეს მეჩეთზე ახალი სამუშაოებისთვის. 961-966 წლებში ნაგებობის ფართობი გაზარდებს და გადაწყდა, მასალებად აღარ გამოეყენებინათ ქველ შენობათა ნაშთები, შეისყიდეს მხოლოდ ახალი მდიდრული მასალები. აღსანიშნავია, რომ ბერი სამუშაო ბიზანტიულ ოსტატებს მიანდეს, რის შედეგადაც მეჩეთის არქიტექტურაში ქრისტიანული გაელენა იგრძნობა, განსაკუთრებით, სინათლის უნიკალურ განვითლებასა და ანსამბლის ჯვრისმაგვარ დიზაინში, რასაც შენობათა კომპლექსში ჩაშენებული მდიდრული მიკრაბი ქმნის.

უკანასკნელი რეკონსტრუქციები ემირ ალ მანსურს ეკუთვნის. 987 წელს მეჩეთს აღმოსავლეთის მხრიდან კიდევ რვა ნაგებობა მია-

შესციტა განთქმულია თაღებითა და ქოლონადებით (ზემოთ), ხოლო მაკრაბი ხელოვნების შედევრია (ქვემოთ)







### ტაძარში უამრავი გუმბათია როგორც მუსლიმანების, ასევე ქრისტიანების დროს აგებულ ნაწილებში

მატეს, აგრეთვე, მომცრო შიდა ეზო. მუშაობა დიდ მოედანზეც მიმდინარეობდა, თუმცა უკვე იგრძნობოდა ფუფუნების ნაკლებობა, რის გამოც იაფი მასალები გამოიყენეს.


1236 წელს კორდობა ფერდინანდ III კასტილიელმა დაიპყრო. როგორც ყოფილი კათოლიკური ტაძარი, კორდობის მეჩეთი კვლავ ქრისტიანულად აკურთხეს. მომდევნო ესპანელი მეფეები განაგრძობდნენ მეჩეთის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანას. ძირითადი სამუშაოები მეჩეთის კელებისად გადასაკეთებლად 1523-1560 წლებში შესრულდა — როცა ერნან რუისისა და მისი ვაჟების პროექტის მიხედვით, ტაძრის გეგმამ ლათინური ჯვრის ფორმა მიიღო, აშენდა ნავები და კაპელები. XVI საუკუნიდან მესკიტა დართისმშობლის მიძინების საკითხდრო კათოლიკური ტაძარია. არქიტექტორები და ხელოსნები კი რაღაც-რაღაცების მიმატებას XVIII საუკუნის ბოლომდე განაგრძობდნენ.

მთავარი შესასვლელი შიდა ტერიტორიაზე არის 1377 წელს აგებული „პატიების კარიბჭე“, რომელიც მუდეპარის სტილის ნამდვილ შედევრს წარმოადგენს. მუდეპარის უწოდებლენ რეკონკისტის დროს ესპანური ქავენების მიერ განთავისუფლებულ პირუნეს ნახევარკუნძულზე დარჩენილ მუსლიმანურ მოსახლეობას. მას მოსდევს „ფორთოხლის ბალი“ განაბანისთვის განკუთვნილი ხუთი შადრევნით. შიდა ეზოს საზღვრავს კედელი დახურული გალერეებით, მინარეთი კი კოშკის ნაწილად იქცა, რომელზეც აღმართულია კორდობის მფარველი მთავარანგელოზი რაფაელი.

2000-იანი წლების დასაწყისიდან ესპანელი მუსლიმანები ხშირად აწყობენ კამპანიას და კათოლიკურ ეკლესიას სთხოვენ, მიეცეთ უფლება, მათც ილოცონ ტაძარში. თუმცა მათ მრავალჯერ ეთქვათ უარი როგორც ესპანეთის ეკლესიის, ასევე ვატიკანის მიერ.

### რაგაზ გურგელიძე

## ამონახილები ქვეილ უჩნაი-ბაზარის გილი



ჭიათურა. მაღაროელები. დავით აბაშიძის (1865-1922) ფოტო

### ფყალიაღებული ჭიათურა

ქართული პრესსა, და საზოგადო ყველა სლუმს იმ კატასტროფის შესახებ, რომელმაც ჭიათურა განადგურებამდის მიიყვანა. შავი ქვა, უმთავრესი საფუძველი იყო ყოველთვის, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის.

თუ ევროპას რამე აგავშირებდა საქართველოსთვის რეალურად, ამის მიზეზი ჯერ-ჯერობით ჭიათურა იყო და არის.

და, დღეს თითქოს არაფერი მომხდარა, თითქოს იმდენათ უმნიშვნელოა წყალდიდობისაგან მოყენებული ზარალი, რომ ჩვენ კსრუმ-გართ, მაგრამ არავინ კითხულობს: რაი იმედი გვაქვს. შეიძლება „ბახტრიონის“ ტრადიცია არ იყოს მეთაურები სწეროს, ეკონომიკური სტატისტიკის მიხედვით, მაგრამ ჩვენთვის ყოველთვის ახლოს არი თუნდა უბრალო ტკივილიც ჩვენი ქვეყნის, და ჩვენ არ შეგვიძლია პროტესტი არ განვაცხადოთ, რომ ჭიათურის კატასტროფა, ჩვენს პრესსაში მხოლოდ ქრონიკში მოთავსებული ცნობებით ამოიწურა.

ამ ზაფხულში ჭიათურა მნელი საცნობი იყო.

ძველებურად, ფუტკარივით მოედვნენ შავი ქვის პლატფორმებს, შავ მტკვრში გამურული მუშები, ჭიათურა გაცოცხლდა 8 წლის მიძინებული, ყოველ დღე რამდენიმე მარშრუტი მატარებლებისა მიდიოდა ქვით დატვირთული, დაიწყო სიცოცხლე, რომელიც მაღალ უნდა გადასულიყო დიდ გრანდიოზულ მასშტაბით მუშაობაში, და უკრად წყალდიდობამ (მეორედ) ყველაფერი გაანადგურა, შავი ქვა წალეკა, ხიდები და გზები დაანგრია, დაბები დახსნა, სარეცხავი ქარხნები დიდათ დააზიანა. საჩერებელი, შორაპანის ლიანდაგს რამდენიმე თვე სჭირდება ზერელედ შეკეთებისათვის, რაიმე ფუნდამენტალურ მუშაობაზე, ჯერ ლაპარაკიც არ შეიძლება. ეს გზა ისედაც დაზიანებული იყო და ახლა სულ უიძებო შეიქნა. საგრძნობლად დაზიანდა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს შესანიშნავი წყალ საქანი, წაღებულია ჭიქოურას და საფარის საურმე ხიდები. გარეცხილი და პლატფორმებზე დამზადებული ქვა უძრავი წაიღო წყალმა. მარტო ერთ ფრმას მოსტაცა სტიქიამ 4.500.000 ფუთი. სულ წაღებულია — 17.000.000 ფუთი გაწმენდილი ქვა და პროქსიტი.

მარტო ეს უდრის მილიონებს ოქროს ან-გარიშებ. რამდენიმე თვე შეუძლებელი იქნება თუნდაც ელემენტარული მუშაობის დაწყება.

„ჩემ“ იძულებული ხდება მოახდინოს 400 კაცის ლიკვიდაცია სამსახურიდან, მარტო ამისათვის 16 მილიარდი არის საჭირო. ამ ზარალს საქართველო იგრძნობს, რადგან სახელმწიფოს მოაკლდა უძიდესი წყარი შემოსავლისა. ქართული ხაზინა საყალიუტო ბიუჯეტს უმთავრესად შევი ქვის ოპერაციებიდან ჯეხებდა.

მნელია საშუალების მონახვა ზარალის ასადგენათ. ყოველ შემთხვევაში შავი ქვის ორგანიზაციების („ჩემ“, „საქართველო სახო-გადოება“, შავი ქვის მრწველთა საბჭო) დაუ-ყონებლივ უნდა მიეცეს გძლვ ვადიანი სესხი ხაზინის ოქროს ფონდიდან, საჭიროა, ჩენის აზრით, მიეცეს აგრძელებული ფართო საშუალება და დახმარება კერძო ინიციატივას, და დროუბითი შემსუბუქება სამუშაო პირობების, რომ საქართველომ რაც შეიძლება მაღლ შესძლოს ჭიათურის აღდგენა. შეჩერება ერთი წუთითაც და გულ გრილობა გაართულებს საქმეს და შემდგომში საჭირო იქნება გაათებულ მუშაობა საქმის შეე-ლისათვის, მაგრამ პირველად ფოვლისა თვით შევი ქვის ორგანიზაციებმა უნდა გამოიჩინოს გრანდიოზული ნება და ენერგია. ამისათვის მათ აქვთ საკმაო ისტორია და გამოცდილება.

პაოლო იაშვილი

„ბახტრიონი“, 1922 წ. №21

## შერმოპარული საუბარი

— გიორგი, შენი ჭირიმე, ყური მათხოვ და ასეთ მდგომარეობიდან როგორმე გამომიყვანე, — სიცრუეს დაჩვეული ვარ და როდესაც შემატყო სიცრუეს ვლაპარაკობდე, ჩინის კალთა მომიწი სხვების შეუმჩნეველადო.

— დიდის სიამოვნებით! უთხრა გიორგიმ.

ეს ორი მეგობარი ერთს საღამოს თყვადიშვილს ქვითენ ჩაიზე.

სხვა-და-სხვა ამბების შემდეგ საუბარი ჩამოვარდა ნადირობაზე. გიორგის ამხანაგმაც დაიწყო:

— „მე, ბატონებო, ერთხელ ისეთი მელა მოვკალი, რომ განცვიფრებაში მოვედი, სა-უნ-ნახევარი კუდი ჰქოდა, არა ნაკლებიო. (ამ დროს გიორგიმ ჩინის კალთა მოუწია).

— დიახ, სწორედ დიდი კუდი ჰქონდა, შეიძლება საუნ-ნახევარი არ ყოფილიყო, მაგრამ საუნი მაინც... (გიორგიმ ჩინა კიდევ მოუწია).

— სწორედ დიდი კუდი ჰქონდა, რო

არშინი მაინც იქნებოდა. (გიორგიმ კიდევ მოუწია ჩინა).

გიორგის ამხანაგი ფქზე წამოვარდა და ცოტა გულ-მოსულად უთხრა გიორგის:

— კაცო, სულ უკუდო ხომ არ გინდა მათშევინოვა?

„ცნობის ფურცელი“, 1898 წ. №628

\* \* \*

— მომილოცე, ცოლს ვირთავ!

— ვის ირთავ?

— ჩაციებულაძის ქალსა.

— ის ქალი ხომ ჭკუაზე შეიშალა.

— როგორ? როდის?

— მას შემდეგ, რაც შენ ნიშანი მიეცი.

\* \* \*

— შენთვის რომ სულ უქმეა, ერთი მითხარი თუ დმერთი გწამო საქმე დღე როდის გექნება?

— მაშინ როდესაც საჭმელი გამომელევა...

„ცნობის ფურცელი“, 1898 წ. №652

„ცნობის ფურცელი“, 1896 წ. №73

მოამზადა თუ ცაგურიშვილმა

## „ისტორიანის“ სახალისო ფოტოგაფიანე

ძგირფასო მეტხველო, გთავაობთ ახალ რუბრიკასა და პირველ ფოტოს. გადავწევიტეთ, უურნალში დაბეჭდოთ ფოტოები, რომლებიც „ისტორიანსა“ და მის ქომაგებს უკავშირდება. სიამოვნებით ავარჩევთ თქვენ მიერ გამოგზავნილი ფოტოებიდან რამდენიმეს და გამოფაქენებთ



ქომპანია  
„ფერარის“  
დამარცხებული



სანაორდი ჟურნალი  
„კანკორდისგან“



უფრო მეტ სამუშაო, ყინულინი, თვალიათა და

სამუშაოები, ასეზოდ ისეული შესტანით, გამოიჩინა ფრინვლი

	1. ლიტერ- რატერის თხირიძისთვის		2. არალე- გალუშის სამოტოი ფერცელი	3. სიცოცხ- ლით საჭიშ აღამიანი
	4. .... თან დასევეს მცოდნელას „			
	5. ძვ. სამ- ჯუნიულო წიგნი		6. ველაპანი- ლან ამორტი- ფერლი მასა	
7. ინანიუ- ლის დამამა- რებული	8. კული			
			9. დელფი- ნის ხელითა თვალის გ ხოველი	
			10 პ. აკუნინი „ოცნებული ...“	
11. მორილე- ლი ც ხოველი	12. კონგრე- ბის მეტელი			13. მოძღვრა- ლი ... მელადი
			14. რისხეა, გაკუგურება	
	15. „არა ... ქლოა“			
16. მიმიკის მოშენა				
	17. არამეტი იალქებამი გემი			18. წლოვა- ნება
19. მიმართვა პიროვნელ მაჩაკაცები		20. ... მიგებ- ვინი		21. ნაგე- ზით შესაჭ მითხარშ კომბოსტო
22. ცეცხლის ინდური დკოუშა				
		23. ქრძალება		

წინა ნომერში გამოვლენებული სკანორდის პასუხები:

1. კონგო; 2. ნამრთია; 3. გარიბალდი; 4. აისერგი; 5. მესა; 6. არა; 7. იოლი; 8. კალიომი; 9. ბორტი; 10. საამი; 11. არაპეტი; 12. იუკა; 13. ბასოლა; 14. უნა; 15. სარე; 16. რაული; 17. „ვის“; 18. ძე; 19. გამა; 20. გორი; 21. პერუ; 22. ბიგამია; 23. კან; 24. მთ; 25. პაი; 26. სტეფანი; 27. მანიური. სურამიშე: ქურსტი კალიულაიდი.


# მეგზური სიკათის სამყაროში



პარიბჭების ბიბლიოთეკა მოზარდოთათვის

ნიბნი 3

## „უფლის ანგელოზები“



26 აპრილიდან

შურნალ

„პარიბჭესთან“ ერთად

ნიბნის  
საენალური ფასი  
**4ლ**  
შურნალთან ერთად  
**5ლ**

შვილებთან ერთად წასაკითხი ნიბნები - სიკათის,  
პაცოლინისა და მაგალითების, მიმთევებლობების მაგალითები  
მხატვრული ლიტერატურიდან და რეალური  
ბიოგრაფიებიდან.

სერიის შემდეგი ნიბნი:

„გვაქვს უთვალავი ფერითა –  
რათომ შექმნა უფალმა ცხოველები და მცენარეები“

**უფლის ანგელოზები**

იკითხეთ ნიგნის მაღაზიებში და პრესის გავრცელების წერტილებში,  
ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32)2382673;  
0(32)2382674 და [www.elva.ge](http://www.elva.ge) თქვენთვის სასურველ ადგილზე მოგართოთ.

# დიდი ენციკლოპედია ელვა

5 ნიმუში



- დედამიწის ულამაზესი ღანგაზაფთების ფოთოები
- 1000-ზე მეტი შთამბაზდავი ილუსტრაცია
- რეკვიზი, დისტანციები და გრაფიკები

პირველი ნიმუში „დაბადება“ მოგითხოვთ:

- დიდ აფეთქებაზე
- მზის სისტემაზე
- სიცოცხლის ნარმოშობაზე



## შემდეგი ნიმუშები:



საელექტრონული



ჰაერი



წყალი



ადამიანი

## დაბადება - დედამიწის ადგილი სამყაროში

იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში

ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32)2382673; 0(32)2382674

და [www.elva.ge](http://www.elva.ge) ადგილზე მოგართოთ

